ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 7 დეკემბერი 2000 №236 (1258) | ფასი 50 თეთრი


CHAMPIONS LEAGUE

## ლიგა შუქივით მარტამდე გამოგვეთხოვა



მილანელებმა ამბროზინიმ (№23) და კოსტაკურტამ როი მაკაი დასცეს, მის „დეპორტივოს“ კი წაუგებელი სერია შეუწყვიტეს

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| პანათინაიკოსი | 0 |
| ვალენსია | 0 |
| შტურმი | 0 |
| მანჩესტერი | 2 |

**B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| დეპორტივო | 0 |
| მილანი | 1 |
| გალათასარაი | 1 |
| პარი სენ ჟერმენი | 0 |

თუ არ გაქვთ შუქი, გენერატორი, აკუმულატორი და ხართ ფეხბურთის გულშემატკივარი, გაგახარებთ — ნუხელ დიდი არაფერი დაგიკარგავთ;

ტურის, ეტაპის, წლისა და საუკუნის ბოლო სალიგო დღე მეტად მწირგოლიანი გამოდგა — 112 ფეხბურთელის სირბილმა შედეგად მხოლოდ 4 გოლი გამოიღო;

მილანელმა დანიელმა ჰელვეგმა ლაკორუნიელთა წაუგებელი სერია შეაჩერა, თურქმა დავალა უმითმა კი ფრანგ ლუის ფერნანდესს დებიუტი ჩაუმწარა.

და კიდევ: გაიტანა პოლ სქოულზმა და მისმა გუნდმა მოიგო.

ველით მაიკლ სქოულისა და მისი გუნდის გაბრწყინებას.

იხილეთ მეორე გვერდი

## ნახევრადმოსტუმრებული

**საქართველოს თასის მეოთხედფინალი**

პირველი მატჩები

6 დეკემბერი, ოთხშაბათი

| | |
|---|---|
| დინამო | 0 |
| ვიტ ჯორჯია | 1 |
| დილა | 1 |
| მერანი | 2 |
| კოლხეთი | 1 |
| ტორპედო | 1 |
| სამგურალი | 1 |
| ლოკომოტივი | 2 |

იხილეთ მესამე და მეოთხე გვერდები

ეროვნული ჩემპიონატის საშემოდგომო ეტაპის მიწურულს ფეხბურთის ფედერაციამ თასის მატჩები მიაყოლა. რაკი სავაზაფხულოდ საქართველოს ეროვნული ნაკრების რამდენიმე ამხანაგური და ერთიც შესარჩევი მატჩია დაგეგმილი, მეოთხედფინალის მოლევა წლეულსვე გადაწყდა. საპასუხო მატჩები კვირასაა და მანამდე ნახევარფინალში გასვლა ჯერჯერობით ვერავინ გაინაღდა, თუმც ოთხივე სტუმარმა საბოლოო წარმატებისკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა.



გუშინ ეროვნულზე: „დინამო“ — „ვიტ ჯორჯია“ 0:1. ვიტელ საბა სულთანიშვილს (№19) იოსებ გოგიჩაიშვილთან პირისპირ შეყრას ზაზა ზამთარაძე არ ანებებს

ბადრი ქითოლაძის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გუშინ ჩემპიონთა ლიგა. მეორე ეტაპი მეორე ტური

### A ჯგუფი

**პანათინაიკოსი 0:0 ვალენსია**

პანათინაიკოსი: ნიკოპოლიდისი, ჰენრიქსენი, ვოკოლოსი, სარიჩი, ფისასი (ოლივარესი 64), კუცურესი (სიმნიესკი 74), გუმასი, კარაგუნისი, ბასინასი, ლიბეროპულოსი, ვარვიზა (ვლაოვიჩი 71)

მწვრთნელი: ანგელოს ანასტასიადისი

ვალენსია: კანისარესი, პელეგრინო, ჯუკიჩი, მენდიეტა, კარეუ (დიეგო ალონსო 86), ანგულო (ილიე 74), კარბონი, კილი გონსალესი (ვისენტე 74), ბარახა, ანგლომა, ალბელდა

მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი

მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

48 000 მაყურებელი

**შტურმი 0:2 მანჩესტერი**

0:1 სქოულზი (17), 0:2 გიგზი (89)

შტურმი: სიდორჩუკი, ნოიკირხნერი (შტრაფნერი 82), მამედოვი (ბაელიხი 85), პოპოვიჩი, შოპი, კორსოში (რაინმაიერი 70), ფლურკინი, პრილასნიგი, მინავანდ ჩალი, ვასტიჩი, კოციანი

მწვრთნელი: ივიცა ოსიმი

მანჩესტერი: ბარტეზი, სილვესტრი, გ. ნევილი, ბრაუნი, ირვინი (ფ. ნევილი 90), ბატი (გიგზი 80), ბექემი, კინი, სქოულზი, იორკი (სოლსკაერი 90), შერინგემი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)

16 500 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ვალენსია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| პანათინაიკოსი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| შტურმი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

### B ჯგუფი

**დეპორტივო 0:1 მილანი**

0:1 შევჩენკო (45)

დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, რომერო, ნაიბეტი, დონატო, ვიქტორ სანჩესი (ფერნანდო 67), ემერსონი (სკალონი 79), ჯალმინია, მაურო სილვა, ტურუ ფლორესი (მაკაი 56), დიეგო ტრისტანი

მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

მილანი: აბიატი, როკე ჟუნიორი, კოსტაკურტა, მალდინი, შევჩენკო (გულიელმინპიეტრო 90), გატუზო, ამბროზინი, კოკო, ბობანი (ჯუნტი 66), შევჩენკო, ხოსე მარი (სერჟინიო 80)

მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი

მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

35 000 მაყურებელი

**გალათასარაი 1:0 პარი სენ ჟერმენი**

1:0 დავალა უმითი (58)

გალათასარაი: ტაფარელი, ბიულენთი, ფათიჰი, კაპონე, ჰაქან უნსალი (ვედათი 73), ოკანი, სუათი (ფარუკი 81), ემრე (დავალა უმითი 34), ერგუნი, ჟარდელი, ჰასან შაში

მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ

პარი სენ ჟერმენი: ლეტიზი, ელ კარკური, რაბესანდრატანა, დისტინი (ალფერინო 85), დიუკრო, დალმა (ანელკა 71), ლუქსენი, ე. სისე, იანოვსკი, რობერი, ლეროა (კრისტიანი 77)

მწვრთნელი: ლუის ფერნანდესი

მსაჯი: რიხარდ ვოიჩიკი (ბოლონეთი)

23 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| გალათასარაი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| დეპორტივო | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| პსჟ | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |



დეპორტივო — მილანი 0:1. მასპინძელთა ბრაზილიელი ემერსონი (უკან) და სტუმართა ესპანელი ხოსე მარი



შტურმი — მანჩესტერი 0:2. შეცვლაზე შესულ რაიან გიგზს გოლის გასატანად ცხრა წუთი დასჭირდა


შტურმი — მანჩესტერი 0:2. იუნაიტედელი გარი ნევილი ანდრეს ფლურგინს მუხლზე დაუდგა


გალათასარაი — პარი სენ ჟერმენი 1:0. მარიო ჟარდელმა ამჯერად ვერ გაიტანა და დავალა უმითის მილოცვით დაკმაყოფილდა


პანათინაიკოსი — ვალენსია 0:0. ბერძენ ნიკოს ლიბეროპულოსს (№21) ამადეო კარბონი და რუბენ ბარახა შიაცილებენ

საქართველოს თასი

მეოთხედფინალის პირველი მატჩები. 6 დეკემბერი

# თბილისი — მცხეთა: ნახევრად ფინალური გზა მახარაძის გავლით

თბილისი
6 დეკემბერი
14 საათი
ეროვნული
2 000 (ტევადობა 70 900)

**დინამო 0:1 ვიტ ჯორჯია**

... ხელქაძე (76)
დინამო: გრიშიკაშვილი, ქემოკლიძე, ვაშაკიძე, ... სხვაძე (კანდელაკი 38), შაშიაშვილი, ზამთარაძე, ... ჯოვაძე (ბურდული 57), სიჭინავა, გ. ვ. მიქაძე, ... ზირაქიშვილი (კ. გოგოლაძე 76), ბ. ჯინჭარაძე
სათადარიგონი: ჩიხრაძე, რუხაძე, მონასელიძე, ... ხაშვილი
ვიტ ჯორჯია: მერლანი, საჯაია, ჭანკოტაძე, კობი... ძელი, ჯ. მუჯირი, ვ. გოჩაშვილი (ინწკირველი ...), ჯავახავა (ლ. ნოზაძე 61), დილმელაშვილი, ... თანიშვილი (დეკანოსიძე 66), გიორგი ქორიძე, ... ხელქაძე
სათადარიგონი: სტურუა, ხაჭაპურიძე, თაყაძე
გაფრთხილება: მუჯირი (24), კანდელაკი (77)
მსაჯები: ა. შალამბერიძე; გ. კიკაჩეიშვილი, ნ. ...შვილი; ბ. დოგრაშვილი (ყველა ქუთაისი)
მატჩის ინსპექტორი: კ. ყრუაშვილი

კობა ინასარიძე

— სათქმელს მოკლედ და კონკრეტულად გეტყვით. მიუხედავად იმისა, რომ „ვიტ ჯორჯიას“ დიდ პატივს ვცემ და ეს გუნდი მომწონს, დღეს ჩვენს ბიჭებს მოწინაალმდეგე არ ჰყოლია. „დინამომ“ ძალიან ცუდად ითამაშა. გუნდში ბევრი პრობლემაა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ გუშინ ბიჭები შეკრებიდან გაიქცნენ. რა დღეშიცაა „დინამო“, მგონი, ყველამ იცის. ფეხბურთელებიც უხასიათოდ არიან. „ლოკომოტივთან“ მატჩის წინაც ასე გახლდათ, მაგრამ მაშინ როგორღაც მოვახერხეთ მათი სათამაშოდ მობილიზება, დღეს კი... თუმცა არა უშავს, ყველაფერი გამოსწორდება — თქვა სათასო მეოთხედფინალის პირველი მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა რევაზ არველაძემ.

მართლაც, გუშინ „დინამო“ იმ გუნდს არ ჰგავდა, ორიოდ დღის წინ ჩემპიონატში „ლოკომოტივთან“ წაგებამდე ზედიზედ რვაჯერ რომ მოიგო და მათ შორის სწორედ „ვიტ ჯორჯია“ 4:0 დაამარცხა. ამჯერად საქმე სულ სხვანაირად იყო — ვეტერინარებმა აშკარად დაჯაბნეს მეტოქე თითქმის ყველა საფეხბურთო კომპონენტში იგრძნობოდა მათი უპირატესობა. „დინამოს“ თამაშს კი მთლიანად შეესაბამება რევაზ არველაძის ნამატჩევს ნათქავმი. მისი შეგირდები მართლაც ვერ იყვნენ თამაშის იშტაზე.

„ვიტ ჯორჯიამ“ საგოლე მომენტებიც თითქმის ორჯერ მეტი შექმნა, ვიდრე მეტოქემ. მასპინძლები ერთხელ ხარიხამაც გადაარჩინა, როცა მუჯირმა თავური დაარტყა. „დინამომ“ კი ერთი, მართლაც რეალური მომენტი გააცუდა. 59-ე წუთზე საჯარიმოში ზამთარაძის ჩაწოდებულ ბურთს ზირაქიშვილი ან მიქაძე ოდნავ მაინც რომ შეხებოდნენ, გოლიც გარდუვალი იქნებოდა და მატჩიც როგორ გაგრძელდებოდა, საკითხავია. არადა, ბურთი კარის ხაზიდან სანტიმეტრებში გაგორდა, თავდამსხმელებმა კი ფეხის დახვედრება ვერ მოასწრეს.

შემდეგ ერთი სადავო ეპიზოდიც იყო, რამაც „ვიტ ჯორჯიას“ ქომაგები და ფეხბურთელებიც აღაშფოთა. სტუმრებმა გოლი გაიტანეს, თუმც თანამსაჯმა კიკაჩეიშვილმა თამაშგარე დააფიქსირა. სწორი იყო თუ არა კიკაჩეიშვილის გადაწყვეტილება, ამ მატჩის ფირის უნახავს ნაღდის თქმა გაუჭირდება, თუმცა გოლი გოლს კი ჰგავდა. აქედან შვიდ წუთში კი „ვიტ ჯორჯიამ“ საწადელი მინც აისრულა და საპასუხო მატჩის წინ ნახევარფინალში გასვლის შანსი მნიშვნელოვნად გაიზარდა: ქორიძემ მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში შეიგდო ბურთი, მაგრამ მცველმა ის წააქცია, საჯარიმოს კუთხესთან შალამბერიძემ ჯარიმა დანიშნა, რომელიც ჭანკოტაძემ შეასრულა. მისი დარტყმული გრიშიკაშვილმა ხელებში ვერ დაიჭირა, გაუვარდა და ვიტელთა უპირველესი მეგოლე ლევან მელქაძეც იქვე აღმოჩნდა ბურთი მშვიდად შეაგორა „დინამოს“ კარში.

მერე „დინამო“, რაღა თქმა უნდა, გააქტიურდა, თუმც რაღაც უმარილოდ თამაშობდა. მომენტებიც ისეთი არაფერი შექმნილა მერლანის კართან, აღსანიშნად ღირდეს. „ვიტ ჯორჯიას“ ახალი მწვრთნელის ხელი უკვე დაეტყო. წინ კი 10 დეკემბრის საპასუხო მეოთხედფინალია.

*თემურ მახარაძე, „ვიტ ჯორჯიას“ მთავარი მწვრთნელი:*

— ჩვენთვის ძალიან ძნელი მატჩი იყო. „დინამოსთან“ არასდროს შეიძლება ხუმრობა. ექსჩემპიონთა ბოლოდროინდელი შედეგების გათვალისწინებით კი ერთობ ძლიერი მეტოქე გვყავდა. საპასუხო მატჩის წინ პროგნოზისგან თავს შევიკავებ. ჩვენი ბიჭები ცოტა გადაღლილები ჩანან, მაგრამ ერთი თამაშისთვის კარგად მომზადება ყველას შეუძლია.

*რევაზ არველაძე, „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი:*

— ვულოცავ მეტოქეს დამსახურებულ გამარჯვებას. ჩვენ ჩვენი შესაძლებლობები ვერ გამოვავლინეთ. არჩილ სახვაძის პირველსავე ტაიმში შეცვლის მიზეზი მისივე თამაში იყო.



იოსებ გრიშიკაშვილის კარში გატანილი ეს გოლი მსაჯებმა თამაშგარის გამო არ ჩათვალეს



ვიტელთა მეგოლე ლევან მელქაძეს დინამოელი ირაკლი ვაშაკიძე მეურვეობს

# მერანმა ნახევარფინალისკენ გაქუსლა

გორი
6 დეკემბერი
14 საათი
ცენტრალური
1 500 (ტევადობა 8 230)

**დილა 1:2 მერანი**

... ბოლქვაძე (2), 0:2 გოდერძიშვილი (13), 1:2 ხორგუაშვილი (62)
დილა: თ. ილურიძე, აკოფიანი, გრიგალაშვილი (...ხობაშვილი 85), ლომიძე, ლ. გოჩაშვილი, საყვარელიძე (ციცქიშვილი 46), ფეხუაშვილი, ეჯოშვილი, რევაზიშვილი, ხორგუაშვილი, ხმალაძე (კოტორაშვილი 46)
სათადარიგონი: მდივანი, გაგნიძე, ტულუში, გოგნაშვილი
მერანი: დევაძე, ბოლქვაძე, გუჯაბიძე, ცქიფურიშვილი, დევიძე, კობაქაშვილი, გ. კვიტინაძე, კოშკაძე (ა. ილურიძე 76), ჭინჭარაული (კაკუბავა 79), დ. გოდერძიშვილი (ბაჟელიძე 82), მინაშვილი
სათადარიგონი: ნაჭყებია, მუხინი, სილაგავა, იფანიშვილი
გაფრთხილება: კობაქაშვილი (32), აკოფიანი (62), რევაზიშვილი (64), ცქიფურიშვილი (76)
მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, ნ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. კრიჭაშვილი (თბილისი)
მატჩის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

მამუკა კვანტალიანი გორიდან

**მეთორმეტე** ჩემპიონატის პირველ წრეში „დილამ“ შინ მოუგო „მერანს“. მეორე წრეში გორელებმა ქულა წამოიღეს ავჭალიდან. გუშინდელ სათასო მატჩშიც გამარჯვების იმედი ჰქონდათ მასპინძლებს, მაგრამ ბოლო დროს ჩინებულად მოთამაშე „მერანმა“ წლევანდელი ტრადიცია დაარღვია და სტუმრად გამარჯვებული, ალბათ, ნახევარფინალშიც გავა.

მასპინძლები თავიდანვე დაბნეულნი ჩანდნენ. პირველ წუთზევე თამაზ ილურიძემ იხსნა გოლისგან „დილა“. გოდერძიშვილს არ გამოუვიდა დარტყმა და ბურთი მეკარემ კუთხურზე მოიგერია.

გოლი მაინც გავიდა. კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს მეკარის ბაქანში ბოლქვაძე დახვდა. ფეხის ერთი გაქნევა საკმარისი აღმოჩნდა დასაწინაურებლად.

გამორკვევამდე „დილამ“ ერთი გოლიც გაუშვა. გოდერძიშვილმა მინაშვილთან კედელი გაითამაშა, მეკარესთან პირისპირ გავიდა და ისე გაიტანა.

სტუმრებმა შეტევა განაგრძეს. პირველ ტაიმში მათ ყველაფერი გამოსდიოდათ და არც ხისტ თამაშში ჩამოუვარდებოდნენ მეტოქეს.

...დაიგუგუნეს ჯუნგლებიდან ტრადიციული და ცნობილი „რა?“ „მერანის“ ორიოდ მოთამაშეს ნერვები აუტოკდა, ეს მათ თამაშსაც დაეტყო, თუმც სტუმრებმა თავის დაჭერა მოახერხეს.

ამასობაში „დილას“ კართან სახიფათო მომენტები არ იკლებდა და კოშკაძის ძლიერად დარტყმულმა ხარიხა შეაზანზარა.

მასპინძლები ბედს არ ეგუებოდნენ, ტაიმის ბოლოს სტუმართა საჯარიმოს გაუშინაურდნენ კიდეც. საყვარელიძის დარტყმული მცირედით ასცდა დევაძის კარს, ხოლო ორჯერ ავჭალელთა მეკარემ გაიბრწყინა. ჯერ ხორგუაშვილის ურთულეს დარტყმულ ბურთს ბოლო წამს წაატანა მარჯვენა, მერე კი რევაზიშვილის ძლიერად დარტყმული ბურთი უკუაგდო.

კიდევ ერთხელ დაიგუგუნეს ჯუნგლებმა, ოღონდ ამჯერად გაგონილმა ბევრი გააოცა. გინების ნაცვლად სტუმართა მეკარეს ეპითეტები ერგო. მიდიოდა დევაძე გასახდელისკენ და უკან ხმა მოსდევდა — დევაძეს გაუმარჯოს!

„დილას“ თავკაცმა ვაჟა ხაჩირაშვილმა შესვენებისას უფერულად მოთამაშე საყვარელიძე და ხმალაძე ციცქიშვილითა და კოტორაშვილით შეცვალა. „დილას“ თამაშიც შედარებით დალაგდა და მალე მასპინძლებმა ერთი ბურთი გაქვითეს. ციცქიშვილის ჩაწოდებული რატომღაც მცველებმა გაატარეს, ლომიძემ კი ბოლომდე მისდია და კარის წინ ეულად დარჩენილ ხორგუაშვილს უნაკლოდ გადააწოდა. მასპინძელთა თავდამსხმელმა ბურთს თავი შეაგება და დევაძეც უძლური შეიქნა.

„დილა“ შეტევებს მიეძალა, სტუმრებმა უკან დაიხიეს და კონტრშეტევებზე თამაში ირჩიეს. მოედანზე მდგომარეობა დაიძაბა, მეტოქეებმა უხეშობას უმატეს, თუმც ხისტი თამაში ზღვარს არ გასცდენია.

გორელებმა სათამაშო უპირატესობა გოლად ვერ აქციეს. მათ რამდენიმე კუთხური და სამი სახიფათო ჯარიმა უხეიროდ შეასრულეს და მეორე ნახევრის დარჩენილ დროში სტუმართა მეკარე ერთხელაც არ გადამხტარა.

ავჭალელებს ორჯერ სახიფათო კონტრშეტევა კი გამოუვიდათ, მაგრამ ერთხელ დარტყმა კარს ასცდა, მეორედ ილურიძემ ივარგა. მართალია, მეორე ტაიმში სტუმარ-მასპინძელმა თითო გოლიც გაიტანა, მაგრამ მსაჯმა ორივე შემთხვევაში სამართლიანად დააფიქსირა თამაშგარე მდგომარეობა.

საპასუხო თამაშში თუ შეცვლის რამეს „დილა“? სიახლე ნაკლებად მოსალოდნელია. დღეს „მერანი“ გაცილებით ძლიერია მეტოქეზე და ნაკლებსავარაუდოა, ოთხ დღეში რამე შეიცვალოს.

# გასაგდები გააგდეს არდასადები დადეს

**წყალტუბო**
6 დეკემბერი
14 საათი
26 ბაისი
500 (ტევადობა 12 000)

**სამგურალი 1:2 ლოკომოტივი**

0:1 ბალაშვილი (16), 1:1 ლონლაძე (45პ), 1:2 რუსია (76)
**სამგურალი:** ბოდოკია, ბერაძე, დ. ქელიძე, თირქია, მ. ჯინჭარაძე, ბაბუნაშვილი, ფხაკაძე, კაკუბე (ჯღ-ქია 84), გოლეთიანი (ქობულაძე 46), ლონლაძე, ქუთათელაძე
სათადარიგონი: გიორგაძე, ბარაბაძე, ლეინჯილია
**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, სილაგაძე, აბრამიძე, გილაური, კვარაცხელია, ჭიჭველაშვილი, ხუროძე, ლ. ქელიძე (გონჩაროვი 46), დ. არჩვაძე (თოდუა 46), გაგუა (რუსია 46)
სათადარიგო: პარამონოვი
**გაფრთხილება:** ბერაძე (41), აბრამიძე (43)
**განდევნა:** ბერაძე (41)
**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); მ. ელიკაშვილი, ზ. დოლიძე; ლ. ფანიაშვილი (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია

**დავით თავართქილაძე წყალტუბოდან**

**ერთობ** ყოჩაღად დაუხვდა „სამგურალი" თასის მფლობელს და მეთორმეტე ეროვნულის ლიდერს, თუმც ავტორიტეტის რისხვად ვერ მოგვევლინა. მასპინძელთა შეუპოვარი თამაში, რა თქმა უნდა, მოსალოდნელი იყო, მაგრამ წყალტუბოელებმა სხვა რამითაც გამოიჩინეს თავი. კერძოდ, ხისტსა და აგრესიულ ბრძოლაში არაფერი დაუთმეს რკინიგზელებს, ხოლო შიგადაშიგ მოძრაობასა და სისწრაფეშიც კი ტოლსწორად იყვნენ მეტოქესთან.

კარში პირველი დარტყმა მასპინძლებმა განახორციელეს, ზვიად ფხაკაძემ შორიდან გამოსცადა ახალგაზრდული ნაკრების გოლკიპერი. სტუმრებმა სახიფათო კუთხურით უპასუხეს, ვალერი გაგუას ჩაწოდებულზე ყველას მისმა სეხნია აბრამიძემ დაასწრო, მაგრამ თავური გაუცუდდა.

რევაზ ძოძუაშვილმა ვალერი გაგუას გარდა კიდევ ორი ისეთი მოთამაშე გამოიყვანა სასტარტო შემადგენლობაში, რომელთაც ფეხი ჯერაც ვერ მოუკიდებიათ ძირითადში — არჩვაძე და ჭელიძე.

ექსპერიმენტმა ვერ გაამართლა — პირველი ტაიმის შემდეგ განხორციელებული შეცვლებიც ამის დასტურია.

ვერ ვიტყვით, „ლოკომოტივი" მოდუნებული იყოო, უბრალოდ თავდაჯერებულად ირჯებოდნენ რკინიგზელები, ტემპის მომატებას ერიდებოდნენ, დინჯად ცდილობდნენ ფონს გასვლას და გოლიც მალევე გაიტანეს — გიორგი ბალაშვილმა დაახლოებით 22 მეტრიდან ძლიერად დაარტყა, ბურთი მიწაზე არეკნით გაახვია თედო ბოდოკიას კარის ბადეში.

პირველი გოლის შემდეგ იმერლებმა უფრო შმაგად შეუტიეს. აღნიშვნის ღირსია მათი სხარტად, მოხდენილად გათამაშებული „კვადრატები", „კედლები" ბურთის ფლობის უნარი.

პირველი ტაიმის მიწურულს კი გუნდი კაპიტანმა, მრავალნაცადმა ბესიკ ბერაძემ დაალალატა მაშინ, როცა სწორედ მას მართებდა სანიმუშო და სამაგალითო ქცევა მინდორზე. ბერაძე მატჩის არბიტრ ავთანდილ ორდინიძესთან შელაპარაკებისთვის ჯერ ყვითელი ბარათით დაისაჯა, არაეთიკურად გამოხატული უკმაყოფილებისთვის კი — გაძევებით. ამის შემდეგ მეტად დაიძაბა სიტუაცია მოედანზე, ტრიბუნებსაც ადეკვატური რეაქცის ტალღამ გადაუარა — ყველაფერში დამნაშავედ ორდინიძე შერაცხეს და, რა თქმა უნდა, არბიტრი იმ მომენტში დიდ ფსიქოლოგიურ ზეწოლას განიცდიდა, თუმც მალე მასპინძლებმა სწრაფი იერიში განახორციელეს, ბურთი „ლოკომოტივის" საჯარიმოში შეჭრილ ზვიად ქუთათელაძეს გადასცეს, რომელიც მყისვე წვიმისგან ატალახებულ მინდორზე განერთხა — არც მისთვის, არც არავისთვის ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ არბიტრი თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ მიუთითებდა. ერთი სიტყვით არდასანიშნი პენალტი დანიშნა ორდინიძემ, მაგრამ შექმნილი სიტუაციის გამო ენა არ მოუბრუნდება კაცს მის გასაკიცხად. ისიც ნაღდია, რომ ლონლაძის უნაკლოდ შესრულებული პენალტი ამ წყვილის ორრაუნდიან ბრძოლაში ფაქტობრივად ვერაფერს წყვეტს — არბიტრმა სამშვიდობო მისია პირნათლად შეასრულა.

კაცნაკლული წყალტუბოელები არც მეორე ტაიმში შედრკნენ. იყო ბრძოლა და თავდადება, სწრაფი კონტრიერიშები, ტერიტორიული უპირატესობა კი, პირველი 45 წუთისგან განსხვავებით, უკვე „ლოკომოტივისა" იყო, სახიფათო მომენტებიც მხოლოდ სტუმრებმა შექმნეს. მიზანმა უმტყუნათ გონჩაროვსა და ჭიჭველაშვილს, სამაგიეროდ რუსიამ ივარგა, როცა ბალაშვილმა მარჯვნიდან ჩააწოდა და თავურით ახლოდან გამარჯვებისა შეაგდო. ამასობაში „სამგურალს" ძალა და დენთის მარაგი გამოელია, აშკარა გახდა „ლოკომოტივის" უპირატესობა ძალაში და, რაღა თქმა უნდა, კლასშიც. იკლო ტემპმა, რომელიც არცთუ ისე დაბალი გახლდათ, მაგრამ მთავარი, ჩვენი აზრით, მაინც ისაა, რომ მატჩი ზედმიწევნით სათასო გამოდგა, ქვედალიგელმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია დღესდღეობით ერთ-ერთ საუკეთესო ქართულ კლუბს.

სიმპათიურად გამოიყურება წყალტუბოს „სამგურალი" და ცოტა არ იყოს, უცნაურიც კია, უმაღლეს ლიგაში გასვლის კანდიდატი, რომ არ არის. „ლოკომოტივზე" კი აბა, რა უნდა ითქვას, ჯერ კიდევ მეოთხედფინალის წოლისყრის შემდეგ ორივე ფეხით ნახევარფინალში იყო.

# ფილია მისანი და იმისთანები

**ფოთი**
6 დეკემბერი
14 საათი
ფაზისი
1 000 (ტევადობა 6 500)

**კოლხეთი 1:1 ტორპედო**

0:1 იონანიძე (5), 1:1 გოგიაშვილი (81)
**კოლხეთი:** მ. გვასალია, ქუნთელია, პაპავა, გ. ჩიტაია, ქანტურიძე, მაღლაკელიძე, ღლონტი, ახალკაცი, გოგიაშვილი, შავგულიძე (ხუჭუა 53, კრასოვსკი 73), ე. გვასალია
სათადარიგონი: ჩემია, თოფურია, გოჩა ქანტურია, ფანჩულიძე
**ტორპედო:** ზოიძე, ახვლედიანი, შალამბერიძე (მუჯირილაძე 46), ხვადაგიანი, მახვილაძე, ზ. არჩვაძე, გუჩუა (თავბერიძე 84), ასათიანი, გაბიდაური, მ. ბობოხიძე (კვეტენაძე 60), იონანიძე
სათადარიგონი: ტოგონიძე, თურმანიძე, კვერნაძე
**გაფრთხილება:** ასათიანი (67), ახალკაცი (67), იონანიძე (88)
**მსაჯები:** დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); კ. მესხი (ზუგდიდი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

**იუზა კაციტაძე ფოთიდან**

**ზუსტად** ერთი კვირის წინ კოლხებმა „ტორპედოს" ჩემპიონატის მატჩში უმასპინძლეს. სოსო ფილიას შეგირდებმა უშეღავათო ბრძოლა გაუმართეს ქუთაისელებს, ალმავლობით ითამაშეს და მეტოქეს პირველი საგარეო მარცხი აგემეს. კმაყოფილებას ვერ მალავდა იმ მატჩის შემდეგ კოლხთა დამრიგებელი.

ჩემპიონის წინააღმდეგ სწორი ტაქტიკა ავირჩიეთ, ბიჭებმა პირნათლად შემისრულეს დავალება და ამიტომაც მოვიგეთო. მაშინ ფილიამ „ტორპედო" — „კოლხეთის" თასის მეოთხედფინალის შანსებიც შეაფასა, 60X40 ტორპედოს სასარგებლოდ. გაამართლებს თუ არა მწვრთნელის ვარაუდი, ამას სულ მალე, 10 დეკემბერს შევიტყობთ, „კოლხეთი" საპასუხო თამაშზე რომ ესტუმრება „ტორპედოს". ისე, სოსო ფილია მისანიცაა მგონი — გუშინდლიდან მისი პროგნოზი რეალობასთან სულ ახლოს დადგა, რადგანაც ზღვისპირელები საშინაო შეხვედრაში ოდენ ფრეს დასჯერდნენ და ნახევარფინალში გასვლის შანსი ერთიორად შეიმცირეს.

ერთი კვირის წინანდელ მატჩთან შედარებით მეტოქეები საგრძნობლად გადახალისებული შემადგენლობებით გავიდნენ სათამაშოდ. „ტორპედოში" დავით ჯანაშიას (დისკვალიფიცირებული გახლდათ) და გიორგი იმედაძის ნაცვლად ზურაბ არჩვაძე და მიხეილ ბობოხიძე მოგვევლინნენ ძირითადში. მასპინძელთა რიგებში კი ერთბაშად კახა გოროზია, ვალერი ტორჩინავა, გელა ფანჩულიძე, დავით კვირკველია ვეღარ ვიხილეთ სხვადასხვა მიზეზების გამო. კოლხთა გამთამაშებელ თამაზ კიკლიაშვილს რაც შეეხება, იგი თავისიანებს არც ერთი კვირის წინ დახმარებია.

რთული ამოცანის წინაშე იდგნენ მასპინძლები. ჩემპიონის მეორედ დამარცხება, თანაც შესუსტებული შემადგენლობით, ცოტა არ იყოს, საძნელო საქმე გახლდათ. მით უმეტეს, გაცილებით მობილიზებული ეწვია „ფაზისს" და ჩანდა, კიდევ ერთხელ შერცხვენას არ აპირებდა. ეს საწყის წუთებივე შეიქმნა ნათელი. თამაში მაღალ ტემპში დაიწყო და კოლხთა გამოწვევას სტუმრებმა სწრაფი გოლით უპასუხეს. იონანიძემ კარგად ისარგებლა კოლხთა დაცვის ცენტრში დაშვებული შეცდომით (ჩიტაია მოსაგერიებლად ბურთს ვერ მისწვდა) და დაახლოებით 13 მეტრიდან ძლიერად და რაც მთავარია, ზუსტად დაარტყა.

მოგეხსენებათ, კოლხეთი ის გუნდი არ არის, მარცხს იოლად შეეგუოს და მასპინძლებმაც მდგომარეობის გამოსწორება სცადეს. მერვე წუთზე მათ გათანაბრების კარგი შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ ირაკლი ზოიძესთან პირისპირ გასულმა ელდარ გვასალიამ მომენტით ვერ ისარგებლა, მეკარეს მოახვედრა ბურთი და კუთხურსღა გამორჩა. პირველ ტაიმში გატანის უკეთესი შანსი კოლხებს არ ჰქონიათ, არადა ბევრს კი ცდილობდნენ. ქუთაისელი მცველები ფხიზლად იყვნენ და გიორგი გოგიაშვილს და ზაველ ღლონტს მხოლოდ შორიდან დაარტყმევინეს.

შესვენების შემდეგ ნაწვიმარ, გვარიანად ატალახებულ მინდორზე ხისტი, ძალისმიერი თამაში გაჩაღდა ისევ მაღალ ტემპში. წესით და რიგით, 51-ე წუთზე „ტორპედო" მეტად უნდა დაწინაურებულიყო. სტუმართაგან გამორჩეულად მოთამაშე მალხაზ ასათიანმა ზუსტად გაუჭრა კოლხთა საჯარიმოში იონანიძეს, მანაც მეკარესთან პირისპირ გასვლა მოახერხა, თითქოს კარშიც კარგად დაარტყა, მაგრამ ბურთმა რაღაც სანტიმეტრებში ჩაუქროლა ძელს. ამის შემდეგ მთელი ნახევარი საათი ბურთი მეტწილად მოედნის ცენტრში ტრიალებდა, მასპინძელთა მხრიდან შეტევის წამოწყების ყველა ცდა კი უშედეგოდ მთავრდებოდა. ტორპედოელები იოლად უმკლავდებოდნენ მეტოქის ქაოტურ იერიშებს.

დაძაბულობამ, ვნებათაღელვამ ბოლოსკენ იმატა. 81-ე წუთზე მომხდარმა თამაშში სამწუთიანი პაუზა ჩამოაგდო. კოლხებმა ქუთაისელთა საჯარიმოში ჩაჰკიდეს ბურთი, რომლის დასაუფლებლადაც კარიდან გამოსულმა ზოიძემ და კრასოვსკიმ საჰაერო დუელი გამართეს. ფოთელმა მოურიდებლად ითამაშა. მისი იდაყვი მეკარეს სახეში მოხვდა. ზოიძე ძირს დაეცა, ბურთი კი გოგიაშვილს მიუგორდა და... ცარიელ კარში გატანას ბევრი აღარ უნდოდა. არბიტრმა უმალ გოლი დააფიქსირა. ჰოდა, აღშფოთდა სახეგასისხლიანებული ზოიძე, მოედნის ცენტრში მიეჭრა არბიტრ დავით სანაიას, გოლის არჩათვლას თხოვდა. ტორპედოელთა ალყაში მოექცა მსაჯი, მაგრამ უკან აღარ დაუხევია.

მერე ერთხელაც შეწყდა თამაში. იონანიძე წამოეგო პროვოკაციაზე. პაპავას მორიგი უხეშობა ვეღარ მოუთმინა და წაქცეულს ფეხი ჩაარტყა. არბიტრმა ეს შენიშნა და ტორპედოელის დასასჯელად ჯიბისკენაც წაიღო ხელი, მაგრამ ვინ დააცადა. სანაია ისევ ალყაში აღმოჩნდა. ძლივს დაიძვრინა იქედან თავი და როცა ეს მოახერხა, იონანიძეს ოდენ ყვითელი ბარათი აკმარა.

აგინეს, მაგრამ რა აგინეს გუშინ მსაჯებს ფაზისზე. მასპინძლებმაც და სტუმრებმაც. ყველაზე მეტი სანაიას მოხვდა. ფედერაციის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარე ანატოლი მილჩენკოც გახდა, რომელიც მღელვარებისგან მთლად გამშრალიყო.

# სიყვარულის და ამხანაგობის დღე

## 14 თებერვალს უკრაინის ნაკრები გვესტუმრება

**წმინდა** ვალენტინის დღეს, 14 თებერვალს, საქართველოს ეროვნული გუნდი უკრაინის ნაკრებს უმასპინძლებს. ამ ამხანაგური მატჩის ჩატარების თაობაზე უკვე მოილაპარაკეს.

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან წინასწარ შეთანხმებას მივაღწიეთ. თბილისში უკრაინის ეროვნულ გუნდთან ერთად ჩვენი ახალგაზრდებიც გაემგზავრებიან. თებერვლის „ვალს" კი ქართველები სავარაუდოდ აგვისტოში დაგვიბრუნებენ და კიევში გვესტუმრებიან — განაცხადა უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ოლეგ ბაზილევიჩმა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, უკრაინასთან მატჩი თბილისში გაიმართება. ამხანაგური თამაშებისთვის სტადიონზე უეფას სტანდარტების შესაბამისი განათება აცილებელი არ არის და თებერვლის მეტოქეებსაც ქართველები ალბათ ეროვნულზე დაუხვდებიან.

უკრაინელებთან ჩვენებურებს აქამდე ორჯერ შეხვედრიან და კიევში 0:4, თბილისში კი 0:1 აქვთ წაგებული.

შეგახსენებთ, საქართველოს ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის უახლოესი შესარჩევი მატჩი 28 მარტს აქვს, ჩვენებმა რუმინელებს უნდა უმასპინძლონ და თებერვლის შუა რიცხვებში ჩატარებული ამხანაგური შეხვედრა, თანაც საკმაოდ ძლიერ მეტოქესთან, ვფიქრობთ, ძალიან გამოადგებათ.

ერთიცაა, უეფას წეს-კანონებით ფეხბურთელის გამოძახება ეროვნულ გუნდში წელიწადში შვიდჯერაა შესაძლებელი. საქართველოს ნაკრებს კი 2001 წელს ექვსი შესარჩევი მატჩი აქვს ჩასატარებელი და ნაკრების მწვრთნელებზე — რევაზ ძოძუაშვილსა და დავით ყიფიანზე იქნება დამოკიდებული, უკრაინელებს უძლიერეს შემადგენლობას დაახვედრებენ თუ...

კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი 24 აპრილს ქართველებს ისრაელის ნაკრებთან აქვთ დაგეგმილი.

**ქობა ინასარიძე**



ორი წლის წინანდელი უკრაინა — საქართველო

# ვინ ყიდულობს გრიგოლეთის ბაზას?

**თითქოს** ბოლო დროს პრობლემები აკლიაო, ლანჩხუთის „გურიას" ახალი თავსატეხი გაუჩნდა. საქმე იქითკენ მიდის, რომ ერთ დროს სახელოვანი კლუბი შეიძლება უბაზოდ დარჩეს.

მართალია, წლეულს გურულებს გარკვეული პროგრესი აქვთ, რაზეც ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის ლიდერობაც მეტყველებს, მაგრამ ძველი ვალები მაინც კარგა ბლომად შემორჩენიათ. სწორედ ამ ვალებმა შეიძლება შეიწიროს გრიგოლეთის ბაზა.

ვინ არიან მევალეები? საფეხბურთო კლუბს 91 ათასი ლარი გაერთიანება „საქნავთობპროდუქტის", ლანჩხუთის მოძრავ-მექანიზებული კოლონის და რაიონული გამგეობისა მართებს.

გრიგოლეთის ბაზის აუქციონზე გაყიდვის პირველი მცდელობა 17 ნოემბერს ჩაიშალა. ბაზა, რომელსაც ექვსი ჰექტარი მიწა ეკუთვნის, მხოლოდ 136 000 ლარად შეფასდა(?!). თანაც თავის დროზე სასამართლო ისე ჩატარებულა, რომ მას სახელმწიფოსა და კლუბის წარმომადგენლები არ დასწრებიან. ირკვევა, რომ წესების დაცვით ხელშეკრულება კლუბთან მხოლოდ „საქნავთობპროდუქტს" გაუფორმებია, ხოლო დანარჩენების პრეტენზიები დასაზუსტებელი ყოფილა.

ამ გაურკვევლობის ფონზე აუქციონის ჩამტარებელთ ლანჩხუთელებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს და ისიც 14 დეკემბრისთვის გადაიდო. თუმცა, საქმის გადადებით ბაზის იაფად ხელში ჩამგდებთ უბრალოდ დრო გაეწელათ, თორემ საწადელს რომ მაინც აისრულებენ, ეს ცხადზე ცხადია.

სხვათა შორის, დღემდე ოფიციალურად უცნობია, ვის უნდა გრიგოლეთის ბაზის დასაკუთრება. აი, კულუარებში კი მსურველთა შორის მოიხსენიებენ ვინმე მერაბ აბაშმაძეს, რომელიც წარმოშობით ლანჩხუთელი ყოფილა და ამჟამად თბილისის პროკურატურის ერთ-ერთი განყოფილების გამგეა.

თუმცა ლანჩხუთში მიაჩნიათ, რომ აბაშმაძის ზურგს უკან დგას პიროვნება, რომელსაც თავისი სახელის გამომზეურება ხელს არ აძლევს. ასეა თუ ისე, შავი ზღვის სანაპიროზე მიწის ნაკვეთის ხელში ჩაგდება მავანს ნივრის ფასად ამოუჭრია გულში, ხოლო „გურია" და მით უმეტეს, ქართული ფეხბურთი ნაკლებად ედარდება. ამას ისიც მოწმობს, რომ „გურიას" სხვა ქონებაც აქვს, მაგრამ მყიდველები პირველ რიგში მაინცდამაინც გრიგოლეთის ბაზას უმიზნებენ.

**გოჩა ჯანყუბია ლანჩხუთიდან**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს 12 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე წრე

# საშემოდგომო ეტაპი

სტატისტიკა

***მეთორმეტე ეროვნულმა ჩემპიონატმა საშემოდგომო ეტაპი მოილია, მაგრამ საგაზაფხულოდ 5, საპირველეტაპო ტური კიდევ მოიტოვა. დღეს სწორედ განვლილი 17 ტურის სტატისტიკას გთავაზობთ.***

## ჩემპიონატის სტატისტიკა

| | |
|---|---|
| ტური | 17 |
| მატჩი | 101 |
| გოლი | 243 |
| გოლი საშუალოდ მატჩში | 2,40 |
| გოლი საშუალოდ ერთ ტურში | 14,4 |
| მასპინძელთა მოგება | 50 (49%) |
| ფრეები | 20 (19%) |
| სტუმართა მოგება | 31 (32%) |
| საერთო დასწრება | 160 550 |
| საშუალო დასწრება მატჩზე | 1 574 |
| საუკეთესო დასწრება ტურზე | XIII: 18 050 |
| მწირი დასწრება ტურზე | VIII: 4 600 |
| უხვგოლიანი ტური | XVI: 21 |
| გოლმწირი ტური | VI: 7 |

## გუნდების ბომბარდირები

| № | გუნდი | ბომბარდირი | გოლი | გუნდის % |
|---|---|---|---|---|
| 1 | დილა | ხორგუაშვილი | 3 | 23 |
| 2 | ბათუმი | ა. მუჯირი | 7 | 31 |
| | დინამო | ზირაქიშვილი | 10 | 23 |
| 4 | გორდა | მიშველიძე | 4 | 30 |
| 5 | იბერია | ოდიკაძე | 1 | 33 |
| | იბერია | მუმლაძე | 1 | 33 |
| | იბერია | გ. ნოზაძე | 1 | 33 |
| 8 | კოლხეთი | ფანჩულიძე | 4 | 21 |
| | კოლხეთი | ე. გვასალია | 4 | 21 |
| 10 | ლოკომოტივი | რუსია | 7 | 21 |
| 8 | მერანი | დ. გოდერძიშვილი | 9 | 52 |
| 9 | სიონი | მოსეშვილი | 4 | 33 |
| 10 | ტორპედო | იონანიძე | 9 | 32 |
| 11 | თსუ | წუწუნავა | 7 | 41 |
| 12 | ვიტ ჯორჯია | მელქაძე | 6 | 23 |

## უხვმაყურებლიანი მატჩები

| № | მატჩი | დასწრება | ტურის № |
|---|---|---|---|
| 1 | ტორპედო — ლოკომოტივი 0:0 | 12 000 | 15 |
| | ტორპედო — დინამო 0:1 | 12 000 | 13 |
| 3 | ბათუმი — ტორპედო 0:3 | 8 000 | 14 |
| 4 | ტორპედო — ბათუმი 2:0 | 6 000 | 3 |
| 5 | დინამო — ლოკომოტივი 0:1 | 5 000 | 17 |
| | ტორპედო — ვიტ ჯორჯია 1:1 | 5 000 | 11 |
| | ტორპედო — სიონი 1:0 | 5 000 | 1 |

## უხვგოლიანი მეოთხედი

| № | | დროის მონაკვეთი | | გოლი | % |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | VI მეოთხედი | 75-90 | წუთი | 57 | 23 |
| 2 | V მეოთხედი | 61-75 | წუთი | 44 | 19 |
| 3 | III მეოთხედი | 31-45 | წუთი | 40 | 17 |
| 4 | IV მეოთხედი | 46-60 | წუთი | 39 | 16 |
| 5 | I მეოთხედი | 00-15 | წუთი | 32 | 13 |
| 6 | II მეოთხედი | 16-30 | წუთი | 30 | 12 |

## ამპლუათა შედეგიანობა

| | დაცვა | | შუახაზი | | თავდასხმა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გუნდი | გოლი | % | გოლი | % | გოლი | % |
| ბათუმი | 2 | 9 | 12 | 54 | 8 | 37 |
| გორდა | 1 | 8 | 4 | 34 | 7 | 58 |
| დილა | 0 | 0 | 7 | 58 | 5 | 42 |
| დინამო | 5 | 12 | 8 | 19 | 29 | 69 |
| ვიტ ჯორჯია | 1 | 4 | 9 | 39 | 13 | 57 |
| თსუ | 1 | 6 | 2 | 12 | 13 | 82 |
| იბერია | 1 | 34 | 2 | 66 | 0 | 0 |
| კოლხეთი | 2 | 10 | 9 | 47 | 8 | 43 |
| ლოკომოტივი | 5 | 15 | 8 | 25 | 19 | 59 |
| მერანი | 2 | 12 | 3 | 18 | 12 | 70 |
| სიონი | 1 | 9 | 1 | 9 | 9 | 81 |
| ტორპედო | 2 | 8 | 13 | 46 | 13 | 46 |

**შენიშვნა** სერიათა ცხრილებში დ: დასრულებული, მ: მიმდინარე

## მოგებათა სერია

| № | გუნდი | მოგება | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტორპედო | 10 | დ | 1 | 10 |
| 2 | დინამო | 8 | დ | 9 | 16 |
| 3 | ლოკომოტივი | 6 | დ | 9 | 14 |
| 4 | ბათუმი | 3 | დ | 11 | 13 |
| | მერანი | 3 | მ | 15 | 17 |
| | ვიტ ჯორჯია | 3 | დ | 4 | 6 |
| 7 | დილა | 2 | დ | 2 | 3 |
| | კოლხეთი | 2 | მ | 16 | 17 |
| | სიონი | 2 | დ | 9 | 10 |
| | თსუ | 2 | დ | 4 | 5 |
| 11 | გორდა | 1 | დ | 15 | 15 |
| 12 | იბერია | 0 | დ | 0 | 0 |

## უფრეო სერია

| № | გუნდი | უფრეოდ | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლოკომოტივი | 14 | დ | 1 | 14 |
| 2 | კოლხეთი | 11 | დ | 1 | 11 |
| 3 | იბერია | 10 | დ | 7 | 16 |
| | ტორპედო | 10 | დ | 1 | 10 |
| 5 | ბათუმი | 9 | დ | 1 | 9 |
| | დინამო | 9 | მ | 9 | 17 |
| 7 | სიონი | 7 | დ | 1 | 7 |
| | თსუ | 7 | დ | 1 | 7 |
| 9 | გორდა | 5 | დ | 9 | 13 |
| 10 | დილა | 4 | მ | 14 | 17 |
| | მერანი | 4 | მ | 14 | 17 |
| 12 | ვიტ ჯორჯია | 3 | დ | 14 | 16 |

## ფრეთა სერია

| № | გუნდი | ფრე | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გორდა | 5 | დ | 4 | 8 |
| 2 | კოლხეთი | 2 | დ | 14 | 15 |
| | მერანი | 2 | დ | 12 | 13 |
| | სიონი | 2 | დ | 8 | 8 |
| | ტორპედო | 2 | დ | 11 | 12 |
| 6 | დილა | 1 | დ | 13 | 13 |
| | ბათუმი | 1 | მ | 17 | 17 |
| | დინამო | 1 | დ | 8 | 8 |
| | იბერია | 1 | მ | 17 | 17 |
| | ლოკომოტივი | 1 | დ | 15 | 15 |
| | თსუ | 1 | დ | 15 | 15 |
| | ვიტ ჯორჯია | 1 | მ | 17 | 17 |

## წაუგებელი სერია

| № | გუნდი | უწაგებლოდ | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტორპედო | 12 | დ | 1 | 12 |
| 2 | დინამო | 10 | დ | 7 | 16 |
| 3 | ლოკომოტივი | 9 | მ | 9 | 17 |
| 4 | კოლხეთი | 8 | მ | 10 | 17 |
| 5 | ვიტ ჯორჯია | 7 | დ | 3 | 9 |
| 6 | გორდა | 6 | დ | 3 | 8 |
| 7 | ბათუმი | 5 | დ | 9 | 13 |
| 8 | მერანი | 4 | დ | 3 | 6 |
| | სიონი | 4 | დ | 7 | 10 |
| 10 | დილა | 3 | დ | 2 | 4 |
| 11 | თსუ | 2 | დ | 7 | 8 |
| 12 | იბერია | 1 | მ | 17 | 17 |

## წაგებათა სერია

| № | გუნდი | წაგება | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | იბერია | 10 | დ | 7 | 16 |
| 2 | გორდა | 5 | დ | 9 | 13 |
| 3 | დილა | 4 | დ | 9 | 12 |
| | ბათუმი | 4 | დ | 5 | 8 |
| | სიონი | 4 | დ | 3 | 6 |
| 6 | კოლხეთი | 3 | დ | 3 | 5 |
| | თსუ | 3 | დ | 12 | 14 |
| 8 | დინამო | 1 | მ | 17 | 17 |
| | ლოკომოტივი | 1 | დ | 8 | 8 |
| | მერანი | 1 | დ | 14 | 14 |
| | ტორპედო | 1 | დ | 16 | 16 |
| | ვიტ ჯორჯია | 1 | დ | 15 | 15 |

## უგოლო სერია

| № | გუნდი | უგოლოდ | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | იბერია | 7 | დ | 5 | 11 |
| 2 | დილა | 5 | დ | 9 | 13 |
| 3 | გორდა | 4 | დ | 11 | 14 |
| | მერანი | 4 | დ | 11 | 14 |
| 5 | ბათუმი | 2 | დ | 5 | 6 |
| | კოლხეთი | 2 | დ | 14 | 15 |
| | სიონი | 2 | მ | 16 | 17 |
| | ტორპედო | 2 | დ | 15 | 16 |
| | თსუ | 2 | დ | 14 | 15 |
| 10 | დინამო | 1 | მ | 17 | 17 |
| | ლოკომოტივი | 1 | დ | 15 | 15 |
| | ვიტ ჯორჯია | 1 | დ | 15 | 15 |

## მოუგებელი სერია

| № | გუნდი | უმოგებოდ | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | იბერია | 17 | მ | 1 | 17 |
| 2 | გორდა | 11 | დ | 4 | 14 |
| 3 | დილა | 10 | დ | 4 | 13 |
| 4 | მერანი | 8 | დ | 7 | 14 |
| 5 | სიონი | 7 | მ | 11 | 17 |
| 6 | თსუ | 6 | მ | 12 | 17 |
| 7 | ბათუმი | 4 | მ | 14 | 17 |
| 8 | კოლხეთი | 3 | დ | 3 | 5 |
| | ტორპედო | 3 | დ | 11 | 13 |
| 10 | ვიტ ჯორჯია | 2 | დ | 10 | 11 |
| 11 | დინამო | 1 | მ | 17 | 17 |
| | ლოკომოტივი | 1 | დ | 15 | 15 |

## მშრალი სერია

| № | გუნდი | მშრალად | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლოკომოტივი | 5 | მ | 13 | 17 |
| | ვიტ ჯორჯია | 5 | დ | 4 | 8 |
| 3 | კოლხეთი | 4 | მ | 14 | 17 |
| | ტორპედო | 4 | დ | 1 | 4 |
| 5 | დინამო | 3 | დ | 13 | 15 |
| | მერანი | 3 | მ | 15 | 17 |
| | სიონი | 3 | დ | 7 | 9 |
| 8 | დილა | 2 | დ | 13 | 14 |
| | ბათუმი | 2 | დ | 11 | 12 |
| | გორდა | 2 | დ | 14 | 15 |
| 11 | იბერია | 1 | მ | 17 | 17 |
| | თსუ | 1 | დ | 15 | 15 |

## ყველა ანგარიში და სატურნირო ცხრილი

| | დილ | ბათ | დინ | გორდ | იბე | კოლ | ლოკ | მერ | სიო | ტორ | თსუ | ვიტ | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | № |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დილა | ● | | 2:2 | 2:2 | 1-0 | | 0:1 | 2:1 | | 0:1 | 4:2 | 0:3 | 17 | 4 | 3 | 10 | 13:32 | 15 | 10 |
| ბათუმი | 3:0 | ● | 3:4 | 1:0 | 3:0 | | 1:2 | | 2:1 | 0:3 | 3:1 | 1:1 | 17 | 6 | 3 | 8 | 22:24 | 21 | 7 |
| დინამო | | 2:0 | ● | 2:0 | | 3:2 | 0:1 | 4:0 | 9:0 | 0:3 | 4:1 | 4:0 | 17 | 12 | 1 | 4 | 43:17 | 37 | 3 |
| გორდა | 3:0 | 3:1 | | ● | 0:0 | 1:0 | 0:1 | 2:2 | 1:2 | | 1:1 | 0:0 | 17 | 3 | 7 | 7 | 13:22 | 16 | 9 |
| იბერია | 0:1 | | 0:5 | 0:0 | ● | 1:2 | 0:1 | 0:2 | | 0:3 | | 0:3 | 17 | 0 | 2 | 15 | 3:35 | 2 | 12 |
| კოლხეთი | 1:0 | 1:0 | | 0:0 | 2:0 | ● | | 0:0 | 1:0 | 1:0 | 2:4 | | 17 | 8 | 3 | 6 | 19:14 | 27 | 5 |
| ლოკომოტივი | | | 3:0 | 6:0 | 3:1 | 2:1 | ● | 2:0 | 1:0 | 0:1 | 2:0 | | 17 | 14 | 1 | 2 | 32:7 | 43 | 1 |
| მერანი | 0:0 | 1:1 | | 2:0 | 3:1 | 1:0 | | ● | 0:0 | | 1:0 | 2:2 | 17 | 6 | 6 | 5 | 17:17 | 24 | 6 |
| სიონი | 2:0 | 1:1 | 1:2 | | 1:0 | 0:4 | 1:2 | | ● | 1:1 | 0:1 | 1:1 | 17 | 4 | 4 | 9 | 12:27 | 16 | 8 |
| ტორპედო | 5:0 | 2:0 | 0:1 | 2:0 | | 2:1 | 0:0 | 2:1 | 1:0 | ● | | 1:1 | 17 | 12 | 3 | 2 | 28:6 | 39 | 2 |
| თსუ | 3:1 | 1:2 | 0:1 | | 1:0 | 0:0 | 1:5 | 0:1 | | 0:1 | ● | 1:4 | 17 | 4 | 2 | 11 | 17:32 | 14 | 11 |
| ვიტ ჯორჯია | 3:0 | 1:0 | 1:0 | | 4:0 | 0:1 | 1:0 | 1:0 | 0:1 | | | ● | 17 | 9 | 5 | 3 | 26:12 | 32 | 4 |

## ჩემპიონთა ლიგა. II ტური. C ჯგუფი

### ლიონი 3:0 სპარტაკი

**1:0 მარლე (2), 2:0, 3:0 ანდერსონი (31, 41)**
**ლიონი: კუპე, დეფლანდრე, ედმილსონი, მიულერი, ბრეშე, ვიოლო, ლინარესი, ლეგლი, დორასო (მალბრანკი 81), ს. ანდერსონი (ბაკი 72), მარლე (ვერელი 89)**
**მწვრთნელი: ჟაკ სანტინი**
**სპარტაკი: ფილიმონოვი, კოვტუნი, პარფიონოვი, ბუშმანოვი (კალინიჩენკო 46), ჩუისე, ბეზროდნი, ბულატოვი, ტიტოვი, ბარანოვი, მარკაო, რობსონი (შჩეგოლევი 46)**
**მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი**
**მსაჯი: ხოსე ანტონიო ფერნანდეს მარინი (ესპანეთი)**
**36 000 მაყურებელი**

**„სპარტაკი"** დიდი რიხით ჩავიდა საფრანგეთში და უმალ გაახუნა ის ხოტბა, რომელსაც „არსენალთან" მოგების შემდეგ რუსულ პრესაში ასხამდნენ. ამბობენ, მოსკოველები ცალკე უთამაშებლობამ, ცალკე კიდევ უაზრო მედიდურობამ იმსხვერპლაო. ეგებ მეორე ვერსია უფრო სარწმუნო იყოს. აი, რა უთხრა მატჩამდე „სოვეტსკი სპორტს" „სპარტაკის" კაპიტანმა ეგორ ტიტოვმა: „ფავორიტები ჩვენ ვართ. „ლიონი" — „მეცის" თამაშის ნახვის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ფრანგებს ერთი თავით ვჯობივართ, თუმცა მეტოქესთან ამხელა უპირატესობა გამარჯვებას ჯერ კიდევ არ ნიშნავს. ამიტომ შევეცდებით დავამტკიცოთ, რომ მართლაც მრისხანე ძალა გაგვაჩნია. „ლიონი" გვიფრთხის და თუ სწრაფ გოლს გავიტანთ, მერე ჩვენი ამოცანა, უბრალოდ ბურთის გაკონტროლება იქნება".

კაპიტანი ტიტოვი ამ ბოლო დროს რაღაც უცნაურად ლაპარაკობს: პირველი ჯგუფური ეტაპის შემდეგ გამოაცხადა, „სპარტაკი" მომავლის ფეხბურთს თამაშობს, ევროპა კი ამისთვის ჯერ მზად არ არისო...

ცხადია, როცა გუნდში ასეთი განწყობაა, კარგს არაფერს უნდა ელოდე და აკი დაისაჯნენ კიდეც მოსკოველები. სწრაფი გოლი მართლაც გავიდა, მაგრამ ის ფრანგებმა შეაგდეს — ლეგლმა სტუმარი მცველების შეუთანხმებლობით ისარგებლა, მარლე მეკარესთან პირისპირ დატოვა და 1:0. არადა, დაწყებიდან სულ 90 წამი გასულიყო.

ნელ-ნელა „სპარტაკმა" თითქოს დაალაგა თამაში, მაგრამ ტაიმის ბოლოს მასპინძელთა ბრაზილიელმა კაპიტანმა სონი ანდერსონმა ანგარიში გამანადგურებელი გახადა: ჯერ მარლემ მოუგო საჰაერო ბრძოლა ჩუისეს, ანდერსონს მშვენიერი პასი მისცა და ბრაზილიელმაც კოვტუნ-ფილიმონოვს აჯობა, მერე კი ბუშმანოვმა საკუთარ საჯარიმოსთან ბურთს ფეხი ააცილა, ისევ ანდერსონმა ისარგებლა, რამდენიმე სპარტაკელს გაექცა და — 3:0.

მანამდე სტუმრებსაც შეეძლოთ თავის გამოჩენა, მაგრამ მარკაოს წაქცევისთვის კუპეს კარის სიახლოვეს დანიშნული საჯარიმო დარტყმა ბეზროდნიმ ღრუბლებში გააფრინა. „სპარტაკი" მდგომარეობის გამოსწორებას მეორე ტაიმშიც ცდილობდა, მაგრამ უშედეგოდ.

„მაღალი კლასის ფეხბურთი ვითამაშეთ და ევროპული დონის გუნდი დავამარცხეთ — თქვა მატჩის შემდეგ ლიონელთა მწვრთნელმა ჟაკ სანტინიმ — მჯერა, ეს გამარჯვება საფრანგეთის ჩემპიონატში კარგი თამაშის საწინდარი გახდება. ვამაყობ ჩემი ფეხბურთელებით, თუმცა დასახვეწი კიდევ ბევრი გვაქვს. მოსკოველებს რამდენიმე საგოლე მომენტი შევაქმნევინეთ, მაგრამ მეკარემ გადაგვარჩინა. სწრაფმა გოლმა „სპარტაკს" სახიფათო კონტრშეტევების საშუალება მოუსპო. სამაგიეროდ, ეს ტაქტიკა ჩვენ გამოვიყენეთ და აკი გავიმარჯვეთ კიდეც".

ოლეგ რომანცევი, „სპარტაკის" მთავარი მწვრთნელი: „დღეს ჩემს დამცველებს ვერ ვცნობდი. ბუშმანოვს შანსი მივეცი, მაგრამ შევცდი — ასეთ დონეზე სათამაშოდ მზად არ აღმოჩნდა. გამოდის, წაგება ჩემი ბრალია, თუმცა შემდგომ ეტაპზე გასვლის შანსები არ დაგვიკარგავს, იმიტომ, რომ შეცდომებს აღარ გავიმეორებ და „სპარტაკიც" გაცილებით კარგად ითამაშებს. „ლიონმა" კი კარგი განსწავლულობა წარმოაჩინა. მან ჩვენი სუსტი მხარეები ჩინებულად გამოიყენა".

### არსენალი 2:2 ბაიერნი

**1:0 ანრი (3), 2:0 კანუ (55), 2:1 ტარნატი (56), 2:2 შოლი (66)**
**არსენალი: მანინგერი, ლუჟნი (ლორენი 81), კიოუნი, ეშლი კოული, ადამსი, ვიეირა, გრიმანდი, პირესი (ვილტორდი 76), ლიუნგბერგი, კანუ, ანრი**
**მწვრთნელი: არსენ ვენგერი**
**ბაიერნი: კანი, ლინკე, სფორცა, ტარნატი, სანიოლი (პაულო სერჟიო 46), კუფური, შოლი (ციკლერი 82), იერემისი, ეფენბერგი, სალიჰამიჯიჩი, ელბერი**
**მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი**
**მსაჯი: სტეფანო ბრასკი (იტალია)**
**35 318 მაყურებელი**

**„ბაიერნთან"** ვერმოგებით „არსენალმა" სატურნირო მდგომარეობა ერთობ გაირთულა: ორი ტურის შემდეგ ლონდონელებს ერთი ქულა მოუგროვდათ და ბოლო ადგილზე არიან. არადა, 2:0 იგებდნენ...

თამაშის დაწყება ნახევარი საათით დაგვიანდა. მიზეზი ისაა, რომ უშიშროების თანამშრომლები ზედმიწევნით ჩხრეკდნენ ფანებს, შედეგად სტადიონის მისადგომებთან საცობი წარმოიქმნა და დანიშნულ დროზე უამრავი გულშემატკივარი ტრიბუნაზე ვერ მოხვდა. ოფიციალურმა პირებმა გადაწყვიტეს, თამაში მხოლოდ მაშინ დაეწყოთ, როცა ფანები ადგილებს დაიკავებდნენ.

„არსენალმა" მატჩი „მოსკოვური სცენარით" დაიწყო და უკვე მეოთხე წუთზე გოლი გაიტანა — პირესმა მარცხენა ფრთაზე გაილაღა, ბურთი კანუს დაუგორა, ნიგერიელმა კი ანრი მოძებნა და 1:0. სხვათა შორის, ეს ტიერი ანრის პირველი გოლი გახლდათ წლევანდელ ჩემპიონთა ლიგაში.

კანუმ და ანრიმ მერეც არაერთხელ შეაწუხეს სტუმრები, მაგრამ ხან არ უმართლებდათ, ხანაც მეკარე კანი თამაშობდა დიდებულად.

მე-18 წუთზე ტარნატმა საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა, მაგრამ მსაჯმა პენალტი არ დანიშნა, ოც წუთში კი ადამსის თავური ლინკემ აისხლიტა და ბურთი ხარიხას მოხვდა.

სურათი არც მეორე ტაიმის დასაწყისში შეცვლილა და მეთოფეებმა თავისას მაინც მიაღწიეს. ანრიმ კანუს ვალი დაუბრუნა, ზუსტი პასით კარგ პოზიციაში გაიყვანა და 2:0. მასპინძლების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, თუმცა წუთიც არ გასულა, რომ ტარნატმა ერთი საპასუხო გაიტანა. კიდევ ათ წუთში ანგარიში გათანაბრდა. ლიუნგბერგმა თავის საჯარიმოსთან სფორცა წააქცია. ტარნატის დარტყმა კედელს მოხვდა, მაგრამ მსაჯმა გამეორება ბრძანა, ლიუნგბერგი კი კედლიდან დროზე ადრე გამოხტომისთვის გააფრთხილა. ამჯერად საჯარიმო შოლმა დაარტყა და ბურთი ცხრიანში ჩაჭედა.

მერე ნერვიულობა მეტი იყო, ვიდრე სახიფათო მომენტები და ანგარიშიც აღარ შეცვლილა — 2:2.

„გაწბილებული და გაბრაზებული გახლავართ — თქვა მეთოფეთა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა — ორი ბურთით იგებდე და ვერ გაიმარჯვო? კონცენტრაციის ასე დაკარგვა არაფრით შეიძლება. ოდნავ მოვდუნდით და მაშინვე დავისაჯეთ. მიუხედავად ამისა, ჯგუფიდან გასვლა კიდევ შეგვიძლია, ვინაიდან „ლიონმა" „სპარტაკს" დიდი ანგარიშით მოუგო. ამდენად, მთავარი ბრძოლები ჯერ წინაა".

**სოლომონ ბულისაშვილი**



REUTERS

არსენალი — ბაიერნი 2:2. მეთოფე ეშლი კოული შტეფან ეფენბერგსა (მარცხნივ) და ჰასან სალიჰამიჯიჩს გაექცა

| | C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაიერნი | | 1:0 | 13.02 | 14.03 | 3:2 | 4 |
| 2 | ლიონი | 6.03 | | 3:0 | 13.02 | 3:1 | 3 |
| 3 | სპარტაკი | 21.02 | 14.03 | | 4:1 | 4:4 | 3 |
| 4 | არსენალი | 2:2 | 21.02 | 6.03 | | 3:6 | 1 |

## ჩემპიონთა ლიგა. II ტური. D ჯგუფი

### რეალი 4:1 ანდერლეხტი

**1:0 მორიენტესი (12), 2:0 ფიგუ (23პ), 3:0 ელგერა (44), 4:0 რობერტო კარლოსი (73), 4:1 სტოიკა (89)**
**რეალი: კასილიასი, ჯერემი, კარანკა, იერო (ფლავიო კონსეისაო 67), რობერტო კარლოსი, მაკმანამანი, მაკელელე (სელადესი 78), ელგერა, ფიგუ, რაული (სავიო 55), მორიენტესი**
**მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე**
**ანდერლეხტი: დე ვილდე, კრასონი, დე ბოეკი, დოლი, დეედენი, ვან დიემენი, ვანდერეგე (სტოიკა 58), ჰასი (ილიჩი 63), გოორი, კოლერი, რაძინსკი**
**მწვრთნელი: ემე ანტუნესი**
**მსაჯი: ჰიუ დალასი (შოტლანდია)**
**55 000 მაყურებელი**

**„მატჩი** ეგრევე ჩვენი კარნახით დაიწყო, თანაც ადრეულმა გოლმა მთლად ფრთები შეგვასხა, მეტოქეს კი ხალისი დაუკარგა" — მადრიდელთა მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ ასე ახსნა მისი გუნდის შთამბეჭდავი თამაში.

მასპინძლები, მართლაც, უდიდეს უპირატესობას ფლობდნენ, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, თუმცა დელ ბოსკე ოდნავ აჭარბებს — მორიენტესის გოლამდე ორი სახიფათო მომენტი სწორედ „რეალის" კართან შეიქმნა. ორივეჯერ სტუმართა ჩეხ იან კოლერს შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ ჯერ კასილიასმა იყოჩაღა მეხუთე წუთზე, ოთხ წუთში კი ბურთი მისი კარის ძელს მოხვდა.

მაგრამ გაიტანა მორიენტესმა და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. თასის მფლობელი ჩვეულად ათამაშდა და ტაიმის ბოლომდე კიდევ ორჯერ შეაგდო: რაულის წაქცევისათვის დანიშნული პენალტი ფიგუმ გამოიყენა, მერე კი პორტუგალიელის მიერ კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი ივან ელგერამ დე ვილდეს კარში შეუჩერებლად შეჭედა.

ელგერაზე ცალკე უნდა ითქვას. დიდი ხანი არაა გასული, რაც ამ ფეხბურთელმა დაიჩივლა, დელ ბოსკე აღარ მენდობა და ეგებ, წასვლაზე ფიქრი დავიწყოო. თითქოს არც კლუბი იყო წინააღმდეგი, მაგრამ ახლა ეს კაცი ისე ათამაშდა, ძირითად შემადგენლობას აღარ შორდება. აგერ, გასულ უქმეებზე „რეალმა" ელგერას გვიანი გოლით გაიმარჯვა პამპლონაში, გუშინწინ კი სტივ მაკმანამანთან ერთად (კიდევ ერთი კინაღამ გაყიდული) „სანტიაგო ბერნაბეუს" მოედანზე საუკეთესო იყო.

...მეორე ტაიმში ელგერამ კიდევ ერთხელ დააჯახა, თუმცა ბელგიელთა მეკარემ ამჯერად თავი არ შეირცხვინა. აი, რობერტო კარლოსის ჩვეულ ჯარიმასთან კი დე ვილდე უძლური გამოდგა. ბოლო 15 წუთი „რეალი" დამშვიდდა, რამაც შეცვლაზე შესულ რუმინელ ალან სტოიკას პრესტიჟის გოლის გატანის საშუალება მისცა.

„ლაციოშიც" ბევრი ძლიერი ფეხბურთელია და „რეალშიც", მაგრამ რომაელები ინდივიდუალურად ირჯებიან, მადრიდელები კი გუნდურად თამაშში არიან შეუდარებელნი" — აღნიშნა „ანდერლეხტის" მწვრთნელმა ემე ანტუნესმა, რომლის გუნდიც პირველ ტურში გამარჯვების წყალობით მესამე ადგილზეა.

დელ ბოსკე კი, ორი მოგების მიუხედავად, თავისი გუნდის მეოთხედფინალისტად კურთხევას ჯერ ნაადრევად მიიჩნევს: „პირველი ორი მატჩის შემდეგ შარშანაც 6 ქულა გვქონდა, მაგრამ ბოლოს შემდეგ წრეში რის ვაი-ვაგლახით გავედით. ასე რომ, მთავარი ბრძოლა ჯერ კიდევ წინაა".



REUTERS მადრიდიდან

რეალი — ანდერლეხტი 4:1. მადრიდელთა კამერუნელი ჯერემი ნჯიტაპი და ბელგიელი დიდიე დედეჩი (ძირს)

### ლაციო 0:1 ლიდსი

**0:1 სმიტი (80)**
**ლაციო: პერუცი, პანკარო, ნესტა, ფერნანდუ კოუტუ, ფავალი, ნედვედი, ლომბარდო (გოტარდი 83), სიმეონე, ვერონი (რავანელი 71), სალასი, კრესპო**
**მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი**
**ლიდსი: რობინსონი, კელი, რადებე, ვუდგეიტი, მატეო, დაკური, ბოიერი, უილკოქსი (კიუელი 76), ბაკე, ვიდუკა, სმიტი**
**მწვრთნელი: დევიდ ოლირი**
**მსაჯი: კლოდ კოლომბო (საფრანგეთი)**
**45 000 მაყურებელი**

**ბოლო** დროს იშკილებიდან ჩამოვარდნილ რომის „ლაციოს" და მის გიჟმაჟ ტიფოზებს მორიგი იმედგაცრუება ხვდათ წილად: იორკშირიდან მოფრენილმა ახალგაზრდა მსროლელთა ბრიგადამ რომიდან სამი ქულა წაიღო.

„ლაციო" — „ლიდსის" თამაში ალბათ ყველაზე მძაფრი იყო სამშაბათის შეხვედრებში. აქ იყო ჯუზეპე პანკაროს ძელიდან ასხლეტილი თავური, ერნან კრესპოს აცილებანი და სტუმრთა მეკარე პოლ რობინსონის მცირე და დიდ გმირობანი კარის გადასარჩენად.

ჩეხი პაველ ნედვედი მთავარი ხიფათი იყ ლიდსელთათვის, რომელთაც იმ საღამოს ორი გმირი ჰყავდათ: დაცვაში კლდედ ქცეული ჯონათ ვუდგეიტი და რომაელთა მტანჯველი მარკ ვიდუ კა. „ლიდსი" არანაკლებ ხიფათიანად უტევდ მასპინძელთა კარს და თავის უტეხობას ყოვე ლწამს ამტკიცებდა.

საგოლე კომბინაცია კი შეცვლაზე შემოსუ ლმა, საბოლოოდ გამოჯანმრთელებულმა ჰარ კიუელმა წამოიწყო მარცხენა ფრთიდან: მა საჯარიმოს ხაზთან მდგომ ალან სმიტს გაუგო რა ბურთი. ამ უკანასკნელმა ვიდუკას დაუტოვ და თვითონ მცველთა ზურგსუკან გაუჩინარდ ავსტრალიელ გოლიათს ბევრი აღარ უფიქრი და რაც იფიქრა, საუცხოო იყო — ქუსლით დაუბრუნა ბურთი სმიტს, რომელმაც იგი კარი შორ კუთხეში შეასრიალა და ამით შეხვედრი ბედიც გადაწყვიტა.

საზამთრო შესვენების წინ „ლაციო" ქულათ გარეშე დარჩა, „ლიდსი" კი მეორე ადგილზ აცოცდა ჯგუფში.

დევიდ ოლირის შესვენებაზე უთქვამს თავ სიანებისთვის, თუ დაცვაში არ აირევით, თამაშ მოგებულია, უეჭველად გამტანები ვართო.

რომის სტადიონზე კი ერთი გნიასი იყო. სხ ვათა შორის, ეს სტადიონი განსაკუთრებულ იმავ ოლირისთვის. ორი წლის წინათ, როც ჯორჯ გრემმა „ლიდსის" მენეჯერობა მიატოვ და დროებით მწვრთნელად მის თანაშემწედ მყოფ ოლირი დანიშნეს, იორკშირელთა პირველი შე ხვედრა მისი მესაჭეობით აქავე შედგა „რომას" წინააღმდეგ.

„იტალიაში თანდათან უკეთ გამოგვდის — თქვა სტუმართა თავკაცმა — მილანში გახე ხებული ფრე დიდ წარმატებად მივიჩნიეთ, ახლა კი ვარსკვლავთა კრებულს ვაჯობეთ. წინ მივ დივართ და უკან აღარაფერზე დავიხევთ".

**ირაკლი გამყრელიძე**

| | D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რეალი | | 6.03 | 4:1 | 13.02 | 6:1 | 6 |
| 2 | ლიდსი | 0:2 | | 13.02 | 14.03 | 1:2 | 3 |
| 3 | ანდერლეხტი | 14.03 | 21.02 | | 1:0 | 2:4 | 3 |
| 4 | ლაციო | 21.02 | 0:1 | 6.03 | | 0:2 | 0 |

## უეფას თასი. მეთექვსმეტედფინალი
საპასუხო მატჩები. 5 დეკემბერი

UEFA CUP

**მიუნხენ 1860 (გერმანია) 0:2 პარმა (იტალია) (2:2)**

0:1 ამოროზო (74პ), 0:2 სერჟიუ კონსეისაუ (86)
მიუნხენ 1860: მ. ჰოფმანი, ელერსი, ზელიჩი, კურცი, ჩერნი (ვინკლერი 80), მიუკლანდი, შტრანცლი, ტაისი, ჰესლერი, მაქსი (ბაიერლე 84), აგოსტინო
პარმა: ბუფონი, ტურამი, ტორიზი, კანავარო, ფუზერი (აპია 90), ბოგოსიანი, ლამუში, ფალსინი (ჯუნიორი 57), მიკუ, სერჟიუ კონსეისაუ, ამოროზო (ბენარივო 79)
გაძევება: მიუკლანდი (73), კანავარო (78)
მსაჯი: ლესლი ირვინი (ჩრდ. ირლანდია)
18 000 მაყურებელი

**შტუტგარტი (გერმანია) 2:1 ფეიენოორდი (ჰოლანდია) (2:2)**

1:0 მაისნერი (29), 1:1 პაუვე (71), 2:1 ბალაკოვი (90პ)
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, მაისნერი, ბორდონი, ბლანკი, სოლდო, კუფი, ჰინტუ (ზაიცი 88), ლისტეში, ბალაკოვი, გერბერი (კარნელი 72), დანდი (განია 75)
ფეიენოორდი: დუდეკი, ემერტონი, დე ჰაანი, ვან გობელი (ვან ვონდერენი 80), ტინინიო, იოკემსენი (კორნეევი 46), ბოსველტი, პაუვე, კალუ, ტომასონი (სომალია 80), ლეონარდო
მსაჯი: გრაციანო ჩეზარი (იტალია)
18 000 მაყურებელი

**ერთი** დარჩა, ერთი გავარდა, ხუთის ბედი კი დღეს გაირკვევა — უეფას თასზე მონაწილე გერმანულ კლუბებზე ვსაუბრობთ. მეთექვსმეტედფინალში სარეკორდო, შვიდი გერმანული კლუბი მოხვდა. ორმა მათგანმა სამშაბათს საპასუხო მატჩები ჩაატარა: „შტუტგარტმა“ მოიგო და გავიდა, „მიუნხენ 1860“-მა წააგო და ბრძოლას გამოეთიშა.

საპასუხო მატჩების წინ ორივე გუნდი ერთნაირ დღეში იყო. შტუტგარტელებმა ფრედ ითამაშეს პირველი შეხვედრა სტუმრად როტერდამის „ფეიენოორდთან“ 2:2. იგივე შედეგით დასრულდა ორი კვირის წინ „პარმა“ — „მიუნხენის“ მატჩიც. ყველაფერი სამშაბათს გამართულ თამაშებს უნდა გადაეწყვიტა.

რალფ რანგნიკი რომ დღესაც „შტუტგარტის“ მწვრთნელია, ბულგარელ კრასიმირ ბალაკოვს უნდა უმადლოდეს — 90-ე წუთზე მისმა ზუსტმა პენალტმა მასპინძლებს 2:1 მოაგებინა. მატჩი რომ 1:1 დასრულებულიყო, შემდგომ ეტაპზე სტუმრად გატანილი მეტი გოლის წყალობით მაინც „შტუტგარტი“ გავიდოდა, მაგრამ რანგნიკს გუნდიდან გაგდება არ ასცდებოდა.

თამაშის წინ ბუნდესლიგაში აუტსაიდერობით აღშფოთებულმა გერმანული კლუბის ხელმძღვანელობამ მწვრთნელს ულტიმატუმი წაუყენა — ან მოიგებ, ან...

ბალაკოვმა რომ ბოლო წუთზე პენალტი გამოიყენა, რანგნიკი სიხარულით ცას ეწია, სათადარიგოთა სკამზე ბავშვივით აცმუკდა, იცოდა, თუ ვერ მოიგებდა, მისი ადგილი შეიძლებოდა „ზაარბრიუკენის“ ყოფილ თავკაცს კლაუს ტოპმიოლერს დაეკავებინა. მას „შტუტგარტის“ პრეზიდენტი ჰაასი უკვე ამ მატჩამდე დაუკავშირდა და მწვრთნელობა შესთავაზა. მიიღო თუ არა ჰაასის წინადადება, ტოპმიოლერის საქციელიდანაც კარგად ჩანს — იგი ტრიბუნაზე მოკალათებულიყო და მატჩს უცქერდა. ვინ იცის, ეგებ, შედეგმა დაამწუხრა კიდეც.

„შტუტგარტმა“ პირველ ტაიმში ჰოლანდიელები დაჩაგრა. თამაში ძირითადად სტუმართა ნახევარზე მიმდინარეობდა და მომენტებიც უმეტესწილად მათ კართან იქმნებოდა. სოლდომ, გერბერმა და ორჯერ დანდიმ კარგი შანსები გააფუჭეს, თუმცა „ფეიენოორდი“ გოლს მაინც ვერ გადაურჩა: 29-ე წუთზე ჰოლანდიელთა საჯარიმოში შექმნილი არეულობით სილვიო მაისნერმა ისარგებლა და ანგარიში გახსნა.

შესვენების შემდეგ „ფეიენოორდი“ გააქტიურდა. სტუმრებს შემდგომ ეტაპზე გასასვლელად ორი ბურთი სჭირდებოდათ და ვა-ბანკზე წავიდნენ. 71-ე წუთზე წონასწორობაც აღადგინეს — პაუვემ ჯარიმიდან ლამაზი გოლი გაიტანა. როტერდამელებმა ამის მერე უფრო მონდომებით შეუტიეს და... სტუმართა დაცვის მოშიშვლებით განეამ ისარგებლა, მეკარესთან პირისპირ გავიდა და დუდეკი აიძულა, წესი დაერღვია. პენალტი ბალაკოვმა გაიტანა და რანგნიკსაც თანამდებობა შეუნარჩუნა, თუმცა არა გვგონია, დიდი ხნით. მოსახდენი, ალბათ, უახლოეს ტურებშივე მოხდება და „შტუტგარტს“ ტოპმიოლერი ჩაიბარებს.

რანგნიკზე უკეთეს დღეში ნამდვილად არ არის „მიუნხენის“ თავკაცი ვერნერ ლორანტიც — მის გუნდს შინაურ asპარეზზე 22 სექტემბრის მერე არ მოუგია. ლორანტი აქამდე თავს უეფას თასზე წარმატებული თამაშით თუ იმართლებდა, ახლა კი იქიდანაც გავარდა.

„პარმა“ მიუნხენელთათვის გადაულახავი ზღუდე აღმოჩნდა. მასპინძლები 74-ე წუთამდე უმკლავდებოდნენ იტალიელთა შეტევებს, მერე კი ამოროზომ გაიტანა და „მიუნხენიც“ დანებდა. გოლამდე წუთით ადრე გერმანელებს ხელით განზრახ თამაშისათვის ნორვეგიელი ერიკ მიუკლანდიც გაუძევეს. რიცხობრივი თანაფარდობა მალე აღდგა: 78-ე წუთზე მსაჯმა კანავაროს მეორე ყვითელი ბარათი უჩვენა და მინდვრიდან მიაბრძანა. ამას „პარმას“ თამაშზე არ უმოქმედია. მატჩის მიწურულს სერჟიო კონსეისაუმ მეორედაც დაამწუხრა მასპინძლები და ის შედეგი დააფიქსირა, ლოგიკური რომ ეთქმის.

„წარმატებისა გვჯეროდა. პირველ მატჩში ორბურთიანი უპირატესობის გაფლანგვას არ გავუტეხივართ. ვიცოდით, „მიუნხენი“ დღესაც დაცვით ფეხბურთს ითამაშებდა. მთავარი იყო, ჩვენ ჩვენი გაგვეკეთებინა. ბიჭების მადლობელი ვარ“ — თქვა „პარმას“ მწვრთნელმა ალბერტო მალესანიმ. ლორანტს კი დანა პირს არ უხსნიდა — ტრიბუნებზე ქომაგებს მისი შეურაცხმყოფელი ტრანსპარანტები გადმოეფინათ.

მოკლედ, მიუნხენში ლორანტის გადადგომას ითხოვენ და, ალბათ, წადილი აუსრულდებათ კიდეც. გუნდის პრეზიდენტის კარლ-ჰაინც ვილდმოზერის სიტყვებიც ამას მოწმობს: „ვატყობ, კლუბში ცვლილებების დრო დადგა“.

**ვანო ოქრობირიძე**



მიუნხენი — პარმა 0:2. ჰარალდ ჩერნის „მიუნხენმა“ ჯანლუკა ფალსინის (მარჯვნივ) „პარმასთან“ ვერაფერი გააწყო

# არა ცილი სწამო!

## ოთხი შვილის მამას ბავშვებთან არაფერი უკადრებია

**„საუთჰემპტონის“** ყოფილი მწვრთნელი დევიდ ჯონსი სამშაბათს ლივერპულის სასამართლოს შენობიდან გამოვიდა — ის თავისუფალი კაცი იყო. საწყალს თავი სიზმარში ეგონა, როცა მოსამართლე დევიდ კლარკმა გამოუცხადა: „სასამართლოში მოსვლისას თქვენი დანაშაული დამტკიცებული არ იყო და არც აქ დამტკიცებულა. შეგიძლიათ წაბრძანდეთ.“ მოსამართლის ამ სიტყვებს წინ წელიწადნახევრიანი კოშმარი უძღოდა...

„ეს 18 თვე ყველაზე საშინელი იყო ჩემს ცხოვრებაში — ამბობს ჯონსის მეუღლე ენი — ასეთ ჯოჯოხეთს მტერსაც არ ვუსურვებ“. „ჩემი ოჯახისა და მეგობრების მხარდაჭერა რომ არა, ყველაფერ ამას ვერ გადავიტანდი. წარმოდგენაც კი მიჭირს, რა მოხდებოდა, მათ რომ ჩემი უდანაშაულობა არ ერწმუნათ“ — ეს თავად ჯონსის სიტყვებია.

ბრალდება 14 პუნქტს შეიცავდა და შემზარავი იყო: „ევერტონისა“ და „ქოვენთრის“ ყოფილი მცველი ჯონსი 1986-90 წლებში ინგლისის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა სკოლაში მუშაობდა და ოთხი ბიჭის გაუპატიურება დააბრალეს. დევიდ ჯონსი თავადაც 4 შვილის მამაა.

ჯონსი იმ ამბებიდან 9 წლის შემდეგ, 1999 წლის ივნისში დააპატიმრეს, მაშინ ის „საუთჰემპტონში“ მუშაობდა. კლუბის პრეზიდენტმა რუპერტ ლოუმ თქვა, დევიდის უდანაშაულობაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ მისი მწვრთნელად დატოვება შეუძლებლად მიმაჩნიაო. ჯონსს ერთი წლის ხელფასი მისცეს და გაისტუმრეს, „საუთჰემპტონი“ კი გლენ ჰოდლს ჩაიბარეს.



დევიდ ჯონსი

და ისევ მოსამართლე დევიდ კლარკი: „უამრავი ადამიანი თვლის, რომ რაკი ჯონსზე ეჭვი მიიტანეს, რაღაცაში აუცილებლად გასვრილი იყო, მაგრამ მე მოსამართლე ვარ და ასეთი მსჯელობა ჩემთვის მიუღებელია, უეჭველი ფაქტები უნდა მქონდეს.“

და სადაა ფაქტები! არსად. ბრალდების მხარემ სასამართლოში ეგრეთ წოდებული დაზარალებულები მიიყვანა, მაგრამ არც ერთ მათგანს არ უთქვამს, ამ კაცმა უკადრებელი გვაკადრაო. რამდენიმე დაზარალებულმა სულაც უარი თქვა ჩვენების მიცემაზე. შედეგად, ნაფიც მსაჯულებს ვერდიქტის გამოტანისას არ უყოყმანიათ, ბოლოს მოსამართლემაც საბოლოო სიტყვა თქვა, გამართლებული ჯონსი კი ასე გააცილა: „წარმატებებს გისურვებთ, ახლა პროფესიული კარიერის გაგრძელებაში ხელს ვეღარაფერი შეგიშლით.“

ახლა ჯონსი მწვრთნელობის გაგრძელებას აპირებს. მაგრამ სად? „საუთჰემპტონს“ უკვე გლენ ჰოდლი ჰყავს და ჯონსი აღარ სჭირდება. მართალია, პრემიერლიგის მესვეურებმა თქვეს, რომ კლუბი მწვრთნელს მეტისმეტად მკაცრად მოექცა, ეს არაფერს ცვლის: საუთჰემპტონელთა პრეს-მდივანმა განაცხადა, ჯონსის გამართლებამ დიდად გაგვახარა, მაგრამ ჰოდლის გაშვება და მისი დაბრუნება წარმოუდგენლად მიგვაჩნია, მით უმეტეს, რომ ჯონსს არანაირი პრეტენზია არ აქვსო.

„საუთჰემპტონის“ პრეზიდენტი რუპერტ ლოუ უფრო შორს მიდის და ყველაფერს მართლმსაჯულების უხეირო სისტემას აბრალებს: „ჯონსის წინააღმდეგ ნაღდი სამხილები არ გააჩნდათ, მაგრამ პროცესი მაინც წამოიწყეს. სასამართლოსიც გამიკვირდა, რად უნდოდა ვერდიქტის გამოტანას 18 თვე? არავინ აღებს ხელს — ჰოდა, გაუშვი. კაცი ამდენ ხანს აწვალეს და ჩვენც უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვაგდეს. და განა ჯონსი გამონაკლისია — უამრავი უდანაშაულო ადამიანი იტანჯება და პატიოსანი კაცის სახელი ელახება მათი გაუთავებელი ლაყბობის გამო. ლაპარაკობენ, ლაპარაკობენ და საქმეს კი არ აკეთებენ. ახლა მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ჯონსს მხარში ამოვუდგებით და კარგ სამუშაოს აუცილებლად ვაპოვნინებთ“.

**გიორგი დარჯანია**

# ფული და სენდვიჩი

## ასტრონომიული გასტრონომია

**ცნობილმა** აუდიტორულმა ფირმამ „Deloitte and Touche“ და ჟურნალმა „Four Four Two“ მსოფლიოს უმდიდრეს კლუბებს ფული დაუთვალეს და მათი ჩამონათვალი გამოაქვეყნეს.

ვამბობთ, მსოფლიოში უმდიდრესნიო, თორემ რეალურად სიაში მხოლოდ ევროპული კლუბები გვხვდება და იქაც ბრიტანელები სჭარბობენ. ამასთანავე აღვნიშნოთ, რომ ქვემოთ 1998-99 წლების სეზონში მოხვეჭილი თანხებია მოცემული.

ზედიზედ მესამე წელიწადია, „მანჩესტერ იუნაიტედი“ არავის უთმობს პირველობას და გვარიანი უპირატესობით უსწრებს სხვებს. აუდიტორი გერი ბუნი „მანჩესტერისა“ და საერთოდ ბრიტანელთა განსაკუთრებულ სიმდიდრეს იმით ხსნის, რომ კუნძულებზე კლუბები იმავდროულად სტადიონების მფლობელებიც არიან, მაშინ, როცა ზოგ სხვა ქვეყანაში, მაგალითად იტალიაში, სტადიონები მუნიციპალური საკუთრებაა. საკუთარი სარბიელის ქონით ბრიტანელები იჯარის ფულს არ იხდიან და იქვე ათასგვარი სავაჭრო თუ სხვა ობიექტების გახსნის საშუალება აქვთ.

ერთი საინტერესო ამბავიც. ახლახან როი კინმა დაიჩივლა, „ოლდ ტრეფორდზე“ მოსული გულშემატკივრები სენდვიჩებს მადიანად შეექცევიან და თამაშს ნაკლები გულისყურით ადევნებენ თვალსო. არადა, იგივე კინი თავის ასტრონომიულ ხელფასს (50 ათასი გირვანქა კვირაში) სწორედ გასტრონომიული ნაწარმის გაყიდვით მიღებული ფულიდან იღებს. გერი ბუნი ამბობს, ბრიტანელებს ტრიბუნებზე კვების საკითხი ისე კარგად აქვთ აწყობილი, რომ სენდვიჩებით სამი ფეხბურთელის წლიურ ხელფასს ისტუმრებენო. „ინგლისური ფეხბურთი სენდვიჩებზეა აგებული“ — ხუმრობს „Four Four Two“-ს რედაქტორი მაიკლ ჰანი.

საერთოდ, თუ საანგარიშო პერიოდის მონაცემებს წინა სეზონის შედეგებთან შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ ოცი უმდიდრესი კლუბის შემოსავალი 15 პროცენტით გაზრდილა და 1,05 მილიარდ გირვანქს შეადგენს.

შემოსავლების სოლიდური ნაწილი მოაქვს ტელევიზიისთვის რეპორტაჟების უფლების მიყიდვას. ამასთანავე, შემოსავლის ეს წყარო წლიდან წლამდე იზრდება. მაგალითისთვის, ტელეკომპანია SKY-ს ადრე პრემიერლიგასთან ოთხწლიანი კონტრაქტი ჰქონდა, რაც 670 მილიონი გირვანქა დაუჯდა. როცა SKY-მ ახალი სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, პრემიერლიგელებმა უკვე 1,11 მილიარდი გირვანქა მოითხოვეს. სხვაობა მართლაც დიდია.

ჩამონათვალში ოდენ ორი ფრანგული კლუბია და ისინიც 22-ე და 25-ე ადგილებზე არიან. არადა, საფრანგეთი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონთა სამშობლოა და თითქოს იქაურ ჩემპიონატში მეტი ფული უნდა ტრიალებდეს, თუმცა ამ ფაქტს თავისი ლოგიკური ახსნაც აქვს: ფრანგი მსოფლიოს ჩემპიონები ხომ ძირითადად უცხოურ კლუბებში თამაშობენ.



მსოფლიოს უმდიდრესი კლუბის მეკარე ფაშასავით წამომჯდარა.

### მსოფლიოს უმდიდრესი კლუბები

| | | სუფთა მოგება მლნ. £ |
|---|---|---|
| 1 | მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) | 110.9 |
| 2 | ბაიერნი (მიუნხენი, გერმანია) | 83.5 |
| 3 | რეალი (მადრიდი, ესპანეთი) | 76.1 |
| 4 | ჩელსი (ლონდონი, ინგლისი) | 59.1 |
| 5 | იუვენტუსი (ტურინი, იტალია) | 58.5 |
| 6 | ბარსელონა (ესპანეთი) | 55.7 |
| 7 | მილანი (იტალია) | 54.1 |
| 8 | ლაციო (რომი, იტალია) | 50.0 |
| 9 | ინტერი (მილანი, იტალია) | 49.1 |
| 10 | არსენალი (ლონდონი, ინგლისი) | 48.6 |
| 11 | ლივერპული (ინგლისი) | 45.3 |
| 12 | ნიუკასლ იუნაიტედი (ინგლისი) | 44.7 |
| 13 | პარმა (იტალია) | 44.4 |
| 14 | ბორუსია (დორტმუნდი, გერმანია) | 43.9 |
| 15 | ტოტენჰემ ჰოთსპური (ლონდონი, ინგლისი) | 42.6 |
| 16 | რომა (რომი, იტალია) | 39.4 |
| 17 | ლიდს იუნაიტედი (ინგლისი) | 37.0 |
| 18 | გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია) | 36.5 |
| 19 | ასტონ ვილა (ბირმინგემი, ინგლისი) | 34.9 |
| 20 | სელტიკი (გლაზგო, შოტლანდია) | 33.8 |
| 21 | ვალენსია (ესპანეთი) | 33.7 |
| 22 | ოლიმპიკი (მარსელი, საფრანგეთი) | 33.5 |
| 23 | კაიზერსლაუტერნი (გერმანია) | 31.4 |
| 24 | ატლეტიკო (მადრიდი, ესპანეთი) | 30.7 |
| 25 | პარი სენ ჟერმენი (პარიზი, საფრანგეთი) | 30.6 |

# ცხვირისმტვრევა ბირმინგემში



THE SUN

სტენ კოლიმორმა ცხვირი გაიტეხა, თორემ იხტიბარი არა: გუშინაც ხუმრობის ხასიათზე იყო და ასე თავხელშეხვეული გამოცხადდა ვარჯიშზე

„ბრედფორდის" თავდამსხმელ სტენ კოლიმორს ბირმინგემის ერთ-ერთ ღამის კლუბში ცხვირი გაუტეხეს. მას ორი კაცი დაესხა თავს, რომლებიც სავარაუდოდ „ბირმინგემ სიტის" ფანები იყვნენ. ეჭვობენ, აგრესია იმან გამოიწვია, რომ კოლიმორი ადრე ამ ქალაქის მეორე გუნდში — „ასტონ ვილაში" თამაშობდა. მავანი თვითმხილველის მონათხრობზე დაყრდნობით, გაზეთი „დეილი სტარი" ამ ეპიზოდს შემდეგნაირად აღწერს: „ფეხბურთელი ბარის დახლთან იდგა. უცაბედად მის წინ ორი უცნობი ახმახი აღიმართა. ერთ-ერთმა მათგანმა სახეში ლეწა კოლიმორს და ცხვირი გაუტეხა. იფეთქა სისხლმა და იქაურობა სულ მოისვარა. ეს ყველაფერი უამრავი ხალხის თვალწინ მოხდა. ყველამ დაინახა, რომ ინციდენტი ორი ბირმინგემელის ბრალია".

მოჩხუბრები ბარიდან გააძევეს, თუმცა შეხლა-შემოხლა ქუჩაშიც გაგრძელდა. ინციდენტის შემდეგ კოლიმორს არაფერი უთქვამს. მან ჟურნალისტებს თავი აარიდა.

„ბრედფორდის" თავმჯდომარე ჯეფრი რიჩმონდი აღშფოთდა: „ეს ძალადობაა, სტენი მსხვერპლია. ჩვენ მას მხარს დავუჭერთ. ასეთი რამ ყველას შეიძლება შეემთხვას, მისი ბრალი არაფერია".

„ბირმინგემ სიტის" ხელმძღვანელობა კი იუწყება: „კლუბს არაფერი აქვს საერთო ღამის კლუბში მომხდარ ინციდენტთან. ვესტ მიდლენდის პოლიციის ცნობით, არ არის დამტკიცებული, რომ თავდამსხმელები „ბირმინგემ სიტის" ქომაგები იყვნენ. და კიდევ, ძალადობის ნებისმიერი გამოვლინება და ხულიგნობა ჩვენი მხრიდან დაგმობილია".

შეგახსენებთ, რომ კოლიმორი ერთხანს ბრიტანეთის ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშე იყო — „ლივერპულმა" იგი 8,5 მილიონ გირვანქად შეიძინა. შემდეგ იგი „ენფილდ როუდიდან" „ვილა პარკზე" მოხვდა, წლეულს კი კოლიმორი „ლესტერში" ჩაირიცხა, თუმცა კლუბის ხელმძღვანელობასთან უთანხმოების გამო „ფილბერ სტრიტი" მალევე დატოვა და ახლა „ბრედფორდში" მოღვაწეობს.

**ნიკა შუბლაძე**

# ჩერჩილი რომ ცოცხალი იყოს

**ტერი ვენეიბლზი** „მიდლსბროს" მწვრთნელად დაინიშნა, იქამდე კი ინგლისის ნაკრებში დაიწუნეს, სადაც თავის დროზე უპირველეს კანდიდატად ითვლებოდა.

ვენეიბლზს კარგა ხანია, ხმა არ ამოუღია. თავისთვის იჯდა და უსმენდა, როგორ ლანძღავდნენ ფეხბურთის ასოციაციას უცხოელი მწვრთნელის მოწვევის გამო. როგორც ვიცით, ასოციაციამ თავისი გაიტანა და ეროვნული სიამაყე შვედ სვენ გორან ერიკსონს ჩააბარა. აღშფოთებულთა კომენტარები ნელ-ნელა მიწყნარდა და სწორედ მაშინ ალაპარაკდა ვენეიბლზი.

„უცხოელი სპეციალისტის მოწვევა საკუთარი უძლურების აღიარებას ნიშნავს და შეურაცხმყოფელია — თქვა ვენეიბლზმა — აბა, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, მეორე მსოფლიო ომის დროს უინსტონ ჩერჩილს არმიის სარდლად გერმანელი გენერალი რომ დაენიშნა. ხალხი და ჯარისკაცები იფიქრებდნენ, რომ ჩვენ ინგლისელებს დამოუკიდებლად ომის მოგება არ შეგვიძლია, საბრძოლო სულისკვეთება დაეცემოდა და საბოლოოდ დავმარცხდებოდით. ახლაც დაახლოებით მსგავსი სიტუაციაა.

პირადად ერიკსონის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ეტყობა, რომ წესიერი პიროვნება და კარგი სპეციალისტია. მე ჩვენი ფეხბურთის ასოციაციას გადაწყვეტილებით ვარ აღშფოთებული. ისე არ გამიგოთ, თითქოს საკუთარი კანდიდატურის ჩავარდნის გამო ვიყო ნაწყენი. გარწმუნებთ, გლენ ჰოდლს ან კევინ კიგანს წარმატებისათვის რომ მიეღწიათ, სიხარულით გავგიჟდებოდი. ახლა იქნებ ვინმემ ნიშნის მოგებით მითხრას, ეროვნულ გუნდში უცხოელის დანიშვნის წინააღმდეგი თუ ხარ, რატომ მუშაობდი ავსტრალიის ნაკრებშიო. გიპასუხებთ: ინგლისის და ავსტრალიის შედარება არ შეიძლება — ჩვენ უდიდესი ისტორია გვაქვს, მათ კი ზურგს არაფერი უმაგრებს და ნაკრების შექმნას ახლა იწყებენ. ამიტომ მათთვის უცხოელის მიწვევა ეროვნულ ღირსებას არ ბღალავს".

# ბრაზილიაში გრძელდება...



კარეკაც აგენტი ყოფილა

**მალე** ბრაზილიაში კონგრესის სპეციალური კომისიისგან დაუკითხავი ფეხბურთთან დაკავშირებული ერთი კაციც არ დარჩება. დღეს კომისიის წინაშე წარსდგებიან სამი საფეხბურთო აგენტი და ერთიც დაბალდივიზიონელი კლუბის პრეზიდენტი, რომელსაც წინა ორ სეზონში რამდენიმე ყალბპასპორტიანი ფეხბურთელი გაუყიდია ევროპაში. დღევანდელი დაკითხვის მთავარი თემაც ესაა — საპასპორტო მაფიასთან ბრძოლა. მოგეხსენებათ, ბრაზილიელი ფეხბურთელისთვის ბევრად იოლია ევროპაში მოხვედრა, თუ მას პორტუგალიური პასპორტი აქვს.

ნახსენები სამი აგენტიდან ერთ-ერთია ანტონიო ოლივეირა ფილიო, ანუ კარეკა, რომელსაც ფეხბურთის ქომაგები კარგად იცნობენ. გავიხსენოთ, რომ ის „ნაპოლიში" თამაშობდა მარადონასთან ერთად, ხოლო ნაკრებს მექსიკისა და იტალიის მსოფლიოს ჩემპიონატებზე ახლდა და მუდამ სასტარტო შემადგენლობაში იყო. მან ორი წლის წინ დაანება თამაშს თავი და მას შემდეგ აგენტია. კომისია იმედოვნებს, რომ კარეკას ჩვენება საპასპორტო მაფიის მხილებაში დაეხმარება.

# მოგებულიც და წაგებულიც

**გასულ** უქმეებზე პორტუგალიის ჩემპიონატში „ბენფიკამ" „სპორტინგს" 3:0 მოუგო... „სპორტინგი" ერთადერთი გუნდი აღმოჩნდა ჩემპიონთა ლიგის პირველ ჯგუფურ ეტაპზე თამაში რომ არ მოუგია....

ამ მიზეზთა გამო კლუბის პრეზიდენტმა ლუიშ დუკემ მწვრთნელი ანტონიო ინასიო თანამდებობიდან დაითხოვა. დღეს ყველამ დაივიწყა, რომ გასულ სეზონში სწორედ ინასიომ მოაგებინა „სპორტინგს" ქვეყნის ჩემპიონობა, რასაც ლისაბონური კლუბი 18 წელი ამაოდ ცდილობდა.

თუ ინასიოს მოხსნა მოსალოდნელი იყო, „ბენფიკას" მწვრთნელ ჟოზე მაურინიოს წასვლას არავინ ელოდა — ბოლოს და ბოლოს კაცმა „სპორტინგი" დასცა.

მწვრთნელი კლუბზე განაწყენდა და გადადგომის მიზეზიც ეს არის. მაურინიო „ბენფიკაში" სექტემბერში მივიდა, როცა იუპ ჰეინკესი შეცვალა, კონტრაქტი კი სეზონის ბოლომდე გაუფორმეს. ორშაბათს მაურინიო პრეზიდენტთან მივიდა და ხელშეკრულების გაგრძელება სთხოვა, თუ მეცოდინება, რომ მომავალ სეზონშიც მე ვიქნები, საქმეს უკეთ მივხედავო. უარი უთხრეს. ამან მწვრთნელი გააბრაზა, არ მენდობიანო და გადადგომის თაობაზე განაცხადა.

საინტერესოა, რომ მაურინიომ უკვე ორი მიწვევა მიიღო. ერთი ნიუკასლიდანაა. ჯორდთა დამრიგებელი ბობი რობსონი ამბობს: „ნიუკასლში მოსვლის დღესვე ჟოზეს დავურეკე და თანამშრომლობა შევთავაზე. მაშინ მან უარი მითხრა, რაკი მთავარ მწვრთნელად მუშაობა სურდა. მერე გასულ ზაფხულსაც შევეხმიანე და იგივე პასუხი მივიღე. ახლა კვლავ ვეპატიჟები. ვფიქრობ, ერთად ბევრს მივაღწევთ".

მეორე მიწვევა მაურინიომ... „სპორტინგიდან" მიიღო, რომლის მწვრთნელიც სწორედ მან შეიწირა.

ამასობაში „ბენფიკამ" ახალი თავკაცი დანიშნა: ანტონიო ოლივეირა ადრეც მუშაობდა ამ გუნდში. ის ბოლო მწვრთნელია, რომელმაც „ბენფიკა" ჩემპიონი გახადა. ეს 1993 წელს მოხდა.



ჟოზე მაურინიო

# რუდი ფიოლერი: [illegible]

# სასარგებლოა თქვენი კარიერისთვის



*ძალიან უცნაური ნაბიჯი გადადგა გერმანიის საფეხბურთო კავშირმა ამ ზაფხულს: ადგნენ გერმანული ფეხბურთის მამები და ევროპის ჩემპიონატზე განცდილი ფიასკოთი აღშფოთებულებმა საგანგებო თათბირი ჩაატარეს, რომელზეც ნაკრები 2001 წლის 1 ივნისამდე რუდი ფიოლერს ჩააბარეს.*

*ვინ იყო ფიოლერი იმჟამად? „ლევერკუზენის" მენეჯერი, რომელსაც მწვრთნელობისა თითქმის არაფერი გაეგებოდა. ყოველ შემთხვევაში, მანამდე მწვრთნელად ერთი დღეც არ ემუშავა. მისმა ნაკრების თავკაცად დანიშვნამ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ასეთი გამოუცდელი და საქმეში ჩაუხედავი კაცის მიყვანა როგორ შეიძლებოდაო, ჩიოდა უმრავლესობა, მაგრამ...*

*4:1 ესპანეთთან, 2:0 ბერძნებთან, 1:0 „უემბლიზე" ინგლისელებთან და ფიოლერსაც უმალ „მეფე რუდი" შეარქვეს. წარსულში სახელოვანი ფეხბურთელის სამწვრთნელო დებიუტი ბრწყინვალე გამოდგა. ჰოდა, კონტრაქტიც გაუგრძელეს.*

*წლეულს გამართულ ბოლო მატჩში კი ფიოლერმა წაგებასაც გაუსინჯა გემო — გერმანელები კოპენჰაგენში დანიელებთან 0:2 დამარცხდნენ.*

*ამის მიუხედავად, ფიოლერის გასაკრიტიკებლად ენა არავის მობრუნებია, პირიქით, გაამხნევეს კიდეც.*

*ახლა ფიოლერი „შვებულებაშია". ოფიციალური მატჩებისგან ისვენებს, თორემ საქმეს და საფიქრალს რა დაულევს. ჰოდა, ვიდრე მომავალი შეხვედრებისთვის ტაქტიკურ სქემებს დაამუშავებს, „კიკერს" ეს ინტერვიუ მისცა.*

**— ჰერ ფიოლერ, რას ფიქრობთ, როგორც ნაკრების მთავარი მწვრთნელი, როგორ შეაფასებდით განვლილ პერიოდს?**

— უზომოდ კმაყოფილი ვარ. ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ესპანეთის ნაკრების 4:1 დამარცხება გახლდათ. ამ გამარჯვებამ რწმენა შეგვმატა, ჩვენი ძალების ვირწმუნეთ, უფრო თვითდაჯერებულები გავხდით და ქომაგებსაც იმედი დავუბრუნეთ. ესპანეთთან მოგებამ ჩემი პოზიციებიც გაამყარა.

**— რამ გამოიწვია ასეთი ცვლილება?**

— ფეხბურთელების განწყობამ. ისინი მზად იყვნენ, ყველაფერი გაეკეთებინათ, რათა ევროპის ჩემპიონატი დაევიწყებინათ. ეს მოახერხეს კიდეც.

**— დანიის ნაკრებთან მატჩმა კი ყველას დაანახა, რომ ძველი გვარდია ყოველთვის წარმატებას ვერ მოუტანს ეროვნულ გუნდს. იმედგაცრუებული ხომ არ იყავით?**

— არა. ეს გადაჭარბებულად ნათქვამია. ჯერ ერთი, დანიის ნაკრები ძალიან ძლიერია და ის მატჩი ბრწყინვალედ ჩაატარა. თანაც იმ შეხვედრისთვის სათანადოდ ვერ მოვემზადეთ. გუნდი ისე არ იყო მობილიზებული, როგორც საჭიროება მოითხოვდა. ეს ჩემი ბრალი იყო.

**— იმიტომ ხომ არა, რომ იმ დროს მთელ ყურადღებას „ლევერკუზენს" უთმობდით?**

— ეს არაფერ შუაშია. მე „ლევერკუზენის" მწვრთნელობა ოთხი კვირით შევითავსე. იმ ხანში შვიდ მატჩში ვუხელმძღვანელე გუნდს. ახლანდელი გადასახედიდან რომ ვუყურებ, ვხვდები — იმ პერიოდმა ძალიან ბევრი რამ მომცა.

**— მაგალითად?**

— თუნდაც ის, რომ „ლევერკუზენის" სათავეში ყოფნისას მუდმივად სტრესში ვიყავი და ყურადღების მოდუნების უფლება არ მქონდა. თითქმის ყოველ სამ დღეში გვქონდა თამაში. ხან ერთ მეტოქეზე ვფიქრობდი, ხან მეორეზე. დიდი გამოცდილება შევიძინე, რომელიც მომავალში აუცილებლად გამომადგება. თუნდაც მარტში და ივნისში, როცა სამი დღის ინტერვალით ოთხი მატჩი უნდა ჩავატაროთ, ანაც 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, თუ, ცხადია, შესარჩევი ტურნირი მოვიგეთ. მინდა გითხრათ, რომ „ლევერკუზენში" გატარებული თუნდაც მცირე დრო ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის.

**— ასეთ დიდ სტრესში რომ იყავით, მხოლოდ მაგიტომ?**

— არა მარტო. „ლევერკუზენში" მუშაობისას სხვაგვარი ურთიერთობები მქონდა „ბაიერნის", „ჰერტას" თუ სხვა კლუბების მოთამაშეებთან. იმ ხალხთან, რომლებიც ეროვნული გუნდის ახლანდელი წევრები არიან, ან მომავალში შეიძლება მოვიწვიო. ამ ფეხბურთელებს სულ სხვა თვალით ვუყურებდი.

**— სიტყვა ფეხბურთელებზე ჩამოაგდეთ. ნაკრების რომელ მოთამაშეს დაასახელებდით მიმდინარე სეზონში საუკეთესოდ?**

— არ მინდა, რომელიმე გამოვარჩიო, ისე გეტყვით — ოლივერ კანმა ყველას აჩვენა, რომ უმაღლესი კლასის მეკარეა. იენს ნოვოტნიმ და მეჰმეთ შოლმა კიდევ ერთხელ გამოავლინეს თავიანთი შესაძლებლობები. მიხაელ ბალაკი და სებასტიან დაისლერი რომ უნიჭიერესი ფეხბურთელები არიან, დიდი ხანია, ცნობილია, ახლა კი ძალიან მიხარია, რომ კიდევ უფრო უმატებენ და უკვე თავიანთ სიტყვასაც ამბობენ. თანაც დაისლერი ჯერ სულ ახალგაზრდაა. დიტმარ ჰამანის ინგლისელებთან თამაშმაც აღმაფრთოვანა. ბოლოს მას ძალიან აკრიტიკებდნენ. პასუხი კი ჩინებული თამაში იყო.

**— თქვენს გუნდში ერთი ახალი ფეხბურთელი უკვე გამოჩნდა — ინგო ჰერჩი. ადვილია ნაკრებში ფეხის მოკიდება?**

— ეს ფეხბურთელზეა დამოკიდებული. თავიდან ჰერჩი იმიტომ გამოვიძახე, რომ ალტერნატივა არ იყო. მან გაამართლა. კიდევ მეგულება რამდენიმე საინტერესო მოთამაშე, რომლებსაც აუცილებლად მოვიწვევ.

**— მაინც ვინ არიან ის ფეხბურთელები, ვინც ფიოლერის ნაკრებში გამოჩნდებიან?**

— არ მინდა კონკრეტული გვარების დასახელება. იმას კი გეტყვით, რომ სავსებით შესაძლებელია, თებერვალში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ ფრანგებთან მნიშვნელოვან ამხანაგურ მატჩში ერთი და ორი დებიუტანტი გამოჩნდეს.

**თარგმნა მანო ოქროპირიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### დღეს, 7 დეკემბერს კროკო ჩვეული განრიგით იმუშავებს

**ჰოლანდია. მე-2 დივიზიონი**
**7 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 002 | დენ ჰააგი-ზვოლე | 3,6 | 3,1 | 1,8 |

**უეფას თასი**
**7 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 511 | აეკ-ლევერკუზენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 512 | კაიზერსლაუტერნი-რეინჯერსი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 21.00 | 513 | ვერდერი-ბორდო | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 22.00 | 514 | რუსენბორგი-ალავესი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 22.00 | 515 | სლავია-ოსიეკი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 23.00 | 516 | ჰამბურგი-რომა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.15 | 517 | პაოკ-ეინდჰოვენი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 23.15 | 518 | ლოზანა-ნანტი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 23.45 | 519 | რაიო ვალეკანო-ლოკომოტივი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.45 | 520 | ბარსელონა-ბრიუგე | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 23.45 | 521 | სელტა-შახტარი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 23.45 | 522 | ინტერი-ჰერტა | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 00.05 | 523 | ლივერპული-ოლიმპიაკოსი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 01.30 | 524 | პორტუ-ესპანიოლი | 1,75 | 3,0 | 4,2 |

**უეფას თასი. შემდეგ წრეში გასვლა**
**7 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 703 | აეკ | -1,5 | ლევერკუზენი | -1,9 |
| 19.00 | 704 | კაიზერსლაუტ. | -2,0 | რეინჯერსი | -1,5 |
| 21.00 | 705 | ვერდერი | -6,0 | ბორდო | -1,03 |
| 22.00 | 706 | რუსენბორგი | -1,25 | ალავესი | -3,0 |
| 22.00 | 707 | სლავია | -3,1 | ოსიეკი | -1,2 |
| 23.00 | 708 | ჰამბურგი | -3,5 | რომა | -1,15 |
| 23.15 | 709 | პაოკ | -7,5 | ეინდჰოვენი | -1,02 |
| 23.15 | 710 | ლოზანა | -2,0 | ნანტი | -1,4 |
| 23.45 | 711 | რ.ვალეკანო | -1,15 | ლოკომოტივი | -3,5 |
| 23.45 | 712 | ბარსელონა | ——- | ბრიუგე | -25,0 |
| 23.45 | 713 | სელტა | -1,1 | შახტარი | -4,0 |
| 23.45 | 714 | ინტერი | -1,25 | ჰერტა | -2,8 |
| 00.05 | 715 | ლივერპული | -1,05 | ოლიმპიაკოსი | -5,0 |
| 01.30 | 716 | პორტუ | -1,01 | ესპანიოლი | -10,0 |

**კალათბურთი. სუპროლიგა**
**7 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 803 | ულქერი-პანათინაიკოსი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 21.00 | 804 | ლიეტუვოს რიტასი-ცეპტერი | 1,25 | 12,0 | 2,8 |
| 23.30 | 805 | სპლიტი-სიენა | 1,1 | 12,0 | 4,0 |
| 23.30 | 806 | კრკა-მაკაბი | 2,3 | 12,0 | 1,35 |
| 23.30 | 807 | პო ორტეზი-ბაიერი | 1,1 | 12,0 | 4,0 |
| 23.30 | 808 | ალბა-ცსკა | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| 23.30 | 809 | პარტზანი-ოსტენდე | 1,2 | 12,0 | 3,1 |
| 23.30 | 810 | სკავოლინი-პლანია | 1,05 | 12,0 | 6,0 |

**კალათბურთი**
**7 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 842 | ორლანდო-დენვერი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 05.00 | 843 | მილუოკი-ფინიქსი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 05.00 | 844 | მინესოტა-ვაშინგტონი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 05.00 | 845 | სან ანტონიო-ნიუ იორკი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 06.00 | 846 | იუტა-ვანკუვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |

**ჰოკეი**
**7 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.00 | 916 | სენტ ლუისი-ტორონტო | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 05.30 | 917 | ჩიკაგო-მინესოტა | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 06.00 | 918 | კალგარი-ნეშვილი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 06.30 | 919 | ლოს ანჯელესი-დალასი | 2,0 | 4,0 | 2,2 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

### კროკოს ბიუროთა მისამართები:

**თბილისში** — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")
**ქუთაისი** — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)
**გორში** — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30
**თელავში** — კოსტავას ქუჩა №23. **რუსთავში** — შარტავას ქუჩა №7
**ბათუმში** — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61



პირველი კაცი: გუსტავო კუერტენი

# ჩვენი დროის გმირი

„სავარძელს, რომელიც 1994-ში აირტონ სენას სიკვდილის შემდეგ ცარიელი დარჩა, პატრონი გამოუჩნდა" — მსგავსი სათაურებითა და პირველ გვერდებზე გუსტავო კუერტენის უზარმაზარი ფოტოსურათებით გამოვიდა თითქმის ყველა ბრაზილიური გაზეთი კვირის დასაწყისში. სამხრეთ ამერიკის 160-მილიონიან ქვეყანას, სადაც დიდ-პატარას მხოლოდ ფეხბურთი და ფორმულა 1 აბოდებს, ბოლოს და ბოლოს საჩოგბურთო კერპიც გამოუჩნდა.

კლასიფიკაციის შემოღებიდან პირველად მოხდა, რომ მსოფლიოს პირველი ჩოგნის ბედი სეზონის უკანასკნელ მატჩში გადაწყდა. ფეხის და ზურგის ტრავმებით შეჭირვებულ „გუგას" კვირას, „მასტერსის თასის" ფინალში მხოლოდ ანდრე აგასის დამარცხება შეაძლებინებდა მანამდე კლასიფიკაციაში პირველ ადგილზე მყოფი მარატ საფინის გადასწრებას. ტკივილგამაყუჩებლებით გაჭყეპილმა ბრაზილიელმა ვეტერან ამერიკელს უბრალოდ კი არ აჯობა, სასტიკად დაჩაგრა.

„ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ჩემისთანა უბრალო, მოუხერხებელი ბიჭი ფლორიანოპოლისიდან ამდენს მიაღწევდა. სამპრასი, აგასი ჩემპიონებად დაიბადნენ, მე კი პატარა ქალაქში გავიზარდე. ბრაზილიაში ერთი ტურნირიც კი არ გვქონია, თავდაჯერება რომ შემემატებინა, იძულებული ვიყავი, ბავშვობიდანვე მემოგზაურა მსოფლიოს გარშემო. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად აეწყო. ვფიქრობ, ძალიან გამიმართლა, მაგრამ მეორე მხრივ მტკიცე ხასიათი და მიზანსწრაფულობა რომ არ გამომეჩინა, ვერაფერს მივაღწევდი" — მიაჩნია გუსტავოს.

1997-ში ჭყეტელა ყვითელ მაისურაში გამოწყობილმა, ყველასთვის უცნობმა 20 წლის ბრაზილიელმა „როლან გაროსის" დაპყრობა შეძლო. მოულოდნელად მოპოვებული დიდებისა და დიდი ფულის მოხვეჭით დაბნეულ კუერტენს ერთი სეზონის მანძილზე საზოგადოების ზეწოლის გაძლება ძალიან გაუჭირდა, მაგრამ მერე საკუთარი ნიჭი და ჩოგანი მოიმარჯვა და თანდათან მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ჩოგბურთელად იქცა.

გაისად კაცთა ჩოგბურთში არანაკლებ დაძაბულ და საინტერესო სეზონს უნდა ველოდოთ. ანდრე აგასის, პიტ სამპრასის, ევგენი კაფელნიკოვისა და პატრიკ რაფტერის მსგავსი „ძველი გვარდიის" წარმომადგენლები ძალას არ დაიშურებენ თავიანთი პოზიციების შესანარჩუნებლად, თუმცა ახალი თაობის ამბიციებთან გამკლავება სულ უფრო ძნელი იქნება.

2000-ში ერთბაშად რამდენიმე 19-20 წლის ნიჭიერმა ახალბედამ გაუგო გემო წარმატებასა და ელიტაში ყოფნის სიტკბოს. რაკი მალა ჭამაში მოდის, გაისად მარატ საფინის, ლეიტონ ჰიუიტის, ხუან კარლოს ფერეროსა და როჯერ ფედერერისგან ფრთების ბოლომდე გაშლას უნდა ველოდოთ.

იმედი ვიქონიოთ, მომავალი სეზონი 19 წლის თბილისელი ირაკლი ლაბაძისთვისაც წინსვლისა და ახალი მიღწევების ჟამი გამოდგება. წლეულს ირაკლიმ კლასიფიკაციაში თითქმის ორი ასეული საფეხურით წაიწია წინ და დღეისთვის საუკეთესოთა ნუსხაში 169-ე ადგილზეა. ჩვენებურის მონაგარმა სეზონში 51 ათასი დოლარი შეადგინა, მის მიერ გამწარებულთა შორის კი ისეთ ცნობილ მოთამაშეებს წააწყდებით, როგორიც დავიდე სანგვინეტი, ანდრეა გაუდენცი და ხუან ანტონიო მარინი არიან.

ქალებს შორის ჩვეული პირველი ადგილი კლასიფიკაციაში, ზედიზედ მეორე სეზონია, მარტინა ჰინგისმა შეინარჩუნა. 20 წლის შვეიცარიელს წლეულს ერთ დიდ სლემის ტურნირზეც კი არ უმარჯვია და მთავარ კონკურენტებთან — ლინდსი დევენპორტსა და დებ უილიამსებთანაც ხშირად აგებდა, თუმც სტაბილურობისა და მუყაითობის ხარჯზე სეზონის ბოლოს მაინც ყველაზე მეტი ქულა დაუგროვდა.

კაცებთან შედარებით, მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა შორის, როგორც ყოველთვის, კონკურენცია ნაკლები იყო, თუმცა WTA ტურიც არ უჩივის ნიჭიერ ახალბედათა ნაკლებობას — ელენა დემენტიევა, კიმ კლაისტერსი და დაია ბედანოვა გაისად, ალბათ, არაერთხელ შეაწუხებენ ბობოლებს.

**ავთანდილ სვანიძე**



პირველი ქალი: მარტინა ჰინგისი

## კლასიფიკაცია

| კაცები | | |
|---|---|---|
| 1.2. | გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) | 839 |
| 2.1. | მარატ საფინი (რუსეთი) | 824 |
| 3.3. | პიტ სამპრასი (აშშ) | 677 |
| 4.4. | მაგნუს ნორმანი (შვედეთი) | 622 |
| 5.5. | ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) | 587 |
| 6.8. | ანდრე აგასი (აშშ) | 553 |
| 7.6. | ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 525 |
| 8.7. | ალექს კორეჩა (ესპანეთი) | 495 |
| 9.9. | ტომას ენკვისტი (შვედეთი) | 442 |
| 10.10. | ტიმ ჰენმანი (ინგლისი) | 404 |
| 11.11. | მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) | 373 |
| 12.12. | ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 368 |
| 13.13. | უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) | 354 |
| 14.14. | ფრანკო სკილარი (არგენტინა) | 312 |
| 15.15. | პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) | 307 |
| 16.16. | სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) | 304 |
| 17.17. | დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) | 279 |
| 18.18. | არნო კლემანი (საფრანგეთი) | 272 |
| 19.19. | სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) | 265 |
| 20.20. | ნიკოლას კიფერი (გერმანია) | 253 |
| 21.21. | მარიანო პუერტა (არგენტინა) | 247 |
| 22.22. | სხენგ შალკენი (ჰოლანდია) | 231 |
| 23.23. | ტომი ჰაასი (გერმანია) | 229 |
| 24.24. | ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) | 226 |
| 25.25. | იუნეს ელ აინაუი (მაროკო) | 225 |
| 26.26. | ალბერტ კოსტა (ესპანეთი) | 223 |
| 27.27. | ანდრეი პაველი (რუმინეთი) | 221 |
| 28.28. | მარკ როსე (შვეიცარია) | 216 |
| | როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 216 |
| 30.30. | ჰიშამ არაზი (მაროკო) | 212 |
| 35.35. | რიჩარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) | 190 |
| | მარსელო რიოსი (ჩილე) | 190 |
| 53.53. | ვლადიმირ ვოლჩკოვი (ბელარუსი) | 144 |
| 84.84. | სერხი ბრუგერა (ესპანეთი) | 80 |

| ქალები | | |
|---|---|---|
| 1.1. | მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 6180 |
| 2.2. | ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 5022 |
| 3.3. | ვინუს უილიამსი (აშშ) | 3694 |
| 4.4. | მონიკა სელეში (აშშ) | 3255 |
| 5.5. | კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) | 2795 |
| 6.6. | სერენა უილიამსი (აშშ) | 2306 |
| 7.7. | მარი პირსი (საფრანგეთი) | 2162 |
| 8.10. | ანა კურნიკოვა (რუსეთი) | 2158 |
| 9.8. | არანჩა სანჩეს ვიკარიო (ესპანეთი) | 2132 |
| 10.9. | ნატალი ტოზია (საფრანგეთი) | 1963 |
| 11.13. | ამანდა კუტცერი (სამხრეთ აფრიკა) | 1798 |
| 12.15. | ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1774 |
| 13.11. | ჩანდა რუბინი (აშშ) | 1760 |
| 14.12. | ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) | 1664 |
| 15.14. | ჟული ალარი (საფრანგეთი) | 1436 |
| 16.16. | ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 1426 |
| 17.17. | სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) | 1414 |
| 18.20. | კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 1398 |
| 19.18. | ანკე ჰუბერი (გერმანია) | 1370 |
| 20.19. | ემი ფრეზერი (აშშ) | 1255 |
| 21.21. | ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) | 1216 |
| 22.22. | მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) | 1108 |
| 23.23. | ბარბარა შეტი (ავსტრია) | 1065 |
| 24.25. | პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1056 |
| 25.26. | ელენა დოკიჩი (ავსტრალია) | 1054 |
| 26.27. | ნატალი დეში (საფრანგეთი) | 1020 |
| 27.28. | კრისტინა ბრანდი (აშშ) | 956 |
| 28.29. | ტამარინე ტანასუგარნი (ტაილანდი) | 954 |
| 29.30. | სილვია ტალაია (ხორვატია) | 935 |
| 30.31. | ლაიზა რეიმონდი (აშშ) | 931 |
| 47.48. | ჟუსტინ ენენი (ბელგია) | 661 |
| 53.54. | დაია ბედანოვა (ჩეხეთი) | 610 |
| 72.73. | ივა მაიოლი (ხორვატია) | 441 |
| 74.75. | იროდა ტულიაგანოვა (უზბეკეთი) | 434 |

## ვინ რამდენი $ მოიხვეჭა 2000-ში

| | | |
|---|---|---|
| 1. | გუსტავო კუერტენი | 4 701 610 |
| 2. | ევგენი კაფელნიკოვი | 3 755 599 |
| 3. | მარატ საფინი | 3 524 959 |
| 4. | ტომას ენკვისტი | 2 381 060 |
| 5. | პიტ სამპრასი | 2 254 598 |
| 6. | ანდრე აგასი | 1 884 443 |
| 7. | მაგნუს ნორმანი | 1 846 269 |
| 8. | ლეიტონ ჰიუიტი | 1 642 572 |
| 9. | ალექს კორეჩა | 1 530 062 |
| 10. | უეინ ფერერა | 1 237 864 |
| 11. | დომინიკ ჰრბატი | 1 195 760 |
| 12. | ნიკოლას ლაპენტი | 1 126 305 |
| 13. | ტიმ ჰენმანი | 1 057 823 |
| 14. | სედრიკ პიოლინი | 888 789 |
| 15. | მარკ ფილიპუსისი | 839 567 |
| 16. | პატრიკ რაფტერი | 814 586 |
| 17. | ხუან კარლოს ფერერო | 812 636 |
| 18. | ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) | 776 933 |
| 19. | მაქს მირნი (ბელარუსი) | 760 368 |
| 20. | ფრანკო სკილარი | 754 458 |

| | | |
|---|---|---|
| 1. | მარტინა ჰინგისი | 3 457 049 |
| 2. | ლინდსი დევენპორტი | 2 444 734 |
| 3. | ვინუს უილიამსი | 2 074 150 |
| 4. | მარი პირსი | 1 208 018 |
| 5. | მონიკა სელეში | 1 140 850 |
| 6. | კონჩიტა მარტინესი | 1 067 930 |
| 7. | სერენა უილიამსი | 1 026 818 |
| 8. | ანა კურნიკოვა | 984 930 |
| 9. | ჟული ალარი | 879 570 |
| 10. | არანჩა სანჩეს ვიკარიო | 819 689 |
| 11. | ნატალი ტოზია | 761 211 |
| 12. | აი სუგიამა (იაპონია) | 729 635 |
| 13. | ელენა დემენტიევა | 613 627 |
| 14. | ამანდა კუტცერი | 593 375 |
| 15. | ლაიზა რეიმონდი | 560 474 |
| 16. | სანდრინ ტესტიუ | 547 384 |
| 17. | ელენა ლიხოვცევა | 536 014 |
| 18. | ჩანდა რუბინი | 528 020 |
| 19. | ჯენიფერ კაპრიატი | 488 861 |
| 20. | ბარბარა შეტი | 470 987 |



REUTERS ფოტოები

პეტერ კორდა

# ამაო ცდუნება

**ჩეხ** პეტერ კორდას ერთწლიანი თმენის შემდეგ ხელისგულები მწარედ აექავა — ჩოგნის ხელში ჭერა და ბურთზე ცემა მოსწყურდა. დრამატულია მისი საჩოგბურთო ისტორია: პროფესიონალებში თამაში 1987 წელს დაიწყო და 98-ში ავსტრალიის ღია პირველობის მოგების შემდეგ ჩოგბურთის რანგთა ტაბელში მეორე პოზიციამდე ალზევდა. ვარდნაც იქიდან დაიწყო. იმავე წელს უიმბლდონზე ავადსახსენებელი ნანდროლონის მიღება დააბრალეს და ერთწლიანი დისკვალიფიკაცია არგუნეს. დისკვალიფიკაცია სიმბოლური იყო, რადგან განაჩენის გამოტანისას (1999 წელს) კორდას ისედაც მიტოვებული ჰქონდა ჩოგბურთის თამაში, მაგრამ სიმბოლური დიახაც არ ყოფილა ის თანხა, რომელიც ჩეხმა უკან დააბრუნა — 660 ათასი დოლარი. ამ ოდენობის ფული გამოიმუშავა კორდამ ტურნირებში მას შემდეგ, რაც მის წინააღმდეგ სადოპინგე საქმე აღძრეს.

თავად ჩოგბურთელი ყოველგვარ დოპინგთან კავშირს კატეგორიულად უარყოფდა და ბევრი საქმეში ჩახედული ადამიანის აზრით, მართალი იყო. მერე დრო გავიდა, სასჯელს ვადა გაუვიდა და კორდა დაბრუნდა, რათა ამ დღეებში ATP ტურზე ერთი მატჩი ეთამაშა, მერე კი საბოლოოდ ეთქვა უარი იმ ცდუნებაზე, რასაც დიდი ჩოგბურთი ეწოდება.

ეს მოხდა პრაღაში. კორდა „ჩელენჯერის" ტურნირის პირველ წრეში სლოვაკ მარტინ ხრომეცთან სათამაშოდ გავიდა, გვარიანი იბრძოლა, მაგრამ შერცხვა, კლასიფიკაციით 416-ე სლოვაკმა 4:6, 6:3, 7:6(7:2) მოუგო. შემდეგ იყო განცხადება. „პრაღაში დავიწყე და პრაღაშივე ვამთავრებ — თქვა კორდამ გულისამაჩუყებლად — მორჩა, წავედი. არ ვიცი, მომავალში რას გავაკეთებ, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ ჯერჯერობით დევისის თასზე ჩეხეთისთვის არ ვითამაშებ. კრიზისულ დღეებში თავს მარტოსულად ვგრძნობდი, ჩოგბურთის ფედერაციიდან კაციშვილმა არ დამიცვა. ეს მათი უფლებაა, მაგრამ ჩემი უფლებაა, ყველაფერი მახსოვდეს".

„არ ვიცი, რა იქნება კარგა ხნის შემდეგ — ცოტა ხანში სხვაგვარად აჭიკჭიკდა კორდა — იქნებ ვითამაშო კიდეც დევისის თასის ნაკრებში, მაგრამ ახლა არაფრით. ახლა გოლფის თამაში მინდა. შვიდი ჰანდიკაპი მაქვს და რაღაცეების დამტკიცება შემიძლია".

ამაგდარი ჩოგბურთელის საჩოგბურთო დოსიე ასეთია: მოიგო 10 ტიტული, 1991 წლის ნიუ ჰეივენის (კონექტიკუტის შტატი) ტურნირიდან მოყოლებული. ერთი დიდი სლემის ტურნირის გამარჯვებულია და ჩეხეთის სახელით დევისის თასზე 1988 წლიდან თამაშობდა.

კორდა მონაკოში ცხოვრობს.

**დავით გულუა**

# ჯანო ბაგრატიონს საქმემ აწყინა და ისევ საქმე მოარჩენს

**ახლა საქართველოს სპორტულ ფედერაციებში მართლაც გახურებული არჩევნებია, რამდენიმე დღეში კი გაიმართება ჩვენი ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საანგარიშო-საარჩევნო სესიაც, სადაც არა მხოლოდ წლევანდელი, არამედ ამ ორგანიზაციის ოთხწლიანი საქმიანობაც შეჯამდება და შეფასდება.**

**ამასთან დაკავშირებით ინტერვიუ ჩამოვართვით სეოკ-ის პრეზიდენტ ჯანო ბაგრატიონს**



— განვლილი პერიოდი ძალზე მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი იყო საქართველოს ოლიმპიურ მოძრაობისთვის. ამავე დროს, ეს პერიოდი იყო მრავალი პრობლემებით დახუნძლული, რაც, უწინარეს ყოვლისა, უსახსრობას უკავშირდებოდა — გვეუბნება ჯანო ბაგრატიონი.

მაგრამ მივყვეთ თანმიმდევრობით. ჩვენი უმთავრესი საზრუნავი, მოგეხსენებათ, სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე რაც შეიძლება უკეთ გამოსვლა იყო. ამის წინაპირობა კი სათანადოდ მომზადება გახლდათ, რაც ფინანსურ პრობლემებს უკავშირდებოდა. ის თანხა, რომელიც ბიუჯეტიდან ბოლოსდაბოლოს გამოიყო, ძალზე ცოტა იყო საიმისოდ, რომ სპორტსმენები ხარისხიანად მომზადებულიყვნენ. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ სიდნეიში ჩვენმა სპორტსმენებმა მხოლოდ ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. მართალია, იმ ექვს ბრინჯაოს წარმატებად ვაფასებთ, რასაც იზიარებს სპეციალისტთა, სპორტულ ჟურნალისტთა და სართოდ საზოგადოების უმეტესობა, მაგრამ რომ ყოფილიყო თუნდაც ერთი სხვა სინჯის მედალი, ვერცხლის ან ოქროსი, ეს ბევრად უკეთესი იქნებოდა. საამისოდ საჭირო იყო დიდი ფინანსური მხარდაჭერა, რაც არც ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს გააჩნდა, არც სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს და არც ჩვენს სპორტულ ფედერაციებს. ამიტომ, შეიძლება ითქვას, ყოველდღიურად მათხოვრებად ვიყავით ქცეულნი. ამ ოთხი წლის განმავლობაში ყველაფერი ვიღონეთ, რომ სახსრები მოგვეზიდა, ბიუჯეტიდანაც, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიდანაც, სპონსორებისგანაც და ამ საქმეში გარკვეულ შედეგსაც მივაღწიეთ, მაგრამ მეტი ვერ მოვახერხეთ, რადგან, როგორც იტყვიან, თავს ზემოთ ძალა არ არის. თუ ასე გაგრძელდა, ღმერთმა იცის, რას მოგვიტანს მომავალი ოლიმპიური თამაშები. ალბათ, ერთი ბრინჯაოს მედალიც სანატრელი გაგვიხდება. აი, ახლაც, საქართველოს ბიუჯეტის ფორმირებისას ოლიმპიურმა კომიტეტმა ცალკე, სპორტის დეპარტამენტმა ცალკე წარადგინეს თავთავიანთი თხოვნა, მაგრამ ჩვენს მდგომარეობას იქ არ ითვალისწინებენ. ის, რისი გამოყოფაც ნავარაუდევია, ძალზე ცოტაა საიმისოდ, რომ ჩვენი სპორტსმენები ხარისხიანად მოემზადონ მომავალი, ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის. არადა, ამგვარი სამზადისი ხვალ კი არა, დღესვე უნდა დავიწყოთ.

**— დავუბრუნდეთ სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენი სპორტსმენების შედეგთა შეფასებას. მათი მონაგარი, საქართველოს დუხჭირი ცხოვრების კვალობაზე, მართლაც სასიამოვნო სიურპრიზი გახლდათ, მაგრამ რა იყო ეს, იღბალი თუ ჩვენს ქვეყანაში სპორტის განვითარების დღევანდელი დონის რეალური სურათი?**

— იღბლიანი დასასრული ჩვეულებრივ იშვიათი რამაა. შეიძლება ერთიორს გაუმართლოს, მაგრამ ექვსს არა. ამიტომ სიდნეის მონაგარს იღბალს ვერაფრით ვუწოდებთ. ეგ კი არა, რეალურად მეტი მედლის ღირსნი ვიყავით. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ნინო სალუქვაძე ან გიორგი რევაზიშვილი თუ ნესტორ ხერგიანი უმედლოდ დარჩებოდნენ? როცა ბედსა თუ უბედობაზე ვსაუბრობთ, ისიც უნდა გავიხსენოთ, მსაჯებმა ორ-სამ შემთხვევაში როგორ დაჩაგრეს ჩვენი სპორტსმენები, რომლებსაც უკეთესი ხარისხის მედლების მოპოვების შანსი დააკარგვინეს, თუმცა ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, რადგან საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი. იმას კი გავიმეორებ, რომ საქართველოს სპორტსმენებმა თავიანთი მონაგარით აჯობეს ბევრ ჩვენზე დალხენილი ქვეყნის წარმომადგენლებს, რომლებსაც არც უსახსრობა აწუხებთ, არც უდენობა, არც სიცივე და არც სიცხე. ჩვენი სპორტსმენები სიდნეიში არც თავიანთი ჩაცმა-დახურვით ჩამორჩებოდნენ სხვებს. მათი საალუმო სამოსი, მოგეხსენებათ, შეღავათიან ფასებში შეკერა ცნობილმა ფრანგულმა ფირმა „პიერ ბალმალმა", რომელთანაც დაგვაკავშირა ჩვენმა მეგობარმა და თანამემამულემ, საფრანგეთში მცხოვრებმა შოთა გედევანიშვილმა. ამას გარდა, ჩვენი სპორტსმენები სპორტული სამოსით უსასყიდლოდ შემოსა ცნობილმა იაპონურმა ფირმა „მიზუნომ". ეს შესაძლებელი გახდა ჩვენი კონტაქტებითა და ნაცნობობით, რომელიც დამყარდა ნაგანოს ზამთრის ოლიმპიური თამაშების დღეებში.

ერთი სიტყვით, სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ქართული დელეგაცია ყოველმხრივ ღირსეულად წარსდგა, იმაზე უკეთესად, ვიდრე ეს ჩვენი ქვეყნის დღევანდელ ყოფას შეეფერებოდა.

**— თქვენ ლაპარაკობთ წლევანდელ მონაგარზე. მაგრამ სეოკ-ის საანგარიშო პერიოდი ხომ ოთხ წელიწადს მოიცავს?**

— ჩემს მოხსენებაში სეოკ-ის სესიაზე ამაზეც ვრცლად ვისაუბრებ. ცხადია, ვისაუბრებ 1998 წელს მოსკოვში გამართულ მსოფლიოს ახალგაზრდულ თამაშებზე, სადაც ჩვენმა სპორტსმენებმა ორი ოქროს, ხუთი ვერცხლისა და თერთმეტი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, რითაც 132 ქვეყნის წარმომადგენელთა შორის ჯილდოების რაოდენობით მეექვსე, ხოლო ხარისხობრივი მაჩვენებლით მეთორმეტე ადგილი დაიკავეს. ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ ერთიცა და მეორეც კარგი მაჩვენებელია.

სესიაზე ვისაუბრებ ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ დღეებზე, განსაკუთრებით ესბერგში გამართულზე, სადაც ჩვენმა თოთხმეტმა სპორტსმენმა შვიდი, მათ შორის ერთი ოქროს, სამ-სამი ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ვისაუბრებ ზამთრის ანალოგიურ თამაშებზეც, რომლის ისტორიაშიც პირველად მოვიპოვეთ ჯილდო — ვერცხლის მედალი.

**— მაგრამ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საქმიანობა მხოლოდ მედლების მოპოვებით ხომ არ ფასდება?**

— რა თქმა უნდა, ოლიმპიური მოძრაობა მხოლოდ ოლიმპიური მედლების მოპოვებით არ განისაზღვრება. ოლიმპიური მოძრაობა ეს არის ოლიმპიზმის იდეების პროპაგანდა, რაც მრავალი ფორმით ხორციელდება. ამასთან დაკავშირებით საანგარიშო პერიოდში ჩავატარეთ ლიტერატურული და ფოტოკონკურსები, ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სამხატვრო გალერეასთან ერთად სისტემატურად ვატარებთ გამოფენა-კონკურსს, მოვაწყვეთ ნაგანოს ოლიმპიური თამაშების ამსახველი დიდი ფოტოგამოფენა, რეგულარულად გამოვცემთ მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დასტამბულ ჟურნალ „ოლიმპიელს", წიგნებს, ბუკლეტებს...

ამას გარდა ვატარებთ სემინარებს და ჩვენს წარმომადგენლებსაც ვგზავნით უცხოეთში, სადაც ისინი ეუფლებიან ცოდნას და იმაღლებენ კვალიფიკაციას, მათ შორის საბერძნეთში ანტიკურ ოლიმპიაში, იქაურ ოლიმპიურ აკადემიაში.

ცალკე საუბრის თემაა სოციალურად დაუცველ ვეტერან ოლიმპიელებზე ზრუნვა. საქართველოს თერთმეტი ოლიმპიური ჩემპიონი და პრიზიორი, არასაბიუჯეტო შემოსავლებიდან იღებს 80-დან 120 ლარამდე ოლიმპიურ სტიპენდიას, რაც ჩვენი გაჭირვებული ქვეყნის კვალობაზე უმნიშვნელო დახმარება სულაც არ არის.

**— ეს ყოველივე გვარიან სახსრებს მოითხოვს...**

— და არა მხოლოდ ეს. მაგალითად, სეოკ-ის კომუნალური ხარჯები წელიწადში 5 000 ლარს შეადგენს, საკომუნიკაციო (ფოსტა, ტელეფონი, ფაქსი) ხარჯები კი 12 000 ლარს. იტყვით ალბათ, ნაკლები ილაპარაკეთ და ფაქსები ცოტა აგზავნეთო, მაგრამ ამ საქმეში ისედაც ხელმომჭირნეობას ვიჩენთ და მეტი დანაზოგი, საერთო ჯამში, მეტ დანაკარგს ნიშნავს. საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენების წყალობით ჩვენ ვაგვარებთ მრავალ პრობლემას, მათ შორის შემოსავლების წყაროსაც, რასაც ვიღებთ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიდან. იგი უდიდეს დახმარებას გვიწევს თუნდაც ჩვენი სპორტსმენების დაფინანსებაში. მაგალითად, სოკ-ი 7 სპორტსმენისთვის ყოველთვიურად გვიგზავნის 1 250 დოლარს. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვცხოვრობთ ისე მდიდრულად, რომ ეს თანხა მხოლოდ შვიდზე გავანაწილოთ. ამიტომ ეს თანხა ორმოცამდე კაცს, როგორც სპორტსმენს, ისე მწვრთნელს გავუნაწილეთ.

**— რამდენადაც ცნობილია, სეოკ-მა სასიდნეოდ ოლიმპიელებს რამდენიმე შეკრება მოუწყო.**

— ამ საქმეში სპორტის დეპარტამენტს, მართლაც, შეძლებისდაგვარად შევეხიდეთ, მაგრამ ჩვენს მიერ გაღებული თანხები მთლიანად გარედან მოზიდული და ნაშოვნი იყო. თუმცა, ეს კი არა, მთლიანად მათი მზადებისთვის გამოყოფილი სახსრები იყო ძალზე ცოტა.

**— ამ მხრივ „შინაურთაგან" ვინ დაგეხმარათ.**

— მოვახერხეთ ის, რომ ორ ორგანიზაციასთან, საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიასა (მამუკა ხაზარაძე) და ლუდის მწარმოებელ ფირმა „ყაზბეგთან" (გოგი თოფაძე) გავაფორმეთ ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება. მისი ძალით ისინი გახდნენ სეოკ-ის ოფიციალური სპონსორები. მათი წყალობაცაა, რომ სეოკ-ი, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ბიუჯეტიდან არ იკვებება. ჩვენი პატარა ორგანიზაციის შესანახად მინიმალურ თანხას სუბსიდიების სახით ბიუჯეტიდან ვღებულობდით, მაგრამ წლეულს ამაზე უარი ვთქვით.

**— სესიაზე სეოკ-ის თერთმეტწლიანი არსებობის ისტორიაში მესამედ მოეწყობა ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობის არჩევნები, მაგრამ პირველად ხდება, რომ პრეზიდენტის სავარძელს ერთზე მეტი, თანაც ოთხი მაძიებელი გამოუჩნდა. მათ შორის თქვენც.**

**სეოკ-ის აღმასკომის სხდომაზე მთელმა მისმა შემადგენლობამ დაუჭირა მხარი პრეზიდენტის პოსტზე თქვენს კანდიდატურას. მათ შორის იყვნენ ისეთი ცნობილი და ავტორიტეტული პიროვნებები, როგორებიც არიან: ნონა გაფრინდაშვილი, რუსუდან სიხარულიძე, რობერტ შავლაყაძე, დავით გობეჯიშვილი, ომარ გოგიაშვილი, ვახა მუზლაძე, გოგი თოფაძე, მამუკა ხაზარაძე, გივი თალაკვაძე, ვლადიმერ კანკავა, ვლადიმერ გოიაშვილი, ომარ ლონდაძე, ელგუჯა ბერიშვილი და სხვები. მაგრამ ბოლო დროს გავრცელდა ხმები, თითქოს თქვენ უარს იტყვით კენჭისყრაზე.**

— ამგვარმა ხმებმა ჩემამდეც მოაღწია. არ ვიცი ვინ, რატომ და რისთვის დაყარა ეს ხმები, მით უმეტეს, რომ მსგავსი რამ არც მე და არც ჩემს ქომაგთ არ გვითქვამს. ასე რომ, კენჭს უთუოდ ვიყრი. ყველა კონკურენტი ღირსეული პიროვნებაა და გამიხარდება, თუ ისინი არჩევნებს არ გამოაკლდებიან. ოთხი წლის წინათ, როცა მე სეოკ-ის პრეზიდენტად ამირჩიეს, ერთმა გაზეთმა დაწერა, ჯანო ბაგრატიონს კონკურენტი არ ჰყავდა და ტაშის გრიალში ერთხმად აირჩიეს, როგორც კომუნისტების დროებაში ხდებოდაო. ამიტომ ბრძოლაში გამარჯვება სჯობს, მაგრამ როგორც არ უნდა დამთავრდეს არჩევნები, ამით ჩემი დამოკიდებულება სეოკ-ის პრეზიდენტობის სხვა კანდიდატებთან არ შეიცვლება.

**— გამარჯვების შემთხვევაში რას ჰპირდებით თქვენს მხარდამჭერთ, საერთოდ საზოგადოებას?**

— ისევ ისეთ აქტიურ მუშაობას, როგორიც მჩვევია. მე საქმის ნახევრად კეთება არ მახასიათებს. ყველა საქმეზე გადაყოლა ვიცი. ყველაფერი გულთან ახლოს მიმაქვს. მთელი ცხოვრება ასე გავატარე და სპორტის გარდა სხვა საფიქრალი არ მქონია. სწორედ ამგვარმა აქტიურმა ცხოვრებამ ჩამაგდო ასეთ დღეში.

**— მძიმე ინსულტის მერე საკმაოდ გამოჯანმრთელებულხართ, სამსახურშიც დადიხართ, კვლავაც საქმიანობთ, მაგრამ ამბობენ, ჯანო ბაგრატიონი ძველებურად ჯანზე მაინც ვერ არიაო. აქტიურობას კი გვპირდებით, მაგრამ შეძლებთ ძველებურად საქმიანობას?**

— ხომ გაგიგონიათ, რამაც გაწყინოს, იმან მოგარჩინოსო. მე ცოტა დრო კიდევ მჭირდება, რომ წელში ძველებურად გავიმართო. თუ სეოკ-ის პრეზიდენტად კვლავ ამირჩევენ, ეს ჩემთვის დიდი სტიმული იქნება.

**ავთანდილ ტყვიტელი**



ქართული დელეგაცია სიდნეის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალზე

# ვიში — ატრაქციონი
## უნგრელებს ლეკური ჩაეშალათ

**ნანა ალექსანდრია**

**დელიდან**



III რაუნდის შემდეგ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატს 8 მოჭადრაკე შემორჩა; ვაჟებს — 16; ქართველებს კი — არცერთი. რაუნდის I ტური ჩვენთვის ძალიან უიღბლო აღმოჩნდა.

დილიდანვე დავითარსე: ექსკურსია მქონდა შეკვეთილი, გზაში მანქანა გაფუჭდა და უკან დაბრუნება მომიხდა. მოჭადრაკეები ცრუმორწმუნეები ვართ, ამიტომ გული ცუდს მიგრძნობდა... იოსელიან — პეპტანის, კახიან — ცინის, აზმაიფარაშვილ — გულკოს მიკრომატჩებში სამივე ქართველი ფავორიტად ითვლებოდა. სამწუხაროდ, კარგად დაწყებული ტური (დებიუტის შემდეგ სამივეს კარგი პოზიცია ჰქონდა) სამივემ მარცხით დაამთავრა. ნანა იოსელიანმა შავებით თანაბარ ენდშპილში მოულოდნელი უხეში შეცდომა დაუშვა და ორი პაიკის გარეშე დარჩენილმა, ბუნებრივია, პარტია ვერ გადაარჩინა. II პარტიაში ნანამ შეძლო საგრძნობი უპირატესობის მიღწევა (არა მხოლოდ პოზიციური, არამედ დროის თვალსაზრისითაც). მან საინტერესო კომბინაცია ჩაატარა. ყველას ეგონა, პარტიის ბედი მალე გადაწყდებოდა, მაგრამ ნიჭიერმა რუმინელმა დიდოსტატმა ყველასთვის მოულოდნელი, უძლიერესი გაგრძელება მონახა ფიგურის დროებითი შეწირვით და მხოლოდ უპაიკოდ დარჩა. შავების ძლიერი კუ მატერიალური უპირატესობის რეალიზებას ხელს უშლიდა. პეპტანი შესანიშნავად იცავდა თავს. ამ შეხვედრაში კიდევ ერთი კრიტიკული მომენტი შეიქმნა, როცა რუმინელს პარტიის გადასარჩენად ეტლის შეწირვა უნდა დაენახა. ჩვენთვის სამწუხაროდ, იმ დღეს პეპტანი ყველაფერს ხედავდა. ყაიმი და ჩემი პროგნოზი — ნანა იოსელიანის ფინალში ხილვისა არ გამართლდა. ქეთევან კახიანმა I პარტიაში თანაბარი ენდშპილი წააგო ცინთან. II შეხვედრაში ჩინელმა მას უპირატესობის მიღების შანსი არ მისცა. 27-ე სვლაზე მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ, რაც ცინის მეოთხედფინალში გასვლას ნიშნავდა. III რაუნდში სენსაციის ავტორი გახდა მოლდოველი ელმირა სკრიპჩენკო. ჩემპიონატში მისი მეუღლეც მონაწილეობდა, ცნობილი ფრანგი დიდოსტატი ლოტიე, რომელიც მოულოდნელად პირველივე რაუნდში დამარცხდა უცნობ ბრაზილიელ ლეიტაოსთან. სხვათა შორის, სკრიპჩენკოების ოჯახი ოლიმპიადაზე კიდევ უფრო წარმომადგენლობითია: მამა — სკრიპჩენკო კაპიტანია; დედა-შვილი — მოლდოვის გუნდის წევრები; მეუღლე — საფრანგეთის ნაკრებში (მინდა ვახსენო, რომ ლოტიე ლონდონში კრამნიკის სეკუნდანტი იყო კასპაროვთან მატჩის დროს). ჩემპიონატის III რაუნდში ელმირა სკრიპჩენკომ I პარტია წააგო შავებით მსოფლიოს ექსჩემპიონ ალისა გალიამოვასთან, მაგრამ II შეხვედრაში დამაჯერებელი რევანშის აღება შეძლო. ორი დამატებითი 25 წუთიანი პარტიაც მისი უპირატესობით წარიმართა და სკრიპჩენკომ ჩემპიონატის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტს დაატოვებინა ბრძოლის ველი. მსოფლიოს ჩემპიონატში კიდევ ერთი საჭადრაკო ოჯახი იყო წარმოდგენილი — ელენა ზაიაცი და ანდრეი ხარლოვი (ანდრეი II რაუნდში ტოპალოვთან დამარცხდა). სკრიპჩენკოსგან განსხვავებით ზაიაცმა სენსაცია ვერ მოახდინა. მსოფლიო ჩემპიონმა სიუ ჟუნმა პირველ პარტიაში შავებით სწრაფი ყაიმის შემდეგ მეორეში თეთრებით იოლად მოუგო. ევროპის ჩემპიონმა ჟუკოვამ რევანში აიღო თასის მფლობელ სიუი იუიხუასთან (მსოფლიოს თასის ფინალი სექტემბერში ჩინელის გამარჯვებით დამთავრდა) და მეოთხედფინალში მთავარ ჩინელს — სიუ ჟუნს უპირისპირდება. ალისა მარიჩი — ვიქტორია ჩმილიტეს მატჩის 1 პარტია 70-სვლიანი ბრძოლის შემდეგ ყაიმით დასრულდა. II პარტია კი ჩმილიტემ უბრძოლველად დათმო.



ალექსანდრ ხალიფმანი

ახლა კი ცოტა რამ ვაჟთა ჩემპიონატზე. ჩვენი კაცით დავიწყებ: აზმაიფარაშვილი — გულკო, ზურაბი კენჭისყრით კმაყოფილი იყო; კმაყოფილი იყო დებიუტითაც. I პარტია მისი ისეთი უპირატესობით წარიმართა, რომ ზურაბის შემხედვარეს თავში უნებლიედ მიტრიალებდა: „სახეზე გატყობთ კმაყოფილებას, ვიწყებთ მეორე განყოფილებას.“ სამწუხაროდ, ზურაბმა იჩქარა ფორსირება, დაჰკარგა ინიციატივა და მასთან ერთად გადამწყვეტი ქულაც.

ყოველი ტურის წინ დარბაზში ერთიდაიგივე ხდება: ყველა ტელე და ფოტოკორესპონდენტი ოფიციალურად დაშვებული 5 წუთის მანძილზე მხოლოდ ანანდის დაფას არის შესეული. ვიში რა თქმა უნდა, ჩემპიონატის მთავარი ატრაქციონია. ისევე როგორც წინა რაუნდში, მან ამჟამადაც შავებით სწრაფი ყაიმი გააკეთა, თეთრებით კი დაძაბული ბრძოლა მოიგო, თუმცა, მისმა მეტოქემ სმბატ ლპუტიანმა საკმაოდ ანერვიულა ვიშის გულშემატკივრები, როცა ხარისხის შეწირვას არ შეუშინდა და დროებით ინიციატივასაც დაეუფლა. საბოლოოდ, ანანდმა მაინც შეძლო ენდშპილში მოწინააღმდეგის გადათამაშება და 45-ე სვლაზე გაიმარჯვა. ჩემპიონატის წინ ანანდის მწვრთნელმა ელიზბარ უბილავამ ფავორიტებში 4 დიდოსტატი დაასახელა: ანანდი, ადამსი, შიროვი და ლეკო. მსოფლიო ჩემპიონი ხალიფმანი დასახელებული არ იყო. გასაკვირი არც არის. წლის დასაწყისში ლეკომ ამხანაგურ მატჩში დაამარცხა ჩემპიონი ანგარიშით 4,5:1,5. ოლიმპიადაზეც უნგრელმა მოიპოვა გამარჯვება. პეტერ ლეკომ დიდ ჭადრაკში ლეგენდარული ფიშერის რეკორდის მოხსნით შემოაბიჯა. 14 წლისა იგი გახდა მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა დიდოსტატი (შემდეგ ეს რეკორდიც გააუმჯობესეს: ჯერ — ფრანგმა ბაკრომ, შემდეგ კი 13 წლის ჩინელმა ბომ).

ლეკო ღარიბი ოჯახიდან იყო. ამჟამად მას სერიოზული ფინანსური მხარდაჭერა გააჩნია. მისი სპონსორია გაზის ძლიერი გერმანული კომპანია WFG. ლეკოს მწვრთნელთა მთელი გუნდი ეხმარება: 2 უნგრელი კონსულტანტის გარდა დიდოსტატები იუსუპოვი და როდრიგესი. მალე მათ რიცხვს მისი სიმამრი, დიდოსტატი არშაკ პეტროსიანიც მიემატება. III რაუნდის მთავარი შოუ მსოფლიოს ჩემპიონის ალექსანდრ ხალიფმანის და 21 წლის უნგრელი სუპერვარსკვლავის პეტერ ლეკოს სამდღიანი ორთაბრძოლა იყო. ძირითადი მატჩი, რომელიც 1:1 დამთავრდა, ლეკოს უპირატესობით წარიმართა; დამატებითში ინიციატივა ხალიფმანის მხარეს გადავიდა. შემოკლებული კონტროლით 6 დაძაბულ პარტიას 6 საათის განმავლობაში ჰყავდა მაყურებელი დატყვევებული. როდესაც ლეკომ V დამატებითი პარტია გადაარჩინა, ქალთა ჩემპიონატის მთავარმა მსაჯმა, ცნობილმა დიდოსტატმა ჟუჟა ვერეცმა უთხრა უნგრეთის ელჩს ინდოეთში, რომელიც ყოველდღე ესწრება ჩემპიონატს: „ღმერთი ჩვენთანაა“ — „ელჩიც თქვენთანაა“, დასძინა ელჩმა მაგრამ, გაძლიერებულმა გულშემატკივრობამ ახალგაზრდა სუპერვარსკვლავს მაინც ვერ უშველა. მე-6 დამატებით პარტიაში ლეკო დამარცხდა. მსოფლიოს ჩემპიონი ხალიფმანი აგრძელებს ტიტულის შესანარჩუნებლად ბრძოლას.

### ქალები

მესამე რაუნდი

**სიუ ჟუნი (ჩინეთი) — ელენა ზაიაცი (რუსეთი) 1,5:0,5; ნატალია ჟუკოვა (უკრაინა) — ქსიუ იუჰუა (ჩინეთი) 2,5:1,5; ეკატერინა კოვალევსკაია (რუსეთი) — ტატიანა ვასილევიჩი (უკრაინა) 1,5:0,5; ჟაოკან პენგი (ჰოლანდია) — იულია დემინა (რუსეთი) 2:0; კორინა პეპტანი (რუმინეთი) — ნანა იოსელიანი (საქართველო) 1,5:0,5; კანინგ ცინი (ჩინეთი) — ქეთევან კახიანი-გერშინსკა (გერმანია) 1,5:0,5; ალმი სკრიპჩენკო-ლოტიე (მოლდოვა) — ალისა გალიამოვა (რუსეთი) 2,5:1,5; ალისა მარიჩი (იუგოსლავია) — ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა) 1,5:0,5**

მეოთხე რაუნდი

**ჟუნი — ჟუკოვა, კოვალევსკაია — პენგი, ცინი — პეპტანი, მარიჩი — სკრიპჩენკო**

### კაცები

მესამე რაუნდი

**ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — სმბატ ლპუტიანი (სომხეთი) 1,5:0,5; ბარტოლომეი მაციეხა (პოლონეთი) — ალექსანდრ ბელიავსკი (სლოვენია) 3:1; ალექსანდრ ხალიფმანი (რუსეთი) — პეტერ ლეკო (უნგრეთი) 4,5:3,5; რაფაელ ლეიტაო (ბრაზილია) — იგორ ალექსანდრ ნატაფი (საფრანგეთი) 1,5:0,5; მაიკლ ადამსი (ინგლისი) — ალექს იერმოლინსკი (აშშ) 3:1; პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) — სიაომინ პენგი (ჩინეთი) 2,5:1,5; ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) — კირილ გეორგიევი (ბულგარეთი) 1,5:0,5; ალექსანდრ დრეევი (რუსეთი) — ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) 1,5:0,5; ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) — ევგენი ვლადიმიროვი (ყაზახეთი) 1,5:0,5; ვლადი[illegible] ტკაჩიევი (საფრანგეთი) — რუსტამ კ[illegible]მჯანოვი (უზბეკეთი) 2,5:1,5; იან ელვესტი (ესტონეთი) — სერგეი მოვსესიანი (ჩეხეთი) 4:2; ალექსეი შიროვი (ესპანეთი) — მიხეილ გურევიჩი (ბელგია) 3,5:2,5; ბორის გელფანდი (ისრაელი) — ჟეროენ პიკეტი (ჰოლანდია) 1,5:0,5; ევგენი ბარეევი (რუსეთი) — ალექსანდრ ალექსანდროვი (ბელარუსი) 2:0; ბორის გულკო (აშშ) — ზურაბ აზმაიფარაშვილი (საქართველო) 1,5:0,5**

მეოთხე რაუნდი

**ანანდი — მაციეხა, ხალიფმანი — ლეიტაო, სვიდლერი — ადამსი, დრეევი — ტოპალოვი, მოროზევიჩი — ტკაჩიევი, ელვესტი — გრიშჩუკი, შიროვი — გელფანდი, ბარეევი — გულკო**



# ძილისგუდები

VENDÉE GLOBE 2000 2001 LES SABLES D'OLONNE

**„ვენდი გლოუბის“** ცურვის რაიონში მაღალი წნევის არეთა ჯაჭვი დასრულდა. სიტუაცია გაირკვა — სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარი ქრის და იახტებს ერთობ ხელს უწყობს. მძიმე დღეები ორი ზღვაოსნის გარდა ყველამ კარგად გადაიტანა და იმათაც უამინდობამ კი არა, ვეშაპებმა აწყინეს.

რიგიანი სიჩქარით მიქროდა თომა კოვილი, მე-6 პოზიციაზე მიცურავდა ცვლადი ქარების სხვაზე უკეთ მოხმარებით და ღამით მძინარე ვეშაპს დაეჯახა. უცნობია, დაშავდა თუ არა უდიდესი ძუძუმწოვარი, კოვილის „სოდებო“ კი კინაღამ ჩაიძირა. კორპუსის წყალქვეშა ნაწილი ერთობ დაზიანდა, კოვილმა იგი მალე შეაკეთა და უფრო წინ თუ ვერ გაიჭრა, მოპოვებული ადგილიც აღარ დათმო. კოვილზე მეტად რაფაელ დინელი დაზარალდა. იტალიელის იახტა ვეშაპთან დაჯახებამ ინვალიდად აქცია (კილი დაუზიანდა) და ახლა კეიპტაუნისკენ მიაქანებენ სარემონტოდ.

შეცდა კატრინ შაბო, როცა წმინდა ელენეს ანტიციკლონში დროზე ადრე შეიჭრა. გამოცდილ მეზღვაურს ქარმა უმტყუნა და მეოთხედან მერვე ადგილამდე დააქვეითა. ლიდერებმა — ივ პარლემ და მიშელ დეჟუაიემ სამხრეთისკენ ჩაიჩოჩეს. დეჟუაიე უქმეებზე თვისტომს კინაღამ თოფის სასროლზე წამოეწია, მაგრამ მათ უკან დაბალი წნევის არე წარმოიქმნა და ამან პირველად დეჟუაიეს შეუშალა ხელი, ამიტომ პარლემ 100-მილიანი გარღვევის აღდგენა მოახერხა. მერე კი მთლიანად მისი დრო დადგა. ბოლო დღეებია, ფრანგმა აიწყვიტა, სამხრეთით წასვლის მიუხედავად, პირველმა გადაკვეთა გრინვიჩის მერიდიანი და ორიოდ დღის წინ ცალკაცა ცალკორპუსიანი იახტების საშუალო სიჩქარის რეკორდი დაამყარა, რომელიც 24 საათში გავლილი საზღვაო მილების 24-ზევე გაყოფით გამოითვლება. 3 დეკემბერს, 13 საათსა და 54 წუთზე, პარლემ მანძილის ათვლა დაიწყო და 4 დეკემბერის 13:54-ზე აპარატურამ 419 მილის გალევა დაადასტურა. ადრეული რეკორდსმენებიდან ასახელებენ კრისტოფ ოგუენსა და მარკ ტირსლენს. პირველმა 4 წლის წინანდელ „ვენდი გლოუბზე“ 374 მილი (15,58 კვანძი საშუალო სიჩქარე) უჩვენა, მეორემ 98-ში 400-იანი ნიშნულის გადავლა ტყუილად სცადა (396,5 მილი, 16,52 კვანძი საშუალო სიჩქარე), ხოლო პარლემ ოთხასიც გადაიარა და 17,45 კვანძით ტირსლენის შედეგს თითქმის კვანძი წაამატა. ასეთი მკვეთრი სარეკორდო გარღვევების მიზეზი უპირველესად იახტების არქიტექტურაში მომხდარი ევოლუციური ცვლილებებია, მერე კი — მეზღვაურთა ოსტატობის ამაღლება.

დეჟუაიე ლიდერს მაინც არ ჩამორჩა. ხელსაყრელი ქარი, პარლეს იალქნებს რომ ბერავდა, მისთვისაც ქროდა, ამიტომ ფრანგმა თვისტომთან სტატუს-კვოს შენარჩუნება მოახერხა, ორივენი ერთად კი სულ უფრო ზრდიან ჩრდილოეთით დარჩენილებთან სხვაობას. ერთადერთი როლან ჟურდენი ახერხებს ლიდერებთან ახლოს ყოფნას, თორემ მჭიდრო ჯგუფად მიმავალი დანარჩენი „ჩრდილოელები“ (მეოთხე და მეათეადგილოსნებს მხოლოდ 124 მილი აშორებთ) უკვე 300-400 მილით ჩამორჩნენ და რაღაცის შეცვლაზე ფიქრი მართებთ. ხუთეულიდან ამოვარდა ელენ მაკარტური და მისი თვისტომი ჯოშ ჰოლიც გაღიზიანებულია: პირველს სპინაკერმა უმტყუნა, მეორეს — გენაკერმა. სანამ აფრების ხელახლა გამართვისთვის ილვწოდნენ, დრო დაიკარგა. თუმცა მაკარტური მეექვსეა, ჰოლი — მეცხრე და ცხრილის მათ უბანზე დიდი სიმჭიდროვე უკვე ვახსენეთ, ამიტომ ჯერ ყველაფერი წინაა.

ამასობაში კვლავ მარტოდმარტო, ენერგიულად მიცურავს მაიკ გოლდინგი, რომელმაც მიზეზთა გამო რეგატა სხვებზე 9 დღით გვიან დაიწყო. ბრიტანელი ჯერაც ბოლოა, მაგრამ უახლოეს იახტას საცაა გაუსწრებს და მაჩანჩალა აღარ იქნება. ბოლო, მე-20 პოზიციაზე, სავარაუდოდ, რუსი ფიოდორ კონიუხოვი გადავა თავისი გრძელსახელიანი იახტით („ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თანამედროვე ინსტიტუტად“ ითარგმნება).

ხოლო კითხვაზე, რატომაა მეოცე ადგილი ბოლო, თუკი ლე საბლ დოლონიდან 24 იახტა გავიდა, პასუხი მარტივია — ოთხნი რეგატას უკვე გამოეთიშნენ. დედამიწას ყველამ კი არ უნდა შემოუაროს.

**დავით გულუა**

**რეგატა «ვენდი გლოუბი»**

6 დეკემბრის ვითარება

პირველი ხუთეული

1. **ივ პარლე („აქუიტან ინოვასიონს“, საფრანგეთი) 17399 საზღვაო მილი ფინიშამდე**
2. **მიშელ დეჟუაიე (PRB, საფრანგეთი) +78**
3. **როლან ჟურდენი („სილ“, საფრანგეთი) +117**
4. **მარკ ტირსლენი („აქტივ ვეარ“, საფრანგეთი) +318**
5. **თომა კოვილი („სოდებო“, საფრანგეთი) +321**



როლან ჟურდენი (ქვედა ფოტოზე) დაწინაურებულ ივ პარლეს 117 მილით ჩამორჩება





ფერნანდო ვარგასმა ფელიქს ტრინიდადი რემატჩში გამოიწვია

# ესენი იჩხუბებენ, კინგი ფულს დაითვლის

**გასულ** შაბათს ფელიქს ტრინიდადის მიერ ნაგვემა და ქვესაშუალო წონის ქამარწართმეულმა ფერნანდო ვარგასმა, მოგებული რემატჩზე გამოიწვია. ანუ, ტრინიდადი ვალდებული შეიქნა, ამ ექვსი თვის განმავლობაში კვლავ შეერკინოს მის მიერ მეთორმეტე რაუნდში დანოკაუტებულ მოწინააღმდეგეს.

შაბათს ვარგასი ჟურნალისტებს გაერიდა, გუშინ კი პრესკონფერენცია გამართა და რემატჩის სურვილი გააცხადა. წაგებული ტრინიდადის ლანძღვას მოერიდა, აღიარა ასე არავის გავულახივარო და თავისი უტეხი სულის შესახებაც ილაპარაკა.

ამ ჩხუბის მომწყობი დონ კინგი კი ფულის თვლაშია. ტრინიდად-ვარგასი ტელეშემოსავლებით მეორე გამოდგა წლევანდელ საკრივო სეზონში — მისი ცქერის უფლება 520 ათასმა ტელემაყურებელმა იყიდა. აქედან 370 ათასი საკაბელო მაცქერალი იყო, 250 ათასი კი სატელიტური ანტენის პატრონი. გამხსნელი კოდი, სხვანაირად კი ბილეთი 44,95 დოლარი ღირდა.

პირველ ადგილზე კი შეინ მოსლი — ოსკარ დე ლა ჰოიას ბრძოლა გასულა, რომელსაც 588 ათასი ტელებილეთი გაუსაღებია.

# ჰოლიფილდმა ტაისონისკენ და ლუისისკენ გაიწია



სასამართლოს მიერ ლუისისთვის ჩამორთმეული ქამარი ჰოლიფილდმა (მარცხნივ) რუისის დამარცხებით მოიპოვა

**ევანდერ ჰოლიფილდი** რომ კვლავ ჩემპიონია და ლენოქს ლუისისთვის ამერიკული სასამართლოს მიერ ჩამორთმეული ასოციაციის (ვბა) ქამარი უპყრია, ცნობილი ამბავია. ეს სასამართლოს ხელში დარჩენილი ქამარი ჰოლიფილდმა და ჯონ რუისმა წლევანდელი ზაფხულის ბოლოს გაითამაშეს და 38 წლის ევანდერი კვლავ ჩემპიონი შეიქნა.

ახლა კი მატჩ-რევანშის დრო მოახლოვდა. ჰოლიფილდის ვექილმა ჯიმ ტომასმა უკვე განაცხადა, რომ იგი 2001 წლის მარტში, ლას ვეგასში გაიმართება.

ჰოლიფილდის გველაძუა პრომოუტერი დონ კინგი უკვე დალაპარაკებია „მენდალი ბეი კაზინოს" პატრონებს, რათა ჩხუბი იქ გაიმართოს.

ამ ბრძოლის შემდეგ კი ჰოლიფილდს ერთი რამ ჰქონია მიზნად: კარიერაში მესამედ შეხვდეს ან მაიკ ტაისონს, ანაც ლენოქს ლუისს.

ჰოლიფილდს ორჯერვე დაუმარცხებია ტაისონი, ლუისთან კი ერთი სადავო ფრე გაუხერხებია და მეორედ ქულებით დამარცხებულა. რის შემდეგაც ეს უკანასკნელი მსოფლიოს უდავო ჩემპიონად შექნილა.

ჰოლიფილდს იმდენად ნდომებია რომელიმე ამათგანთან შეხვედრა, რომ რუისთან ბრძოლის ზამთარში გადმოტანასაც კი ლამობდა.

ვექილი ტომასი ტაისონის მენეჯერ შელი ფინკელს შეხვედრია და ამ ორი მებრძოლის შესაძლო დაჯახებაზე ჩამოუგდია სიტყვა. ტაისონის აზრი კი ამგვარია — თუ ბრძოლას დონ კინგი მოაწყობს, იქ არაფერი მესაქმებაო. როცა კინგი ტაისონს პატრონობდა, მისთვის 100 მილიონი დოლარი შეუწერია თაღლითური ხერხებით.

ჰოლიფილდის ბანაკს ასევე გაუჭირდება ლუისის რინგზე შეტყუება, რახანღა ეს უკანასკნელი გულნატკენია, ჩემთვის უსამართლოდ ჩამორთმეული ქამრისთვის ბრძოლა ევანდერს არ უნდა ეკადრაო.

თუმც ტომასს სხვაგვარი ახსნაც აქვს: „ევანდერმა კინაღამ მოუგო ლუისს. არა მგონია ლენოქსმა ხელახლა აიტკიოს თავი".

# ლეინი დაბრუნდა

**კრივის** განთქმული, აწ გადამდგარი რეფერი მილს ლეინი კვლავ გამოჩნდა რინგის მიდამოებში.

ერთ დროს ნევადის შტატის პროკურორად და მოსამართლედ ნამსახური ხოტორა ლეინი ჩვენ ხალხს იმ ბრძოლის განსჯით ემახსოვრება, მაიკ ტაისონმა რომ ევანდერ ჰოლიფილდს ყური მოაჭამა.

ლეინი 31 წელიწადს იყო რეფერი, დიდად პატივცემული და მოუსყიდავი მსაჯის სახელიც გავარდნოდა და ბრძოლების განსჯას ორი წლის წინალა დაანება თავი.

ახლა ლეინს პრომოუტერობა დაუწყია: ოკლაჰომელ საქმოსანთან, ტონი ჰოლდენთან ერთად დაუარსებია საკრივო კომპანია „მოდი გავმართოთ ბრძოლა".

„ამ კომპანიის მიზანი ისაა, რომ დღევანდელი საკრივო ადათები გააკეთილშობილოს", უთქვამს ლეინს.



# ეშმაკის გაკვეთილი

5 დეკემბერი

**სენტ ლუისი — ანაჰაიმი 1:0**

**0:0 1:0 0:0**

**1:0 კორსო 34'28 (1)**

**ნიუ ჯერსი — კოლორადო 6:1**

**2:0 2:0 2:1**

**1:0 ელიაში 5'22 (10); 2:0 არნოტი 8'10 (5); 3:0 სიკორა 28'01 (5); 4:0 მედენი 33'27 (11); 4:1 პოდინი 48'45 (9); 5:1 ელიაში 50'43 (11); 6:1 ელიაში 57'15 (12)**

**მონრეალი — ბუფალო 2:3**

**0:0 1:2 1:1**

**0:1 ანდრეიჩუკი 31'05 (6); 1:1 რობიდასი 34'17 (2); 1:2 პატრიკი 39'53 (1); 1:3 ჰემელი 47'30 (3); 2:3 ლინდენი 59'21 (5)**

**ოტავა — პიტსბურგი 2:4**

**0:1 1:1 1:2**

**0:1 კრაფტი 19'57 (6); 1:1 მაკჩერნი 23'24 (8); 1:2 კოვალიოვი 36'35 (15); 1:3 შლეგრი 56'29 (2); 1:4 შლეგრი 58'19 (3); 2:4 ჰოსა 59'08 (14)**

ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერ კოლორადოს გუშინ მკაცრი გაკვეთილი ჩაუტარეს. ასეთი საწყალობელი „ეველანში" კარგა ხანია, არავის უნახავს, თუმცა მას ხომ ჭკუის დამრიგებლად თასის შარშანდელი მფლობელი ნიუ ჯერსი ჰყავდა. „ეშმაკთა" მაგალითმა კიდევ ერთხელ აჩვენა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თანამედროვე ჰოკეიში შეთამაშება და გუნდური სულისკვეთება. სანამ ნიუ ჯერსის ორი წამყვანი მოთამაშე — ჯეისონ არნოტი და სკოტ ნიდერმაიერი არ ჰყავდა, გუნდი საკუთარ თავს არ ჰგავდა, მაგრამ როგორც კი ლიდერები დაბრუნდნენ, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და „ეშმაკებიც" მთელი ძალით ამოქმედდნენ. აი, ასეთი ნიუ ჯერსის წინააღმდეგ რა უნდა მოეხერხებინა კოლორადოს? ზემოხსენებული არნოტის დ მისი მუდმივი პარტნიორების — პატრიკ ელიაშისა (კარიერაში პირველი ჰეთ-თრიქი) და სიკორას სამეული შეუჩერებელი იყო. მათ ანგარიშზე 5 გოლია, ბოლო 7 მატჩში კი უკვე 12 მოუგროვდათ. „ჩვენ ჩინებულად ვუგებთ ერთმანეთს, ამიტომაც გამოგვდის ყველაფერი ასე იოლად" — თქვა არნოტმა.

ოთხი უქულო თამაშის შემდეგ პიტსბურგის ლიდერმა იარომირ იაგრმა უქმეებზე გატანილი გოლითა და შაიბით ქომაგებს იმედი გაულვივა, მაგრამ მომდევნო ორ შეხვედრაში კვლავ მშრალზე დარჩა. თუმცა ამჯერად ოტავასთან მატჩში მას პარტნიორებზე საწუწუნო ნამდვილად არაფერი ჰქონდა. ალექსეი კოვალიოვმა და იაგრის თვისტომებმა წინა კვირის ყოჩს, კანადელთა მეკარე პატრიკ ლალიმს ფარხმალი დააყრევინეს. მაშინაც კი, როდესაც ბოლოსწინა წუთზე მასპინძლებმა რიცხვმრავლობა მიიღეს, ვერაფერს გახდნენ. მეტიც, სტუმართა მცველმა ირჟი შლეგრმა დუბლით ყველაფერს ნათელი მოჰფინა.

მიუხედავად მინიმალური ანგარიშით გამარჯვებისა, სენტ ლუისს წუთითაც არ დაუეჭვებია ქომაგები თავის უპირატესობაში. „ბლუზმენთა" ჩინებულმა დაცვამ მეტოქის შანსები მინიმუმამდე შეამცირა, თავად მასპინძლებმა კი მხოლოდ ერთი, თუმცა მოგებისთვის საკმარისი შაიბა გაიტანეს.

როგორც ჩანს, ერთ დროს ლიგის საუკეთესო მცველი პოლ კოფი აღარავის სჭირდება. ბოლო წლებში იგი ვერც ერთ კლუბს ერგება და დიდხანს ვერსად ჩერდება. ამჯერად იგი ბოსტონმაც დაითხოვა. ოფიციალურად ამას ეგრეთ წოდებულ „ვეივერ ლისტში", ანუ უარყოფილ ჰოკეისტთა სიაში შეყვანა ჰქვია. არადა, ზაფხულში შეძენილ კოფიზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. მას თავად რეი ბურკის ადგილი უნდა დაეკავებინა. 1531 ქულით კოფი ლიგის ისტორიაში მეორე შედეგიანი მცველია, პირველი კი ბურკი გახლავთ — 1540.

**სამველ ლარიბიანი**

## კვირის მოთამაშე

### პატრიკ ლალიმი (ოტავა)



**წინა** კვირას კვლავ მეკარეებმა იყოჩაღეს, თან ერთბაშად რამდენიმემ. აილენდერსელმა ჯონ ვანბისბრუკმა (ნიუ ჯერსისთან 0:0 მთლიანად მისი დამსახურებაა) და ვაშინგტონელმა ოლაფ კოლციგმა (იგი ათამაშდა და გუნდიც ნელ-ნელა გამოდის კრიზისიდან) ისე იასპარეზეს, რომ ნამდვილად შეეძლოთ ლაურეატობის მოპოვება, მაგრამ საუკეთესო მაინც მათი ოტაველი კოლეგა პატრიკ ლალიმი გახლდათ. მან სამივე მატჩში მოგება იზეიმა, კვირას კაროლინასთან (2:0) შატაუტიც გააკეთა, მაგრამ კიდევ უფრო ძლიერად ფილადელფიის წინააღმდეგ ითამაშა. მიუხედავად სამი გაშვებული შაიბისა, ლალიმი საუკეთესო იყო ყინულზე და მისი 32 მოგერიება რომ არა, გუნდი იმ დღეს ორ ქულას ვერ შეინარჩუნებდა.

**საუკეთესო ექვსეული. 27 ნოემბერი — 3 დეკემბერი**

***პატრიკ ლალიმი*** *(ოტავა, 1);* ***ნიკლას ლიდსტრიომი*** *(დეტროიტი, 2) —* ***ბრაიან მაკეიბი*** *(ტორონტო, 1);* ***ტაი დომი*** *(ტორონტო, 1) —* ***მატს სუნდინი*** *(ტორონტო, 1) —* ***ჯო საკიკი*** *(კოლორადო, 3).*



ნიუჯერსელმა პატრიკ ელიაშმა (№26) კოლორადოელთა მეკარე პატრიკ რუას ცხრიანშიც გაუტანა


რესტორანი მზიანი ღამე





განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)

მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# მელოუნმა ჩემბერლენს გაასწრო



AP სოლტ ლეიკ სიტიდან

იუტა — ტორონტო. კარლ მელოუნი ამ ბურთის ჩაგდების შემდეგ ლიგის ყველა დროის მეორე ბომბარდირი გახდა

5 დეკემბერი

**იუტა 98:84 ტორონტო**
იუტა: მელოუნი (31 ქულა, 12 მოხსნა)
ტორონტო: ვილისი (20 ქულა, 10 მოხსნა)

**ინდიანა 88:64 ნიუ ჯერსი**
ინდიანა: როუზი (21)
ნიუ ჯერსი: ვილიამსი (15 ქულა, 11 მოხსნა)

**ატლანტა 92:100 მაიამი**
ატლანტა: ტერი (23)
მაიამი: ჯონსი (18)

**კლივლენდი 71:66 შარლოტი**
კლივლენდი: მილერი (20 ქულა, 10 მოხსნა)
შარლოტი: კემპბელი (16)

**ორლანდო 191:87 ბოსტონი**
ორლაგდო: მაკგრეიდი (29)
ბოსტონი: უოლკერი (26 ქულა, 11 მოხსნა), პირსი (23)

**მინესოტა 100:90 ჩიკაგო**
მინესოტა: გარნეტი (25), ბილაფსი (22)
ჩაკაგო: არტესტი (20)

**ჰიუსტონი 109:102 დალასი**
ჰიუსტონი: ფრენსისი (36 ქულა, 10 მოხსნა), ანდერსონი (22 ქულა, 10 მოხსნა)
დალასი: ნოვიცკი (35 ქულა, 12 მოხსნა), ეისლი (24), ფინლი (22)

**საკრამენტო 81:75 სან ანტონიო**
საკრამენტო: ვებერი (30 ქულა, 10 მოხსნა)
სან ანტონიო: დანკანი (23 ქულა, 23 მოხსნა, 5 დაფარება)

**ვანკუვერი 91:83 დეტროიტი**
ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (18)
დეტროიტი: ეტკინსი (13)

**ლეიკერსი 96:85 ფილადელფია**
ლეიკერსი: ბრაიანტი (36), ონილი (27 ქულა, 20 მოხსნა, 7 დაფარება, 6 პასი)
ფილადელფია: აივერსონი (27), მაკი (21)

ამ დღეს „იუტა ჯაზი“ შინ „ტორონტო რეპტორზს“ ხვდებოდა. შეხვედრის მეორე მეოთხედის მეშვიდე წუთი მიმდინარეობდა, როცა „ჯაზის“ ლიდერმა კარლ მელოუნმა სამწამიანი ზონის გარეთ ბურთი მიიღო, შიგნით შეიწია და ნახტომში ესროლა. ბურთი, ისევე როგორც მელოუნის ხელიდან გაშვებული მრავალი სხვა, კალათში ჩაეშვა. აქ თითქოს განსაკუთრებულიც არაფერია, მაგრამ სტატისტიკა, რომელიც ყოველივეს ზუსტად აღნუსხავს, გვიჩვენებს, რომ ამ ჩაგდებით ნბა-ში გატარებული 16 წლის შემდეგ მელოუნს 31 420 ქულა მოუგროვდა, ესე იგი, ერთით მეტი, ვიდრე ლეგენდარულ უილტ ჩემბერლენს თავის 14-წლიან კარიერაში გაუკეთებია. მელოუნმა ნბა-ს ყველა დროის უძლიერეს მექულეთა სიაში მეორე ადგილზე აინაცვლა. წინ მხოლოდ ქარიმ აბდულ-ჯაბარია 38 387 ქულით.

„უილტი უძლიერესი კალათბურთელი იყო და მისი გადასწრების სურვილი ჩემი სტიმული გახლდათ. ვიცოდი, ეს დღეს მოხდებოდა, მე სულ ცხრა ქულა მჭირდებოდა და ბევრს ვნერვიულობდი, წუხელ საერთოდ არ მძინებია და თამაშის პირველ ხუთ წუთში ქულა რომ ვერ მოვინაგრე, ლამის გავგიჟდი“ — ამბობდა ნამატჩევს სიხარულისგან მთვრალი მელოუნი. მან მართლაც ცუდად დაიწყო თამაში, მაგრამ მალე გამოფხიზლდა და მეტოქის კალათი ჩვეულად აიკლო. მელოუნის ყოველ შედეგიან სროლას პირთამდე გადაჭედილი „დელტა სენთერის“ ღრიალი ახლდა თან. ხოლო როცა მოსახდენი მოხდა, 19 ათასმა გულშემატკივარმა თავის კერპს ოვაცია გაუმართა. ერთადერთი, რაც კარლს გულში ხინჯად შეიძლება დარჩეს, ის ტექნიკურია, რომელიც მან შეხვედრის დამთავრებამდე წუთნახევრით ადრე მიიღო და თამაშიდან გავარდა.

ყველას მადლობელი ვარ, ვინც ამის მიღწევაში დამეხმარა, განსაკუთრებით კი ჯონ სტოქტონისი, ამბობდა სახეგაბრწყინებული მელოუნი მატჩის შემდეგ. ყველაზე მეტად კი იგი საკუთარ სხეულს უნდა ემადლიერებოდეს, რომელიც 16 წელი ერთგულად ემსახურა და არ აგრძნობინა ტრავმის სიმწარე. თუ „ფოსტალიონმა“ ასეთი რიხით გააგრძელა სვლა, ქარიმ აბდულ-ჯაბარის რეკორდსაც რამდენიმე წლით უწერია არსებობა.

ჩემპიონი „ლეიკერსი“ ნბა-ში საუკეთესო შედეგის მქონე „ფილადელფიას“ მასპინძლობდა და შაკილ ონილის ბრწყინვალე თამაშის მიუხედავად, მარცხდებოდა. „ლეიკერსს“ მშველელად ისევ კობი ბრაიანტი მოევლინა. ჩემპიონთა გაჭირვების ტალკვესმა ამჯერადაც გაახარა გულშემატკივრები, „ფილადელფიას“ ბოლო მეოთხედში ერთბაშად 16 ქულა ჩაუგდო, თავის გუნდს მოაგებინა და თავადაც იხეირა, ბომბარდირთა სიის მწვერვალიდან დეტროიტელი ჯერი სტეკჰაუზი გადმოაგდო და იქ თვითონ მოკალათდა. „ფილადელფიამ“ კი ამ სეზონში პირველად წააგო ზედიზედ მეორე შეხვედრა და სრულიად ლიგის ცხრილში პირველი ადგილი „იუტა ჯაზს“ გადაულოცა.

ჰიუსტონში იქაურმა „როკიტსმა“ და დალასურმა „მავერიქსმა“ ტეხასური დერბის შესაფერი ომი გააჩაღეს. სტუმარმა დირკ ნოვიცკიმ თავის გუნდს კარიერაში უბევრესი, 35 ქულა გაუხერხა, თუმც „დალასს“ ვერც ამან უშველა. ნოვიცკის არც ჰიუსტონელი სტივ ფრენსისი ჩამორჩა, ასევე კარიერაში სარეკორდოდ ბევრი, 36 ქულა გააკეთა და მასპინძელთა გამარჯვების სულისჩამდგმელიც შეიქნა.

**ირაკლი ფირცხილი**



AP ლოს ანჯელესიდან

ლეიკერსი — ფილადელფია. ეროკ სნოუ და „ფილადელფია“ კობი ბრაიანტის სიმარჯვის შემყურენილა იყვნენ

## ნბა-ს ყველა დროის ბომბარდირები

სამშაბათს „იუტა ჯაზის“ ფორვარდმა კარლ მელოუნმა „ტორონტო რეპტორზს“ 31 ქულა ჩაუგდო და ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყველა დროის ბომბარდირთა სიაში მეორე ადგილზე გადაინაცვლა. მელოუნმა გაასწრო უილტ ჩემბერლენს, მასზე წინ ახლა მხოლოდ ქარიმ აბდულ-ჯაბარია.

აბდულ-ჯაბარს 38 387 ქულის დასაგროვებლად 20 სეზონი დასჭირდა, მელოუნს 31 443 ქულისთვის — 16 სეზონი. გამოდის, რომ კარლი სეზონში საშუალოდ 1 963 ქულას აკეთებს. თუკი მან კარიერა გააგრძელა და ამგვარი საშუალო შედეგიანობაც შეინარჩუნა, 2003-2004 წლების სეზონში იგი აბდულ-ჯაბარსაც უკან მოიტოვებს. იმ დროისთვის მელოუნი 40 წლის იქნება.



კარლ მელოუნი ქარიმ აბდულ-ჯაბარსა (მარცხენა ფოტოზე) და უილტ ჩემბერლენს შორის მოკალათდა

| მოთამაშე | ქულა | სეზონი | მატჩში საშ. |
|---|---|---|---|
| ქარიმ აბდულ-ჯაბარი | 38 387 | 20 | 24,6 |
| კარლ მელოუნი * | 31 443 | 16 | 26,0 |
| უილტ ჩემბერლენი | 31 419 | 14 | 30,1 |
| მაიკლ ჯორდანი | 29 227 | 13 | 31,5 |
| მოზეს მელოუნი | 27 409 | 19 | 20,6 |
| ელვინ ჰეიესი | 27 313 | 16 | 21,0 |
| ოსკარ რობერტსონი | 26 710 | 14 | 25,7 |
| დომინიკ ვილკინსი | 26 668 | 15 | 24,8 |
| ჯონ ჰავლიჩეკი | 26 395 | 16 | 20,8 |
| ჰაკიმ ოლაჯუონი * | 25 994 | 17 | 22,9 |

*აგრძელებენ კარიერას

## კვირის მოთამაშე
### ანტონიო მაკდაიესი
### · დენვერი ·



წინა კვირის საუკეთესო მოთამაშის წოდება არავის დაანება „დენვერ ნაგითსის“ 203-სანტიმეტრიანმა თავდამსხმელმა ანტონიო მაკდაიესმა. სიდნეის ოლიმპიადის შემდეგ მაკდაიესს, ისევე როგორც რამდენიმე მის თანაგუნდელს „დრიმ თიმში“, ჩავარდნა ჰქონდა და კარსმომდგარ სეზონს არცთუ მომზადებული შეეგება, თუმც ორიოდე კვირის შემდეგ იგი თანდათან გამოფხიზლდა და „დენვერმაც“ შუა დასავლეთის დივიზიონის ცხრილში ზედა ნაწილში მოიკალათა.

გასულ კვირაში მაკდაიესმა თავის გუნდს სამი მატჩიდან ორი მოაგებინა, თავად ამ სამ თამაშში 31,3 ქულა და 15,3 მოხსნა მოუგროვდა და სეზონის მაჩვენებლებიც გვარიანად გაიუმჯობესა. მაკდაიესის ბენეფისი გამოდგა „ჰიუსტონთან“ შეხვედრა. მისი ამპლუის კალათბურთელთაგან მორჩილი ტანით გამორჩეულმა ანტონიომ „ჰიუსტონს“ ფარქვეშ დიდი პრობლემები შეუქმნა და თავის გუნდს 40 ქულა და 20 მოხსნა შეაწია. მისდა სამწუხაროდ, „დენვერმა“ ეს დრამატული მატჩი ოვერტაიმში 105:107 დათმო. აღსანიშნავია, რომ კლუბის ისტორიაში მანამდე არავის ჰქონდა დაგროვებული ერთად ამდენი ქულა და მოხსნა. თვით მრავლისმნახველ ნბა-ს ასეთი რამ ბოლო ათი წელია არ ახსოვს. აი, მომდევნო „სიეტლთან“ შეხვედრაში მის მიერ გახერხებული 37 ქულა და 17 მოხსნა საკმარისი აღმოჩნდა ამ გუნდის 103:92 დასამარცხებლად. ამ ორ თამაშამდე კი მაკდაიესმა და მისმა თანაგუნდელებმა მინეაპოლისში იქაურ „ტიმბერვულვზს“ სძლიეს. აქ კვირის რჩეული შედარებით მოკრძალებულ 17 ქულას დასჯერდა.

მაკდაიესის კონკურენტები იყვნენ: დევიდ ვესლი (შარლოტი), ანტუან ჯემისონი (გოლდენ სტეიტი), ჯერი სტეკჰაუზი (დეტროიტი), კობი ბრაიანტი (ლეიკერსი), ალან ჰიუსტონი (ნიუ იორკი), ტრეისი მაკგრეიდი (ორლანდო), ალენ აივერსონი, თეო რეთლიფი (ორივე ფილადელფია), ჯეისონ კიდი (ფინიქსი), კრის ვებერი (საკრამენტო), გერი პეიტონი (სიეტლი) და შარიფ აბდურ-რაჰიმი (ვანკუვერი).

# დუელი კიბოსთან

## დონ ნელსონი: კაცი კაცობრიობის მტრის პირისპირ



დონ ნელსონი

„დალას მავერიქსის" ღვაწლმოსილ მწვრთნელ დონ ნელსონს პროსტატის კიბო აღმოაჩნდა. ეს თავად ნელსონმა განაცხადა გუშინწინ „ჰიუსტონთან" თამაშის შემდეგ. „მან ეს მატჩის შემდეგ გვითხრა, რადგან არ სურდა შეხვედრის განმავლობაში ბიჭებს ამაზე გვეფიქრა და დათრგუნულებს გვეთამაშა — თქვა „დალასის" ერთ-ერთმა ლიდერმა, გერმანელმა დირკ ნოვიცკიმ — ძალიან ცუდი ამბავია. დონი ჩვენთვის მეორე მამაა და, ცხადია, მისი ავადმყოფობა არავის გაგვიხარებია. ბედად, როგორც თავად ამბობს, დაავადება განვითარების ადრეულ სტადიაზე აღმოუჩინეს და მასთან ბრძოლა უფრო იოლია, ვიდრე ეს რამდენიმე თვის შემდეგ იქნებოდა". „შოკირებული ვარ. დონმა ეს გუნდი ააშენა, მისით ცოცხლობდა და ბედნიერი იყო. თუ უმისოდ დავრჩით, ძალიან გაგვიჭირდება. მაგრამ ახლა ამაზე ფიქრის დრო არ არის, დონის სიცოცხლე გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ნებისმიერი მატჩი და კარიერა. ჩვენ მასთან ერთად ვართ და მისთვის ვითამაშებთ" — ამბობს „მავერიქსის" ლიდერი მაიკლ ფინლი.

თავად დონ ნელსონს ამ საშინელმა ამბავმა ნაკლებად დასცა თავზარი, ვიდრე მის შეგირდებს და ახლობლებს. იგი მხნედ გრძნობს თავს და აი, რას აცხადებს: „ბევრ ადამიანს უდგება ცხოვრებაში ასეთი მძიმე წუთები და ამ დროს მთავარია, არ გატყდე, სულით არ დაეცე. პროსტატის სიმსივნე ხომ მკურნალობას ექვემდებარება, თანაც დაავადება დროულად აღმოაჩინეს".

გააგრძელებს თუ არა ნელსონი კარიერას, ჯერ უცნობია, თუმცა მას არც მიუნიშნებია, რომ პენსიაზე გასვლას აპირებს. საამისო სტიმულიც აქვს — იგი ხომ 24 წელია მწვრთნელობას მისდევსდა ამ ხნის განმავლობაში 758 წაგებასთან ერთად 937 გამარჯვებაც მოაგროვა, სულ ერთით ნაკლები, ვიდრე 60-იანი წლების „ბოსტონის" ლეგენდარულმა მწვრთნელმა რედ აუერბახმა. სულ ორი გამარჯვებაც და ნელსონი ერთ დროს ყველაზე მეტი მოგების მომხვეჭ, ახლა კი ამ მხრივ მეოთხე ადგილზე მყოფ აუერბახს ამ პოზიციიდან განდევნის.

იქნებ, 60 წლის ნელსონი გამოეთხოვოს კიდეც საქმეს, რომელსაც ამდენ ხანს ერთგულად ემსახურა, მაგრამ სიამაყით იხედება უკან. უამრავ გამარჯვებასთან ერთად, რომლებიც ოთხ გუნდში — „მილუოკიში", „გოლდენ სტეიტში", „ნიუ ორკსა" და „დალასში" — მოიპოვა, იგი სეზონის საუკეთესო მწვრთნელის სამი ტიტულითაც იწონებს თავს. ამ ტიტულს კი ამდენჯერ მხოლოდ დღესდღეობით „მაიამის" დამრიგებელი პატ რაილი ფლობდა. ნელსონი წვრთნიდა ამერიკის ნაკრებს 1994 წელს, რომელმაც კანადაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატში პირველობა არავის დაუთმო. მწვრთნელობამდე ეს ღირსეული კაცი, ცხადია, თამაშობდა კიდეც და არცთუ ურიგოდ. მან ნბა-ში გატარებული 14 წლიდან 11 „ბოსტონს" შესწირა და მასთან ერთად ხუთჯერ გახდა ლიგის ჩემპიონი. თამაშს, რომ თავი დაანება, „ბოსტონმა" მას ღვაწლი არ დაუკარგა და მუდმივი ნომერი (19) უბოძა. ერთადერთი, რამაც შესაძლოა გული დასწყვიტოს ნელსონს, ისაა, რომ მან, როგორც გუნდის მწვრთნელმა, ჩემპიონობა ვერ იზეიმა. თუ „დალასის" შესაძლებლობებს გავითვალისწინებთ, ნაკლებად სავარაუდოა, ნელსონმა ოცნება აისრულოს.

**იმანე კობიაშვილი**

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი
- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისადა ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით

თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109

# სუპროლიგა

ჯგუფური ეტაპი. VI ტური. 6 დეკემბერი

| A ჯგუფი | B ჯგუფი |
|---|---|
| რაანანა 75:68 ვილერბანი | ირაკლისი 72:87 ეფესი |

# საპორტას თასი

ჯგუფური ეტაპი. VI ტური. 5-6 დეკემბერი

### A ჯგუფი

ჰაპოელი (ისრაელი) — შალონი (საფრანგეთი) 60:68, ქარშიაკა (თურქეთი) — პივოვარნა (სლოვენია) 89:88, პამესა (ესპანეთი) — მარუსი (საბერძნეთი) 95:81

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შალონი | 6 | 5 | 1 | 430:401 | 11 |
| პამესა | 6 | 4 | 2 | 528:516 | 10 |
| მარუსი | 6 | 4 | 2 | 509:499 | 10 |
| ქარშიაკა | 6 | 2 | 4 | 520:526 | 8 |
| პივოვარნა | 6 | 2 | 4 | 488:492 | 8 |
| ჰაპოელი | 6 | 1 | 5 | 476:507 | 7 |

### B ჯგუფი

არისი (საბერძნეთი) — ბეშიქთაში (თურქეთი) 101:98, არკადია (ავსტრია) — პორტუ (პორტუგალია) 75:83, უნიქსი (რუსეთი) — ზაგრები (ხორვატია) 20:0

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 6 | 5 | 1 | 426:376 | 11 |
| არისი | 6 | 5 | 1 | 475:435 | 11 |
| უნიქსი | 6 | 4 | 2 | 363:260 | 10 |
| ბეშიქთაში | 6 | 3 | 3 | 412:420 | 9 |
| არკადია | 6 | 1 | 5 | 406:471 | 7 |
| ზაგრები | 6 | 0 | 6 | 0:120 | 0 |

### C ჯგუფი

ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — კერავნოსი (კვიპროსი) 95:84, საკალაი (ლიტვა) — რასინგი (საფრანგეთი) 102:93, კახა სან ფერნანდო (ესპანეთი) — ტელეკომი (გერმანია) წუხელ გაიმართა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცრვენა ზვეზდა | 6 | 4 | 2 | 484:476 | 10 |
| კერავნოსი | 6 | 3 | 3 | 481:509 | 9 |
| რასინგი | 6 | 3 | 3 | 480:485 | 9 |
| ტელეკომი | 5 | 3 | 2 | 439:404 | 8 |
| საკალაი | 6 | 2 | 4 | 497:501 | 8 |
| სან ფერნანდო | 5 | 2 | 3 | 427:433 | 7 |

### D ჯგუფი

ბორაცი (ბოსნია) — ანვილი (პოლონეთი) 90:74, სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი) — ლუპტა (ფინეთი) 99:86, იმოლა (იტალია) — ანტვერპენი (ბელგია) 86:79

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ანვილი | 6 | 5 | 1 | 516:498 | 11 |
| ბორაცი | 6 | 4 | 2 | 545:488 | 10 |
| სლოვაკოფარმა | 6 | 3 | 3 | 509:502 | 9 |
| ანტვერპენი | 6 | 3 | 3 | 500:493 | 9 |
| იმოლა | 6 | 2 | 4 | 514:504 | 8 |
| ლუპტა | 6 | 1 | 5 | 475:574 | 7 |

*მეშვიდე ტური გაიმართება 12 დეკემბერს*



REUTERS

ბორაცი — ანვილი. იგორ იანკოვსკი თანაგუნდელი ვლადიმერ კრსტიჩის და ბორაცელი ბორის ბლაგოევიჩის (№15) ბრძოლის შესცქერის

იყიდება ან ქირავდება
შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი იზოლირებული ბინა სარაჯიშვილის მეტროსთან, ბუნებრივი აირით და ტელეფონით
ტელ: 60-21-23

საქართველოს ჩემპიონატი

# XII ტურის საუკეთესო მოთამაშე

## ვახტანგ ნაცვლიშვილი

ბასკო



ვახტანგ ნაცვლიშვილმა საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატს ხელი დაატყო. ამ წინადადებაში ორი აზრია: ერთი: მეთორმეტე ტურში, თსუ-ს წინააღმდეგ, „ბასკოს" კაპიტანმა 13 დაფარება გააკეთა. მეორეც: ნაცვლიშვილმა ერთბაშად სამი რეკორდი დაამყარა, რითაც მოვლენებით არცთუ მდიდარ ჩემპიონატს და მის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს, არცთუ მნიშვნელოვან „ბასკო" — თსუ-ს, განსაკუთრებული მნიშვნელობა შესძინა.

13 დაფარება საქართველოს ჩემპიონატების ახალი რეკორდია. წინა მიღწევა, 10 დაფარება, ასევე ნაცვლიშვილს ეკუთვნოდა. ეს მან 1995 წელს, „კაქტუსში" თამაშისას მოახერხა. მაშინ ვატომ ერთით გააუმჯობესა ვლადიმერ სტეფანიას მიერ 1993 წელს დამყარებული რეკორდი: მაშინ „მართვეს" წევრმა და დღეს პირველმა პროფესიონალმა ქართველმა კალათბურთელმა ცხრაჯერ დაუფარა „ვითას" მოთამაშეებს.

28 ქულა, 13 დაფარება, 11 მოხსნა — ასეთია ნაცვლიშვილის სტატისტიკა თსუ-ს წინააღმდეგ. ეს საქართველოს ჩემპიონატებისთვის უიშვიათესი მოვლენა, სამმაგი დუბლი გახლავთ. ესეც რეკორდია, ქვეყნის პირველობაზე ჯერ არავის გაუკეთებია ისეთი სამმაგი დუბლი, სამივე მაჩვენებელი ათზე მეტი რომ იყოს.

ნაცვლიშვილს საქართველოს ჩემპიონატების რეკორდის დასამხობად ერთი დაფარებაც ჰყოფნიდა, მაგრამ მან პირადი მიღწევის გაუმჯობესებაც გადაწყვიტა და მას ერთით გადაამეტა. 12 დაფარება ვატომ 1995 წელს ამერიკაში ერთ-ერთ ტურნირზე, „კაქტუსისა" და გრინ ბეის უნივერსიტეტის შეხვედრისას გააკეთა.

ღირს თუ არა ეს სამი მოვლენა იმად, რომ მათი შემქმნელი ტურის მოთამაშედ შეირაცხოს? ვეჭვობ, დადებითის გარდა სხვა პასუხი არსებობდეს. სწორედ ამიტომ გამოვარჩიეთ ნაცვლიშვილი, თორემ ამაზე კარგად მას სხვა დროსაც უთამაშია. ისიც ვიცით, რომ ასეთი თამაში ვატოს შესაძლებლობების ზღვარი სულაც არ არის. მას მეტი შეუძლია და ეს არაერთხელ დაუმტკიცებია, თუნდაც მიმდინარე ჩემპიონატში. სიმართლე ითქვას, ამ ჩემპიონატში არც ნაცვლიშვილს და არც მის გუნდს ბოლომდე დახარჯვა ჯერჯერობით არ დასჭირვებიათ. თუ არ გჯერათ, სატურნირო ცხრილის და „ბასკოს" მატჩების ოქმების გადახედვას ნუ დაიზარებთ.



REUTERS სიდნეიდან

# სპორტი — გამოცანა

სიდნეიდან კაიტ-სერფინგის შეჯიბრის ამსახველი ფოტო მოვიდა. ახლა თქვენ იკითხავთ, ეს რაღა უბედურებააო და გიპასუხებთ, რომ ამ სპორტის პრინციპები ჩვენთვისაც ჯერჯერობით ბუნდოვანია და ნელნელა ვაპირებთ დადგენას, მანამდე კი აგერ მშვენიერი ფოტო და მისი ჯანი.

# თემის გაგრძელება

ვაგრძელებთ გუშინდელი „სარბიელის" ბოლო გვერდში წამოჭრილ თემას როჭოსწონიანთა კრივის შესახებ. ფოტოზე ერთმანეთს ასიებენ იაპონელი კეიტარო ჰოშინო და ფილიპინელი ჯომა გამბოა. ვინ რომელია, თავად ხედავთ — გამბოას ვინაობა ტრუსის წინა მხარეს აწერია და მეორის იაპონელობაც ერთობ გამოკვეთილია. კრივის მსოფლიო ასოციაციის მინიმუმვეითის (ეს უკვე როჭოს კი არა, მგონი, კრაზანის წონაა) ჩემპიონის ვინაობა დგინდება. და დადგინდა: ჰოშინომ მოიგო და გამბოას ტიტული წაჰგვარა.






REUTERS ხანსეტ ბიჩიდან

# ტალღური სამოთხე

ჰავაის კუნძულები სერფინგის ხალხისთვის იგივეა, რაც მექა მართლმორწმუნე მუსლიმთათვის. წლის ნებისმიერ დროს იქაურ გიგანტურ ტალღებს მრავალრიცხოვანი მამაცნი შეებმიან, ულევად იმართება შეჯიბრებები და ერთი მათგანის წარმატებული მონაწილე, ჯოელ პარკინსონი ფოტოზე ჩანს. ავსტრალიელია.

# პრეზიდენტთან სტუმრობა

პრეზიდენტთან სტუმრობაო, ნუ გგონია ხუმრობაო... ვიოსლავ კოშტუნიცა (მარცხნივ) ყველას როდი ხვდება, დამსახურება სჭირია ამ ამბავს. პრედრაგ დანილოვიჩის, დეიან სავიჩევიჩისა და დრაგან ჯაიჩის კონკრეტულ დამსახურებებზე მრავლის თქმა შეიძლება და აკი იუგოსლავიის პრეზიდენტმა ისინი მიიღო. ეროვნული სპორტის ჭირვარამზე უბაასიათ.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge